

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
(არქეოლოგიის კომისია)

გურამ ბრიგოლია

ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი კალური



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

ნაშრომი მიზნად ისახავს დასავლეთ ამიერკავკასიის აქამდე უცნობი ნეოლითური ძეგლის — პალურის მასალები პუბლიკაციას. ძეგლის უძრავი ფენიდან მომდინარე მასალების შესწავლისა და უკვე არსებულ მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე, მოცემულია კავკასიაში ზონალური ხასიათის მქონე ახალი მთის ნეოლითური კულტურის გამოყოფის ცდა.

წინასიტყვაობა

კავკასიის ნეოლითი ჩვენი „კართაგენია“ და იგი უნდა ავილოთ, ე. ი. ყველგან უნდა აღმოვაჩინოთ და შევისწავლოთ ახალი ნეოლითური ძეგლები¹, — ასეთი შეფასება მისცა კავკასიის ნეოლითის პრობლემურ კვლევას ამ 10-ზე მეტი წლის წინათ გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა, აწ განსვენებულმა აკად. ე. კრუპნოვმა. ერთი შეხედვით ეს ხატოვანი გამოთქმა შეიძლება რამდენადმე მკაცრადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ შეუძლებელია არსებითად არ დავეთანხმოთ ავტორს, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება კავკასიის უძველესი ისტორიის საკითხების კვლევას შეაღია და რომელიც ღრმად იყო ჩახედული კავკასიის არქეოლოგიური მიწის წიაღში — ქვის ხანიდან მოკიდებული შუა საუკუნეების ჩათვლით.

გავიდა 12 წელი და საერთო კავკასიის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, ნეოლითური პრობლემის კრუპნოვისეული შეფასება კვლავ ძალაში რჩება. ამის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც ის, რომ ასეთივე გულსტკივილით გამოთქმულ სტრიქონებს ვხვდებით სულ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ნეოლითის კვლევა-შესწავლის დაბალ, არადამაკმაყოფილებელ დონეზე საუბარი უკვე ისტორიულ-არქეოლოგიური ლიტერატურის თითქმის ტრადიციად იქცა²

ზემოაღნიშნული კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა, თუ გავითვალისწინებთ კავკასიის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც ჩრდილოეთით უკავშირდება სამხრეთ რუსეთის სტე-

¹ Е. И. Крупнов, Древнейшая культура Кавказа и Кавказская этническая общность (К проблеме происхождения коренных народов Кавказа), С. А., 4, 1964, с. 41; Егоров, Некоторые нерешенные вопросы первобытной археологии Кавказа, КСИЯ, 98, М., 1964, с. 3—8.

² Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, с. 7; თ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისათვის, თბ., 1976, გვ. 35—43.

კებს, ხოლო სამხრეთით უშუალოდ ებჯინება წინა აზიასა და ნაწილობრივ ემეზობლება სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ერთ-ერთ უძველეს კერად აღიარებულ ზაგროსის რაიონს³.

ამიტომ არის, რომ კავკასიას ხშირად წინა აზიის, შავიზღვის-პირეთის სტეპებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დამაკავშირებელ უძველეს ხიდს უწოდებენ. ამდენად, კავკასიის ნეოლითური პრობლემის კვლევის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული არა შარტო ადგილობრივი, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რიგი კარდინალური საკითხების გადაჭრა⁴.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კავკასიის არქეოლოგიისათვის სადღეისოდ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ნეოლითური ეტაპის საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში შესწავლილია რამდენიმე ათეული ძეგლი, რომელთა საფუძველზე დაიწერა არაერთი გამოკვლევა თუ ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი, არსებული მდგომარეობა აშკარად არააღმაკმაყოფილებელია.

უდავოა და დასაბუთებას არ საჭიროებს, რომ კავკასიის ნეოლითის პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი ძირეული საკითხი, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ამის ობიექტური მიზეზებია, პირველ რიგში, ძეგლების ნაკლებობა და მათი არათანაბარი განაწილება ცალკეულ რაიონში; დარღვეული ფენებიდან მომდინარე მასალების დაბალი მეცნიერული ღირებულება; რაც მთავარია, საკითხის შესწავლის მოძველებული მეთოდოლოგია, როცა ერთი რომელიმე კუთხის მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები, ხელაღებით, საერთო კავკასიურად ცხადდება, ანდა სხვადასხვა რაიონებიდან მომდინარე არატოლფასოვანი ფაქტების ნაძალადეგ, დაახლოებით მიღებულ შედეგებს კავკასიის მასშტაბით გლობალური მნიშვნელობა ენიჭება. ეს მეთოდები თავის დროზე ამართლებდა კიდევ, მაგრამ ამაჟამად, როცა მცირე და წინა აზიის უდიდესმა აღმოჩენებმა, ჩათალ-ჰუიუკის, ხაჯილარის, ჯარმოსა და სხვათა სახით მკვეთრად შეცვალეს ჩვენი წარმოდგენა მწარმოებლური მეურნეობის დროსა და ხასიათზე, ძველი გზით სიარული აშკარად დაუშვებელია. მას, უდავოა ჩინში მივყავართ, რაც საგრძ-

³ В. М. М а с с о и, Проблема неолитической революции в свете новых данных археологии, ВДИ, 1970, № 6, с. 75.

⁴ Р. М. М у н ч а е в, указ. соч., с. 7.

ნობლად ამუხრუქებს კავკასიის არქეოლოგიის განვითარების ტემპებს.

რამდენადაც მკვლევართა ერთობლივი აღიარებით ნეოლითური კულტურის განვითარება, ზოგადად, და ნეოლითური რევილუციის ძირითადი მომენტი — მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, კონკრეტულად, ხანგრძლივი პროცესია და სხვადასხვა რეგიონში არათანადროულად, არაერთგვაროვნად და სხვადასხვა გზით ვითარდებოდა, ბუნებრივია, რომ ზოგადი ხასიათის პრობლემის შესწავლა ცალკეული რაიონების სკურპულოზური კვლევის შედეგებს უნდა ემყარებოდეს.

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, ამ მხრავ გამოჩაქლის არც კავკასია წარმოადგენს, სადაც გეო-კლიმატური პირობებისა თუ ზონალური მრავალფეროვნების გამო, ცალკეულ ოლქებში ნეოლითური კულტურის განვითარება თავისებური ნიშნებით ხასიათდება⁵.

კავკასიის არქეოლოგიური მეცნიერების ახალი მოთხოვნების შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ ეს რაიონები უნდა იქნეს ცალ-ცალკე დეტალურად შესწავლილი, მათი ნეოლითური კულტურის გენეზისის, ასაკის, გავრცელებისა და კულტურის ისტორიის სხვა მხარეების გათვალისწინებით და მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ, მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერების გზით გაკეთდეს ზოგადი ხასიათის შორს მიმავალი დასკვნები. ე. ი. ძიება უნდა წარიმართოს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, როგორც ეს აეთდება შულავერ-შომუ თეფეს კულტურისა⁶ და ხუზისტანში (ირანი) დეხ ლურანის ხეობის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების შესწავლისას⁷.

დასახული მიზნის განსახორციელებლად, აგრეთვე, აუცილე-

⁵ ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 89—9; P. M. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, с. 8

⁶ თ. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.), მაცნე, 1967, № 23, გვ. 292; მათვე, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971; თ. კილურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.

⁷ Fr. Hole, K. V. Flannery, I. A. Neely. Prehistory and Human ecology of the Deh Luran Plain. An Early Village sequence from Khuristan, Iran, Ann Arbor, 1969.

ბელი პირობაა ახალ-ახალი და რაც შეიძლება მეტი უძრავი ფენების შემცველი (სასურველია, სტრატაცირებული) ძეგლების ძიება კავკასიის ყველა რაიონში, პირველ ყოვლისა, იმ უბნებში მაინც, სადაც ახალი ძეგლების გამოვლენის მეტი პერსპექტივა არსებობს. (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზოგადად დასავლეთ კავკასია, განსაკუთრებით კი დასავლეთ ამიერკავკასია, რომელიც ნეოლითური ძეგლების თავმოყრის ძირითად ცენტრს წარმოადგენს).

უკანასკნელ წლებში დასავლეთ ამიერკავკასიაში ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბაჯმა სასურველი შედეგი უკვე გამოიღო. დღეისათვის აჭარაში, გურიაში, ზემო იმერეთში, სამეგრელო-სა და აფხაზეთში ათამდე ახალი ნეოლითური ძეგლია გამოვლენილი, რომელთა არსებობის შესახებ ამ ხუთიოდე წლის წინათ არა ვიცოდით რა.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი ძეგლების ერთი ნაწილი მაინც (პალური, ხორში, დარკვეთის ეხი და ჩხორთოლი) დაურღვეველი ფენების შემცველი ძეგლებია. ამ აღმოჩენებმა არა მარტო გააღრმავა და გააფართოვა კავკასიის ნეოლითური პრობლემის კვლევა-ძიების სფერო, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში არსებითად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა ისეთ ძირეულ მომენტებთან დაკავშირებით, როგორიც არის დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული ნეოლითური კულტურის ერთგვაროვნებისა თუ მრავალფეროვნების საკითხი, მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების დრო და ხასიათი, სამიწათმოქმედო მეურნეობის დარგების რაგვარობა და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი ამ რიგის ძეგლებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, პალურის ნეოლითური ნამოსახლარის პუბლიკაციას ისახავს მიზნად. ამ საინტერესო ძეგლის უძრავი ფენიდან მომდინარე მასალების შესწავლისა და უკვე არსებული მონაცემების მოშველიების საფუძველზე, მოცემულია კავკასიაში ზონალური ხასიათის მქონე ახალი კულტურის გამოყოფის ცდა.

ნაშრომში წარმოდგენილი გრაფიკული ილუსტრაციები შეასრულა ა. ამბრიაშვილმა, ხოლო ფოტოსამუშაოები — ვ. ალაბინმა, რომელთაც მადლობას მოვახსენებთ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკითხის შესწავლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

კავკასიის ცალკეულ მხარეებს შორის, ნეოლითური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ ამიერკავკასია ანუ ისტორიული კოლხეთის ტერიტორია, სადაც კვლევის ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, არა ერთი ნეოლითური ხანის ძეგლია გამოვლენილი. მათი შესწავლის საფუძველზე დაიწერა და გამოქვეყნდა მრავალი კონკრეტული და განმაზოგადებელი ხასიათის გამოკვლევა, რის შესახებაც საუბარს ნეოლითის საკითხებისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ნაშრომში ვხვდებით. ამიტომ, მრავალგზის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, შევეხებით მხოლოდ იმ ძეგლებსა და გამოკვლევებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად წასწია წინ ნეოლითის შესწავლის საქმე როგორც ჩვენში, ისე, საერთოდ, კავკასიაში.

პირველი ძეგლი, რომლის აღმოჩენამ უცოლობლად დაადასტურა ნეოლითის არსებობა კავკასიაში, იყო ოდიშის (ზუგდიდის რ-ნი) ნამოსახლარი, რომელსაც 1936 წელს მიაკვლია და შეისწავლა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით¹.

ოდიში მეზოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლად იქნა მიჩნეული². ძეგლის ორფენიანობა არ გაიზიარა მეცნიერულმა საზოგადოებამ და გამოთქვა ვარაუდი მისი ადრე ნეოლითით დათარი-

¹ ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშის მოამბე, ტ. IV, 3, თბ., 1939, გვ. 263—371; American Journal of Archeology, 1933, v. XLII, № 1, p. 147.

² ალ. კალანდაძე, იქვე.

ლების შესახებ³. მოგვიანებით ოდიშის თარიღი კიდევ უფრო დაზუსტად და ამჟამად იგი გვიანნეოლითური ხანის ძეგლადაა მიჩნეული⁴, რაც რამდენადმე უფრო ახლოა ქვეშარიტებასთან. ჩვენი აზრით, ოდიშის ნამოსახლარი განვითარებული ნეოლითის ძეგლია და გამოირიცხული არ არის, რომ უკანასკნელი წლების აღმოჩენების (ხორში, I გალი, ჩხორთოლი) საფუძველზე, მისი თარიღი კიდევ ერთხელ დაკონკრეტდეს ასეა თუ ისე, ერთი უდავოდ ცხადია, რომ ოდიში ნეოლითური ხანის კლასიკური ძეგლია. კავკასიაში ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი ნამოსახლარი, სადაც ასევე სრულად იყოს წარმოდგენილი მალაღანვითარებული ნეოლითური კულტურის ამსახველი კერამიკული, კაჟისა და რიყის ქვის ნრავალფეროვანი მასალა, როგორც ეს ოდიშშია მოპოვებული.

ოდიში სერების სახით იძლევა განვითარებული ადრე სამიწათმოქმედო მეურნეობის სრული ციკლის ამსახველ ქვის ისეთ იარაღ-ხელსაწყოებს, როგორიც არის: გახეხილ-გაპრიალებული ცული და თოხი; გათლილ-გაჩოქნილი, მახვილწვერიანი, ე. წ. პიკისებური მაკროლითური იარაღება; ნამგლისპირა, საცეხვი, ხელსაფქვაკვი და სხვ. ამ მასალების მნიშვნელობა რატომღაც ადრესამიწათმოქმედო კულტურებით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ ყოველთვის სათანადოდ არ არის შეფასებული, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათი სამეურნეო დანიშნულება არასწორადაა გაგებული, მაგალითად, გახეხილ-გაპრიალებულ თოხებს, როგორც წესი, პირწმინდად ცულებად ან სატეხ-სათლელებად მიიჩნევენ, გათლილ-გაჩოქნილ მაკროლითებს ცულის ნამზადებთან აიგივებენ, ხოლო საცეხვებს — სანაყ-სასრესი იარაღისათვის დამახასიათებელ სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ოდიშის მასალები დარღვეული ფენებიდან მომდინარეობს, რაც მათ (ხელსაფქვაკვები, გახვრეტილი ცულები თუ თოხის პავგარი იარაღები) ნეოლითურ წარმომავლობას საეჭვოს ხდის.

ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, აღარბებს და აქნინებს გა-

³ Н. В. Хоштария. Археологические разведки в бассейне р. Энгурги, 1940, (ხელნაწერი), Тб., с. 16; А. А. Формозов, Из истории передвижения групп первобытного человека в эпоху мезолита, СЭ, № 1, 1953, с. 171.

⁴ ლ. ნეზირიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 71—87; А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, М., 1962, с. 147.

ძოვლენილი კულტურის სურათს და გლობალური მნიშვნელობის სამეურნეო თუ სოციალურ საკითხებზე მსჯელობისას, შორს მიმავალი, არასწორი დასკვნების გამოტანის საფუძველი ხდება⁵. როგორც უკვე ითქვა, ოდიშის მასალები დარღვეული ფენებიდან მომდინარეობს, რაც, ბუნებრივია, ამცირებს მათ მეცნიერულ ღირებულებას. სამწუხაროა, რომ ძეგლის აღმოჩენიდან დღემდე განვლილი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ოდიშის ნამოსახლარზე მუშაობა არ განახლებულა, და დღესაც მსჯელობა გეხდება 30-იან წლებში მოპოვებული მასალების მიხედვით. ვითვალისწინებთ რა ოდიშის მნიშვნელობას კავკასიის, როგორც ერთ-ერთი ადრე საბიწათმოქმედო ცენტრის მიმართ, აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება გადაუდებელ ამოცანად გვეჩვენება. ახალი ძეგლების ძიების პარალელურად უთუოდ უნდა განახლდეს და გაფართოვდეს ოდიშის ნამოსახლარის შესწავლა ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს კისტრიკის ნამოსახლარზე (გუდაუთის რ-ნი), და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გამოყენებით მკვლევართა ხელში აღმოჩნდება უძრავი ფენებიდან მომდინარე ახალი, სრულფასოვანი მასალა, რასაც ასე მოისაკლისებს კავკასიის არქეოლოგია. ოდიშის ნამოსახლარი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ, შეიძლება ითქვას, მისმა აღმოჩენამ ერთგვარი აღმავლობა გამოიწვია და გააფართოვა ამიერკავკასიის ნეოლითური ეტაპისადმი მკვლევართა ყურადღება.

ახალ-ახალი ნეოლითური ძეგლების ძიება-შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა 50-იანი და 60-იანი წლები, როცა ნეოლითური ძეგლები აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში გურია-აჭარაიდან მოყოლებული მისი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთების ჩათვლით. აღნიშნული ორი ათეული წლის განმავლობაში მიკვლეული ძეგლების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ თოთოეული მაუგანის მოკლე დახასიათებაც კი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, ამჯერად მხოლოდ მათი ჩამოთვლით უნდა დავემყოფილდეთ, რათა ხაზი გაესვას

⁵ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, მაკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, 3, გვ. 99—100; ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 42; А. А. Ф о р м о з о в, О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа, КСИА, вып. 137, с. 37; Р. М. М у н ч а е в, Указ. . соч., с. 75—78; А. И. Д ж а в а х и ш в и л и. Строительное дело и архитектура южного Кавказа, V—III тыс. до н. э. Тб., 1973, с. XIV—XV.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადგილია და მნიშვნელობას, როგორც ნეოლითური ძეგლების თავმოყრის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს კავკასიაში. ესენია: ხუცუბანი, კინკიშა, ჩოლოქი, ჩაქვი, მახვილური და ბეშუმბი — აქარაში⁶; მეტეოსადგური, მიწისციხე, მამათი, გურიანთა, ბზვანი, ექადია, ნარუჯა, ვაკიჯვარი, გოშველი, საირმია, შერია და სხვ — გურიაში⁷; ურთა⁸, ტყაია, პალური, პატარა ზანა, დიდი ზანა, საცხვიტაო ნახარებო, მენჯი, უშაფათი, ჭიხუ. ეკი და სხვ. — სამეგრელოში⁹; კისტრიკი¹⁰, ნიუნაია შილოვკა¹¹, ხუპი-

⁶ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, 1964, გვ. 7—16; ს. გოგიტიძე, ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი კინკიშას ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, 1969; მისივე, ნეოლითური ხანის ძეგლები მ. ჩოლოქის საპროზე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974, გვ. 4—29; მისივე, მასალები ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის სადგომთა შესწავლისათვის, 1968 (ხელნაწერი); მისივე, მახვილურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარი, 1970 (ხელნაწერი); მისივე, Неолитическая культура юго-восточного причерноморья. авторский диссерт. на соиск. учен. степ. канд. ист. наук, Тб., 1975; ა. ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები (მოკლე ანგარიში), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974, გვ. 154—170.

⁷ ლ. ნებიერიძე, ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასუელიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963, გვ. 151—181; მისივე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; ნ. ბერძენიშვილი, უძველესი ნამოსახლარები სოფ. გურიანთაში, ვახ. ლენინის დროშა, № 117, 1963; Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველო-სადაკავსიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, 1955, გვ. 77; ო. ჭაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—3, 1950, გვ. 110;

⁸ Н. В. Хоштария, Археологические разведки в бассейне р. Энгури, Тб., 1940, с. 16.

⁹ გ. გრიგოლია, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმის 1965 წ. მუშაობის შედეგები, XV სამეც. სესია, მიძღვნილი 1965 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1966, გვ. 5—8; მისივე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 18 2); გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე ვ. ჭაფარიძე, ჯ. ჯღამაია, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 25—30; გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოსა და

ნიფშაფხვა¹², I გალი¹³, ლუმურიში¹⁴, ჩხორთოლი¹⁵ — აფხაზეთში, ლებიჭვი — სვანეთში¹⁶; დარკვეთის ეხი — ზემო იმერეთში¹⁷ და სხვა.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ ამიერკავკასია დატვირთულია ნეოლითური ძეგლებით, რომლებიც თითქმის თანაბრად არის განაწილებული ყველა მის ისტორიულ პროვინციაში. კოლხეთის ბარის ფარგლებში ამ მხრივ თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს ქვემო იმერეთის ტერიტორია, რომელსაც გეოგრაფიულად შუალედი ად-

კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, 1973, გვ. 17—37; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მ. ნ ი ო რ ა ძ ე, სამეგრელოს ქვის ხანის საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ. ლს გვ. 6—8; Г. Григолия, Н. Окпаридзе, М. Барамидзе, В. Джапаридзе, Д. Джгама, Итоги работ Энгурской археологической экспедиции 1969—1970 гг., Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тб., 1971, с. 59—62.

¹⁰ В. А. Луккин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА. XII, 1950. с. 247—286.

¹¹ А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, № 102. 1962, с. 89—149; Л. Н. Соловьев, Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижне-Шилловское и Кистрик, «Материалы по археологии Абхазии», Тб., 1967, с. 3—38; Е го же, Об итогах археологических раскопок в гроте Хупшшпшахва в 1960 г. Тр. АИЯЛИ, XXXII, Сухуми, 1961.

¹² Л. Н. Соловьев, Неолитические поселения Черноморского побережья Кавказа, Нижне-Шилловское и Кистрик, Материалы по археологии Абхазии», Тбилиси, 1967, стр. 3—38; Е го же, Об итогах археологических раскопок в гроте Хупшшпшахва в 1960 г. Тр. АИЯЛИ XXX I, Сухуми, 1961.

¹³ მ. გაბუნია, 1 გალის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1974 წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, 1975 (ხელნაწერი).

¹⁴ კ. კალანდაძე, ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1973, გვ. 125—139.

¹⁵ კ. კალანდაძე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 176—189.

¹⁶ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 93.

¹⁷ დ. თუშაბრაძეშვილი, ლ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე, ყვირილის ხეობისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1970—1971 წლების ძირითადი შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 9—10.

გილი უპირავს ნეოლითური ძეგლების გავრცელების ძირითად რაიონებს— გურია-სამეგრელოს შორის.

ეს ფაქტი აშკარად შეუსაბამოა და გარკვეულ განმარტებას საჭიროებს, მით უფრო, რომ საქმე ეხება რაიონს, რომელმაც ნეოლითური აღმოჩენებით მკვლევართა ყურადღება, შეიძლება ითქვას, ოდიშზე უფრო ადრე მიიპყრო¹⁸. ქ. ქუთაისის მახლობლად, თეთრამიწას ბორცვზე, ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ პ. ჭაბუკიანმა, 1926—1934 წლებში, შეაგროვა დიდალი არქეოლოგიური მასალა კაყისა და რიყის ქვის იარაღ-ანატეკეების სახით. მასში შედის კაჭრები (9 ც.), ნუკლეუსები (40 ც.), ანამტერეც-ანატეკეები (180 ც.), ლამელები და მათი ნატეხები (115 ც.), ობსიდიანის ანატეკე-ლამელები, კაყის სხვადასხვა სახეობის საფხეკები (91 ც.), საჭრისები, სახვრეტები (12 ც.), კომბინირებულ-დუბლირებული იარაღები (11 ც.), რიყის ქვის გრდემლები (7 ც.), ხელსაფქვევი ქვის ნატეხები (30 ც), სხვადასხვა ზომის სატეხ-საჭრეთლები (100-ზე მეტი), თოხები (13 ც.), მაკროლითები (5 ც), კაყის ორმხრივ-დამუშავებული, დაკბილული ნამგლის ჩასართები (19 ც.); ორმხრივატეკილი ისრისწვერები (34 ც.), ქვის სამაჯურის ნატეხები და სხვა¹⁹.

ეს მასალები გამოაქვეყნა ნ. კილაძემ (ნ. ბერძენიშვილმა) და იგი განვითარებული ნეოლითით დაათარილა, თუმცა მანვე ბ. პიოტროვსკის მსგავსად კოლექციაში შემავალი ქვის სამაჯურები იმთავითვე მომდევნო ხანის ნაწარმად მიიჩნია²⁰. მოგვიანებით ახალი ნეოლითური ძეგლების აღმოჩენის საფუძველზე არა ერთხელ გამოითქვა ეჭვი თეთრამიწის ნეოლითური თარიღის გამო²¹. ამ სა-

¹⁸ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский, Г. В. Подшецкнй, Могильник в Нальчике, МИА, 3, 1941, с. 114; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, с. 28.

¹⁹ ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 237—264.

²⁰ ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 260—261; Б. Б. Пиотровский, указ. соч., с. 28.

²¹ А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, М., с. 146; Е го же, Неолит и энеолит северо-западного Кавказа в свете последних исследований, СА, № 3, 1964; Д. М. Тушабрамшвили, Итоги работ палеолитической экспедиции Квирильского ущелья (Чнатурский район) за 1963—1964 гг. Материалы сессии посвященной итогам археологических исследований 1964 года СССР, Баку, 1965, с. 55; შ ი ს ი ე ვ, შუა კავკასიონის სა-

კითხს საგვარჯილეს II ფენის თარიღთან ერთად განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო ლ. ნებეირაძე, რომელმაც თეთრამიწა-საგვარჯილეს მასალებიდან გამოჰყო ათი ისეთი მოგვიანო ნიშანი, რომელიც თითქოს არატიპურია ნეოლითური ხანის ძეგლებისათვის. ესენია: 1. მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული ფორმების არარსებობა, 2. კაჟის იარაღების ნამზადებად ანატკეცების გამოყენება და მათი დამუშავების დაბალი დონე, 3. საჭრისების არარსებობა, 4. ისრის წვერების სიმრავლე, 5. ტრაპეციის მსგავსი განივკვეთის მქონე გახეხილ-გაპრიალელებული რიყის ქვის იარაღების მოჭარბება, 6. თეთრამიწის ზოგიერთი თოხის მსგავსება სოკი-ადღერის ტიპის მასალებთან, 7. მოგრძო, ოვალური მოყვანილობის ხელსაფქვავეების არსებობა, 8. „მტკვარ-არაქაის“ კულტურის ნაშოსახლარებისთვის დამახასიათებელი კაჟის დაკბილული ორმხრივ-დამუშავებული ნამგლისპირების სიმრავლე, 9. კვირისტავების აღმოჩენის ფაქტი და 10. ფიქალისა და ქვიშაქვის სამაჩურების არსებობა.

ასეთია დაახლოებით თეთრამიწის მოგვიანო ნიშნების ერთობლიობა, რის საფუძველზეც თეთრამიწა ლითონის ხანით დათარიღდა. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ძეგლის გადათარიღების საფუძველად გამოყენებული ათივე ნიშანი ანგარიშგასაწევია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მათ გადაჭარბებული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, ყველა მათგანი არ არის ტოლფასოვანი და ზოგი გარკვეულ ანსნა-განმარტებას საჭიროებს. მაგალითად, ხომ ცნობილია, რომ თეთრამიწაზე საგანგებო ფართო მასშტაბის მეცნიერული კვლევა-ძიება არ ჩატარებულა, მასალების უდიდესი ნაწილი არა სპეციალისტის (პ. ჭაბუკიანი) მიერ არის შეგროვილი, რომელსაც სავსებით შესაძლებელია მხედველობიდან გამორჩენოდა მიკროლითური იარაღები. არც ის არის გამორიცხული, რომ გეომეტრიული მიკროლითების არარსებობა თეთრამიწის კულტურის თავისებურება იყოს, როგორც ამას ადგილი აქვს წინა აზიისა (ბეიდა, იერიქონი, ჩათალ ჰუიუკი,

მხრეთ კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილის რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული სავსე მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1960; დ. თუ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი რ ა ძ ე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, „მაცნე“, 1971, № 4, თავის სერია, გვ. 76—83.

აშკელი ჰუიუკი და სხვ.)²² და შულავერ-შომუთედეს ნეოლითური ხანით დათარიღებულ ძეგლებში²³. სუსტია და კრიტიკას ვერ უძლებს თეთრამიწის გადათარიღების მიზნით ნამზადებად ანატკეცების გამოყენებისა და იარაღთა კეთების დაბალი დონის დასახელება. როგორც უკანასკნელი ხანის აღმოჩენებით დადასტურდა, ასეთი ტექნიკური ნიშნება ტიპურია I გალისა²⁴ და ხორშის²⁵ უკერაშიკო ნეოლითური ძეგლებისათვის. ვუიქრობთ, შეცდომაა თეთრამიწის მასალებისათვის საჭრისების არადაზიხასათებელ ელემენტად გამოცხადება²⁶. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იარაღის ეს ტიპი ძეგლის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა და რაოდენობრივი თვალსაზრისით, საუხვეების შემდეგ მეორე ადგილზეა²⁷. მართალია, თეთრამიწაზე საჭრისებებს რაოდენობა, გვიანნეოლითურ ძეგლებთან შედარებით, მცირეა და მათ ნამზადებად უმეტეს წილად ანატკეცებია გამოყენებული, მაგრამ იგი უთუოდ ანგარიშგასაწევი ელემენტია. საჭრისებს ასევე დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავია ხორშისა და I გალის ნეოლითურ მასალებში²⁸.

თეთრამიწის გადასათარიღებლად აგრეთვე არა მყარია ყუნწიანი ისრისწვერების რიცხობრივი მაჩვენებლების დასახელება. რაც მთავარია, ასეთ იარაღებს უკვე იცნობს ნეოლითური ეტაპი (მიწისციხე, კისტრიკი, ოდიში, ქვემო შილოვკა)²⁹ და მათი რაოდენობის მატება ან შემცირება ცალკეულ შემთხვევებში სხვადა-

²² D. K i r k b r i d e, Five Seasons at the Pre-Pottery Neolithic Village of Reidha in Jordan, PEQ, 1966; D. K i r k b r i d e, A Brief Report on the Pre-Pottery flint Culturs of Jericho, PEQ, 1960, july-dec. p. 116—119; P. Bialor, The chipped Stone Industry of Catal Hüyük, AS, XII, 1962, p. 67—110; I. Mellaart, Excavations at Catal Hüyük, AS, XIV, p. 103—111; I. Todd, Asik li Hüyük, A Protoneolithic Site in Central Anatolia, AS, XVI, 1966.

²³ თ. კ ი ლ უ რ ა ძ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, 1976, გვ. 17—18, 143—144.

²⁴ მ. გ ა ბ უ ნ ი ა, I გალის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1974 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში, თბ., 1975 (ხელნაწერი).

²⁵ Г. Г р и г о л и я, Г. М и р ц х у л а в а, Итоги работ Археологической экспедиции по изучению каменного века Мингрияни, Полевые археологические исследования в 1974 году, Тб., 1976, с. 10—12.

²⁶ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 85

²⁷ ნ. კ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 246.

²⁸ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მ. მ ი რ ც ხ უ ლ ა ე ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; მ. გ ა ბ უ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 3, 10—11.

²⁹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 77—78.

სხვა მიზეზებით (მეურნეობის ხასიათი, სოციალური დონე და სხვ.) შეიძლება აიხსნას და არა მათ ასაკში არსებული სხვაობით.

ვფიქრობთ, ასევე ნაჩქარევია თეთრამიწის მოგრძო, ოვალური მოყვანილობის ხელსაფქვაების ლითონის ხანის ნაწარმად გამოცხადება. ანალოგიური ნაკეთობანი კარგად არის ცნობილი ოდიშიდან³⁰, ჩხორთოლიდან³¹, I გალიდან³² და მათი ნეოლითური ასაკი ეკვს არ უნდა იწვევდეს, მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში, რამდენიმე ასეთი ხელსაფქვავი ხორშის ადრე ნეოლითური ნამოსახლარის უძრავად დაცულ ფენაშიც იქნა აღმოჩენილი³³.

ჩვენთვის ასევე გაუგებარია, თუ რატომ არის გახეხილ-გაპრიალებული, თუნდაც ტრაპეციული განივკვეთის მქონე იარაღების სიმრავლე ნეოლითური ხანის ძეგლებისათვის ატიპიური³⁴. ასეთი იარაღები, მართალია, ინერციით ენეოლითური ხანის ძეგლებში განაგრძობენ არსებობას, მაგრამ თეთრამიწისაგან განსხვავებით. მკვეთრად მკვირდება მათი რაოდენობაცა და ზომებიც. ამკარაა, თეთრამიწაზე ცალპირლესილი იარაღების რიცხოზობივი მაჩვენებელი მაღალია, ვიდრე ცულებისა, მაგრამ ყველა მათგანის ხელალებით ცულებად ან სატეხ-სათლელებად გამოცხადება, არასწორად მიგვაჩნია. როგორც ამ იარაღების სამუშაო ელემენტის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, მათი უმრავლესობა თოხებს უნდა წარმოადგენდეს. ე. ი მათი სახით საქმე უნდა გვქონდეს სამიწათმოქმედო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად იარაღთან და მათი მაღალი რიცხოზობივი მაჩვენებელი თეთრამიწას ნამოსახლარს ახასიათებს, როგორც გვიან ნეოლითური ხანის ადრესამიწათმოქმედო ძეგლს.

ვფიქრობთ, ასევე არასწორია თეთრამიწაზე აღმოჩენილი მრგვალი, ბრტყელი, შუაში გახვრეტილი ქვების კვირისტაეებად მიჩნევა და მათი პარალელების ძიება ანშთირის, ვორონცოვის მღვიმის, ოჩამჩირის, მერსინის, ამუქისა და სხვა ლითონის ხანის

³⁰ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXVIII-8.

³¹ კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 181, ტაბ. XII-1—3.

³² მ. გ ა ბ უ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15.

³³ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, სამკრელოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1976 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები, 1977, თბ., გვ. 8 (ხელნაწერი).

³⁴ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

ძეგლებში³⁵. უკანასკნელ ხანებში ერთი ასეთი ნივთი აღმოჩენილ იქნა ჩხორთოლის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე, რომელსაც კ. კალანდაძე ბადის საწაფად მიიჩნევს³⁶. რამდენიმე ანალოგიური საგანი მოგვცა აგრეთვე ხორშის ადრენეოლითური ნამოსახლარის დაურღვეველმა ფენამ. ჩვენი დაკვირვებით ამ ნივთებს, ისევე როგორც თეთრამიწის მონაპოვრებს, ბევრი არაფერი აქვთ საერთო კვირისტავებთან და უფრო საკულტო-სარიტუალო საგნებს უნდა წარმოადგენდნენ. გარეგნული ნიშნებისა და მოგვიანო პარალელების მიხედვით, ისინი მზის სიმბოლურ ვამოსახულებებს უახლოვდებიან, რაც დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ადრე სამიწათ-მოქმედო კულტურის სათავეებთან ნაყოფიერების კულტის არსებობას გვაგარაულებინებს. ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, თეთრამიწის გადათარილების მიზნით გამოყენებულა ფაქტების დიდი ნაწილი არა მყარი და ნაკლებად სანდოა, რასაც ვერ ვიტყვოდით ქვის სამაჯურების, ქუსლამოლარული ისრისპირისა³⁷ და ორმხრივდამუშავებული, პირდაკბილული ნამგლის ჩასართების მიზართ. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში თეთრამიწის ანალოგიური ქვის სამაჯურები აღმოჩენილ იქნა ხასუნას კულტურის წინარე პერიოდის ტელ-სოტოს გათხრების დროს (რომელიც ახლო მსგავსებას იჩენს შულავერ-მომუთეფეს კულტურის ძეგლებთან), თეთრამიწის ამ მასალისათვის ნეოლითური ასაკი მაინც საექვო ჩანს³⁸. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას ნამგლის ჩასართებზე, რომელიც მტკვარ-არაქსის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნაწარმია. ეს მასალები ჯერჯერობით აშკარად არა ნეოლითურია, მაგრამ მათ საფუძველზე თეთრამიწის ძირითადი კოლექციის ენეოლითით, ან, მით უფრო, ბრინჯაოს ხანით, დათარილება არ უნდა იყოს სწორი, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი მუსტიეური თუ ანტიკური ხანის ძეგლად გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ თეთრამიწაზე ამავე დროის მასალებიც მოიპოვება.

³⁵ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

³⁶ კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 183, ტაბ. VII-12.

³⁷ თეთრამიწის მსგავსი, ორმხრივატკეცილი, ქუსლამოლარული ისრისწვერა აღმოჩნდა მიტლევესკის (გულრიფშის რ-ნი) ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარზე იხ. Ю. Н. В о р о н о в, Ранненеолитическое поселение у сел. Цебелда, СА, 4, 1970, с. 176, рис. 32.

³⁸ ნ. კ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 259—260; Б. Б. П и о т р о в с к и й, Археология Закавказья, 1949, с. 28.

საყოველთაო აღიარებით თეთრამიწა მრავალფენოვანი ძეგლია, რომელიც სამოსახლოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე (მუსტიე-ანტიკური ხანა) ყოფილა გამოყენებულ³⁹ და ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, ძირითად ნეოლითურ მასალებში როგორც ადრეული, ისე მოგვიანო მასალების შერევა.

გამორიცხვის მეთოდით თეთრამიწამ სავსებით კანონიერად უნდა დაიკავოს კუთვნილი ადგილი გვიან ნეოლითური ხანის ძეგლებს შორის. ჩვენი აზრით, თეთრამიწა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია, რომლის შესწავლა სასურველია მომავალშიც გაგრძელდეს.

ამრიგად, როგორც თეთრამიწის კრიტიკულმა ანალიზმა დაგვანახვა, ნეოლითური კულტურა არც ქვემო იმერეთის რეგიონისათვის არის უცხო, რაც სავსებით ლოგიკურია. ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ხსენებულ კუთხეში ნეოლითური ძეგლების მიზანდასახული ფართო მეცნიერული კვლევა-ძიება ჯერ კიდევ არ ჩატარებულა და ვითვალისწინებთ რა ამ მხარის მრავალმხრივ პერსპექტიულ მონაცემებს, მომავალში მისგან ბევრს უნდა მოველოდეთ.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებისადმი მკვლევართა გაზრდილმა ყურადღებამ გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მიუხედავად ამისა, გვერდს ვერ ავუვლით და მოკლედ მაინც უნდა დავახსიათოთ რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა, რომელთა ფურცლებზე, საერთო კავკასიის არქეოლოგიურ საკითხებთან ერთად, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის ძირითადი პრობლემებიცაა გაშუქებული.

ამ რიგის ნაშრომებს შორის უნდა დავასახელოთ ა. ფორმოზოვის ვრცელი გამოკვლევა „Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа“, სადაც ყირიმის ნეოლითთან შეპირისპირებით განხილულია დასავლეთ კავკასიის ძირითადი ძეგლები და მრავალი საყურადღებო დებულებაა წამოყენებულ⁴⁰.

³⁹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 87; დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის, მაცნე, 1971, № 4; იახის სერია, გვ. 76—83; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 3—23.

⁴⁰ А. А. Ф о р м о з о в, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИЯ, 102, М., 1962, с. 89—149.

იმ დროისათვის არსებული მასალების სრულად გათვალისწინებით, ა. ფორმოზოვმა დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად გაყო. პირველ ჯგუფში გააერთიანა ოდიში, კისტრიკი, ანასეული II და ნიენაია შილოვკის უძრავი ფენების შემცველი ნამოსახლარი⁴¹. მეორე ჯგუფში კი შეიყვანა სოჭი-ადღერის ტიპის ძეგლები. ამრიგად, მან გამოყო კავკასიის ნეოლითური კულტურის განვითარების ორი ფაზა, ორი თანამიმდევრული ეტაპი — ადრეული, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია მეზოლითური ნიშნები და გვიანი — განვითარებული ნეოლითის ტიპიური ინდუსტრიით⁴².

დასავლეთ ამიერკავკასიის მასალების ზოგიერთ თავისებურებათა გათვალისწინებით (ორმხრივდამუშავებული სეგმენტები, თავგამოყვანილი ლამელები, სოჭი-ადღერის ტიპის ცულები და სხვ.) ა. ფორმოზოვმა ყურადღება გაამახვილა და თვალი გაადევნა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და წინა აზიის კულტურებს (ნატუფია) შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობას ნეოლითის ხანაში⁴³. სწორედ ასეთი ურთიერთობის საფუძველზე ვარაუდობს ავტორი კავკასიის შავიზღვისპირეთში ადრემწარმოებლური ფორმების ჩასახვასა და განვითარებას⁴⁴.

ამჟამად შეიძლება მოძველებულად მივიჩნიოთ ა. ფორმოზოვის მიერ შემუშავებული კავკასიის ძეგლების ორ ჯგუფად დაყოფის პრინციპი, დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ მას ადრესამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების გზების, მათი ჩასახვის დროისა და ხასიათის შესახებ, მაგრამ ერთი კი უდაოდ ცხადია, რომ განხილული ნაშრომი არის პირველი ცდა კავკასიის ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური კლასიფიკაციისა და საერთოდ, ყოველმხრივი მონოგრაფიული შესწავლისა.

ანალოგიური ნაშრომების რიგში უნდა განვიხილოთ რ. მუნჩაევის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „Кавказ на заре

⁴¹ А. А. Формозов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 124.

⁴² А. А. Формозов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 124, 148.

⁴³ А. А. Формозов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 136—137; მისივე, *Неолит и энеолит Северо-Западного Кавказа, в свете последних исследований*, СА, 1964, № 3, გვ. 9—41. მისივე, *Каменный век и энеолит Прикубанья*, М., 1967, с. 59—61.

⁴⁴ А. А. Формозов, *Неолит Крыма...*, с. 38.

бронзового века“. როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, ნაშრომში ძირითადი აქცენტი შედარებით მოგვიანო ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურებზეა აღებული, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საკითხებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შესავალსა და პირველ ორ თავში⁴⁵.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ ეხება მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების გზებისა და ფორმების საკითხებს, რომელმაც დასაბამი დაუდო ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში მომხდარი „რევოლუციური“ ხასიათის ცვლილებებს გლობალური მასშტაბით. ამ ფონზე იშლება მსჯელობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოყოფილი სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის სამი ძირითადი კერის: შუა აზიის (სამხრეთში), კავკასიის და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის (მოლდავეთი და მარჯვენა ნაპირის უკრაინა)⁴⁶ ისტორიული მნიშვნელობისა და მათი თანამედროვე შესწავლილობის დონეზე. ბუნებრივია, დასახელებული სამი ცენტრიდან რ. მუნჩაევი საგანგებოდ ჩერდება კავკასიაზე, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დამაკავშირებელ ხიდზე⁴⁷. სადაც არსებობდა ყოველგვარი ეკოლოგიური და ისტორიული წანამძღვრები ადრემწარმოებლური ფორმების ჩასახვა-განვითარებისათვის და საიდანაც უნდა გავრცელებულიყო სამიწათმოქმედო კულტურა ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ვოლგისპირეთში⁴⁸.

ნაშრომის პირველი თავი, რომელიც ეხება კავკასიის უძველესი კულტურების შესწავლის ისტორიას, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით. აქ დაწვრილებითი ცნობებია თავმოყრილი კავკასიაში ნეოლითის, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კვლევის საკითხებთან დაკავშირებით — XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე უახლესი მიღწევების გათვალისწინებით⁴⁹.

⁴⁵ P. M. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, с. 5—79.

⁴⁶ В. М. Массон, Средняя Азия и древнейший восток, М.-Л., 1964, с. 82—122.

⁴⁷ P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ. გვ. 8—9.

⁴⁸ P. M. Мунчаев, იქვე, Н. Я. Мефферт, Древнейшая история населения степной полосы Восточной Европы, автореферат докт. дисерт., М., 1968.

⁴⁹ P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ., გვ. 13—54.

ამჯერად ჩვენთვის მაინც განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის მეორე — კავკასიის ნეოლითის შესწავლისადმი მიძღვნილი თავი, სადაც კავკასიის ყველა რეგიონი და მათ შორის დასავლეთ კავკასიაც ცალკეა გამოყოფილი და გარკვეული თვალაზრისით განხილული. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, დასავლეთ კავკასიაზე ყურადღების საგანგებოდ გამახვილება განაპირობა იმან, რომ კავკასიის ამ რაიონში ნეოლითური ძეგლები შედარებით უკეთ არის შესწავლილი, და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნებიც მეტი დამაჯერებლობით გამოირჩევა⁵⁰. ნაშრომის ამ ნაწილში თავმოყრილი და განხილულია სათანადო სპეციალისტების თანამედროვე შეხედულებანი ნეოლითის ყველა ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით, ეს იქნება კავკასიის ნეოლითური ეტაპის ქრონოლოგიური კლასიფიკაციის კულტურულ-ეკონომიკური თუ ახლო და შორეულ კულტურებთან დამოკიდებულების საკითხი. მართალია, ავტორს აღნიშნული საკითხები სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია, მაგრამ არც ფაქტების უბრალო კონსტატაციით კმაყოფილდება და ხშირ შემთხვევაში მათი კრიტიკული ანალიზის შედეგად, საკმაოდ ორიგინალურ დასკვნებს იძლევა. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ა. ფორმოზოვის ცნობილი მოსაზრება კავკასიაში ადრემწარმოებლური ფორმების წინა აზიიდან გავრცელების შესახებ, რასაც ავტორი საფუძვლად უდებს პალესტინისა და ეგვიპტის ე. წ. ნატუფიის კულტურის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტის (ორმხრივდამუშავებული მიკროლითები, თავგამოყვანილი ლამელები) გამოჩენას დასავლეთ კავკასიის გვიან ნეოლითურ ძეგლებში⁵¹. ამ მასალის საფუძველზე ა. ფორმოზოვი ნატუფიური ელემენტების გავრცელების გზის დადგენასაც კი ცდილობდა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროების გასწვრივ უნდა გასულიყო.

როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. მუნჩაევი, ამ დებულების საკმაოდ სუსტი რგოლია ნატუფიის კულტურებსა და დასავლეთ კავკასიის გვიან ნეოლითურ ძეგლებს შორის არსებული დიდი ქრონოლოგიური წყვეტილი, რაც შეუძლებელია აიხსნას ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ძველ აღმოსავლეთთან შე-

⁵⁰ Р. М. Мунчаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 65—66.

⁵¹ А. А. Формозов, *Неолит Крыма...*, с. 136—147; მისივე, *Неолит и энеолит Северо-западного Кавказа в свете последних исследований*, с. 9—11. მისივე, *Каменный век и энеолит Прикубанья*, с. 59—61.

დარებით კავკასიის რამდენადმე მნიშვნელოვანი ჩამორჩენით. ავტორი აქვე გვთავაზობს ხსენებული ფაქტის ახსნის ორ ვარიანტს, რომლის მიხედვით ან ნატუფური ელემენტების გავრცელება მათი გაჩენის მომენტშივე უნდა მომხდარიყო და უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემორჩა კავკასიაში, ანდა ეს იარაღები დამოუკიდებლად წარმოიშვნენ ჩვენში და გენეტიკურად არ არიან დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის კულტურებთან⁵².

ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკური ჩანს პირველი ვარაუდი, რომლის დამადასტურებელი ფაქტები კავკასიის ადრეულ ძეგლებში საკმაოდ მოიპოვება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გუბსის № 7 ფარდულში აღმოჩენილი, ორმხრივდამუშავებული სეგმენტი, რომელსაც თვით ა. ფორმოზოვი მეზოლითური ხანით ათარიღებს⁵³. სამი ასეთივე იარაღი დამოწმებულია ეძანის მასალებში, რომლის ასაკი საყოველთაო აღიარებით, აგრეთვე, მეზოლითზე უფრო მოგვიანო არ უნდა იყოს⁵⁴. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ იგივე ძეგლი 7 ნიმუშის სახით იცნობს ე. წ. რეტუშით თავგამოყვანილ ლამელას, რომელიც ლიტერატურაში ორმხრივმოპირდაპირე რეტუშიანი ლამელის სახელით იხსენება⁵⁵. ასეთივე იარაღები თუ მიმსგავსებული ფორმები ცნობილია მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი ხანის ძეგლებში: ქობულეთში⁵⁶, კინტრიშის ნამოსახლარზე⁵⁷ და სხვ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, რ. მუნჩაევის ერთ-ერთი ვარაუდი ფაქტურად დასტურდება, თუმცა არც მეორე შესაძლებლობაა გამორიცხული — კავკასიაში ნატუფური ფორმების დამოუკიდებელი გზით წარმოშობისა, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არა გვიან ნეოლითში, როგორც ეს ივარაუდება, არამედ მეზოლითსა და ადრე ნეოლითურ ხანაში.

⁵² Р. М. Мунчаев, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

⁵³ А. А. Формозов, Палеолитические стоянки в пещерах Прикубанья, КСИА, вып. 98, 1964, с. 9—17, р. 32.

⁵⁴ მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976, გვ. 35, ცხრ. 7, ტაბ. VII-9-11.

⁵⁵ მ. გაბუნია, დასახ. ნაშრ., გვ. 31, ცხრ. 2, ტაბ. IX-12.

⁵⁶ ს. გოგოტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა (ქობულეთის ადრე ნეოლითური ნამოსახლარი), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, ტ. V, თბ., 1975, გვ. 63.

⁵⁷ ნ. ბერიძეშვილი, ლ. ნებიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 1, თბ., 1964, გვ. 7—16, ტაბ. 11,-19; ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVI-32.

საყურადღებოა, აგრეთვე, რ. მუნჩაევის ახლებური მიდგომა ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისადმი. იგი არსებითად ეთანხმება ლ. ნებიერიძეს დასავლეთ ამიერკავკასიაში ორი ეტაპის, ადრეულისა და მოგვიანოს, არსებობის შესახებ, მაგრამ საჭიროდ მიიჩნევს მას დაემატოს კიდევ ერთი ეტაპი, სადაც უნდა გაერთიანდეს ე. წ. სოჭი-აღლერის ტიპის ძეგლები⁵⁸ და, ალბათ, თეთრამიწაც. არც ის არის ინტერესს მოკლებული, რომ რ. მუნჩაევი სხვა ავტორების კვალდაკვალ არ გამოირცხავს დასავლეთ ამიერკავკასიის მეორე ეტაპის ზოგიერთი ძეგლისა და შულავერ-შომუთეფეს კულტურის ადრეული კომპლექსების თანადროულობას და სხვა.

დასასრულს, შეიძლება ზოგი რამ სადაოდ მოგვეჩვენოს და ყველაფერში ვერ დავეთანხმებით ავტორს, მაგრამ უდავოა, რომ რ. მუნჩაევის ნაშრომი კავკასიის არქეოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია. მასში თავმოყრილი და მეტ-ნაკლები სისრულით განხილულია კავკასიის ნეოლითის ძირეული საკითხების დიდი ჯგუფი და მოცემულია მათი შესწავლილობის თანამედროვე დონის ამსახველი ნათელი სურათი.

ცალკე უნდა გამოიყოს ლ. ნებიერიძის მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც საგანგებოდ დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების შესწავლას ისახავს მიზნად⁵⁹. ხსენებულ ნაშრომში დასავლეთ საქართველოდან მომდინარე თითქმის ყველა ძირითადი ძეგლი (ანასეული I და II, გურიანთა, მამათი, კინტრიში, ხუტუბანი, კისტრიკი და ოღიში) დეტალურადაა განხილული, რომელთა ერთი ნაწილი თვით ავტორის მიერ ან მისი უშუალო მონაწილეობით არის მოპოვებული და, ამდენად, ეს მასალები პირველად შემოდის მეცნიერულ მიმოქცევაში. ნაშრომში განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ქვემო შალოვკის (აღლერის რ-ნი) მასალებზე, როგორც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის კულტურისა და ქრონოლოგიის საკითხების საყრდენ ეტალონურ ძეგლზე.

ნაშრომში დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიური კლასიფიკაციისა და კულტურული რაობის საკითხი აშკარად წინ არის წამოწეული და შედარებით, ანალიზისა თუ გამორიცხვის მეთოდების მომარჯვებით, წინამორბედი ავტორები-

⁵⁸ P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

⁵⁹ ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972

საგან განსხვავებით, საკმაოდ ორიგინალური დასკვნებია გაკეთებული.

მაგალითად, ლ. ნებიერიძე, ისევე როგორც ა. ფორმოზოვი, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად ჰყოფს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას ადრე ნეოლითურ ჯგუფში შეჰყავს ე. წ. უკერამიკო ნეოლითური ძეგლები: ანასეული 1 და კინტრიში, მეორე ჯგუფში კი აერთიანებს ოდიშს, ნიჟნაია შილოვკას, მამათს, გურიანთას და კისტრიკს⁶⁰. ე. ი. იმ ძეგლებს, რომელსაც ა. ფორმოზოვი ადრე ნეოლითურად მიიჩნევდა⁶¹, ა. ფორმოზოვისეულ გვიანნეოლითური ხანის სოკი-აღლერის ტიპის ძეგლები, ლ. ნებიერიძის აზრით, არა ნეოლითურია და ლითონის ხანით უნდა დათარიღდეს⁶². როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრებები რამდენადმე ემთხვევიან და ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის სხვაობაც აშკარად არსებობს. ლ. ნებიერიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სტრატეგიციურებული ძეგლების არარსებობის მიუხედავად, მან რამდენადმე შეავსო, დააზუსტა და მეტი სიცხადე შეიტანა ნეოლითის ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებში. განსაკუთრებით მოსაწონია ავტორისეული ცდა დაასაბუთოს დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითსა და ადრე ნეოლითს შორის გენეტიკური კავშირის არსებობა.

მეორე ჯგუფის ანუ გვიანნეოლითურ ძეგლებში ლ. ნებიერიძე გამოყოფს ორ ლოკალურ კულტურას და, რაც მთავარია, ცდილობს ნეოლითურ ძეგლებს მოუძებნოს ზედა ქრონოლოგიური საზღვარი. ამ მიზნით, იგი იშველიებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ე. წ. „შულავერ-შომუთეფეს“ ადრესამიწათმოქმედო კულტურებს, რომლის ქვედა აბსოლუტურ თარიღად ძვ. წ. V ათასწლეულია მიღებული. მართალია, ავტორი პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ როგორც მსკელობიდან ჩანს, „შულავერ-შომუთეფეს ტიპის ძეგლები მას დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის სფეროში შეჰყავს და ქრონოლოგიურადაც ე. წ. „ოდიშის ტიპის“ შემდგომი ეტაპის ძეგლებად მიაჩნია, რაც ნაკლებად დამაჯერებელია⁶³.

შულავერ-შომუთეფესა და ოდიშის ტიპის ძეგლებს შორის

⁶⁰ ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67—108.

⁶¹ А. А. Формозов, დასახ. ნაშრ., გვ. 124, 148.

⁶² ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93—95.

⁶³ P. M. Мунчаев, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

არსებული სხვაობა უფრო კულტურული ხასიათისა ჩანს, ვიდრე ასაკობრივი და ამ მომენტის გაუთვალისწინებლად მათი ქრონოლოგიური დაკავშირების მცდელობა ისევე ზოგად ჩარჩოებში რჩება, როგორც დასავლეთ საქართველოს ნეოლითსა და მტკვარ-არაქსის კულტურებს შორის კავშირის დამყარების ადრეული, არა ერთი ცდა⁶⁴.

ნაშრომში ასევე ნაკლებად დამაჯერებელია ანასეულ 1-ისა და კინტრიშის ადრენეოლითურ სადგომებში ობსიდიანის, როგორც ნედლი მასალის ბატონობის ფაქტის, სამეურნეო თავისებურებით ახსნა. ავტორის აზრით, იმის გამო, რომ ადრენეოლითელი ადამიანი ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას, ხშირად უხდებოდა ყოფნა ობსიდიანის საბადოებით მდიდარ რაიონებში, ხოლო გვიანნეოლითში ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ აიძულა იგი ხელი აეღო ამგვარ მასალაზე და საკუთარი მოთხოვნილება ამკერად ადგილობრივი ნედლეულით — კაჟით დაექმაცყოფილებინა⁶⁵.

მართალია, ავტორი ამ მოსაზრებას ვარაუდს უწოდებს, მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასზე შეჩერება ღირს. მაგალითად, თუ კი ავტორისეული ვარაუდა სწორია, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგი სახის კითხვებს: 1. რატომ არ იყო ხელშისაწვდომი ობსიდიანის ნედლეული დასავლეთ საქართველოში მოსახლე პალეოლითელი ან მეზოლითელი ადამიანისათვის. ისინი ხომ კიდევ უფრო მეტს მოძრაობდნენ? 2. რატომ ენიჭება ობსიდიანს უპირატესობა მხოლოდ ნეოლითის ადრეულ საფეხურზე და რატომ არის ამ ეტაპზე უგულებელყოფილი თავისი ტექნიკური თვისებებით გაცილებით მაღალხარისხოვანი კაჟი, რომელიც მრავლად მოიპოვება ყველგან დასავლეთ საქართველოში და რომელიც საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა ქვის ხანის ყველა ეტაპზე — აშელიდან მოკიდებული ნეოლითის ჩათვლით?

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ გურიი-აქარის ადრენეოლითური ძეგლები არ არის ადგილობრივი, დასავლური წარმოშობისა. იგი გენეტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს მესხეთ-ჯავახეთისა თუ თრიალეთის ობსიდიანის საბადოებით მდიდარი რაიონების კულტურასთან, საიდანაც დასავლეთ საქართველოში ობსიდიანთან ერთად შემოდის ქვის დამუშავების მრავალ-

⁶⁴ გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ნეოლითი. თბ., 1963.

⁶⁵ ლ. ნებეიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

ვალსაუკუნოვანი ტექნიკური ტრადიციები. თუ ასეთი ვარაუდი სწორია, მაშინ საესებით ლოგიკურია ვეძიოთ წმინდა დასავლური ამიერკავკასიული ადრენეოლითური კულტურა, რომელსაც კიდევ უფრო ღრმად უნდა ჰქონდეს გადგმული ფესვები ადგილობრივ მეზოლითში. ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმა ბევრ ახალს შესძენდა ისედაც კარგად აგებულ ნაშრომს.

როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა, რომლის მიხედვით, დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანაში გავრცელებული იყო ერთგვაროვანი და მეტად თავისებური ნეოლითური კულტურა, რომელიც განსხვავდებოდა მეზობელი ქვეყნების სინქრონული კულტურებისაგან (ჩრდ. კავკასია, წინა აზია, ყირიმი, სამხ. უკრაინა) და რომლის „შიგნით (მეორე ეტაპზე, გ. გ.) გამოყოფა ორი ლოკალური ვარიანტი. ერთი მათგანი მოიცავს დღევანდელი გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიას (ანასეული II, გურიანთა, მამათი, ოდიში), მეორე კი აფხაზეთის ტერიტორიას და ადღერის რაიონს (კისტრიკი, ნიუნაია შილოვკა)“⁶⁶. იქვე ავტორი დასძენს, რომ „დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ადრენეოლითური ძეგლების სიმცირის გამო, არ ხერხდება ამ საფეხურზე ლოკალური კულტურების გამოყოფა. ამავე მიზეზის გამო, არ არის დადგენილი დას. ამიერკავკასიის ერთიანი ნეოლითური კულტურის ზუსტი გავრცელების საზღვრები“⁶⁷.

მართალია, იმ დროისათვის, როცა განხილული ნაშრომი იწერებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე ხელმოსაყიდი მასალა, რაც ავტორს საშუალებას მისცემდა ადრეულ ეტაპზეც გამოეყო ლოკალური ვარიანტები, მაგრამ გვიან ნეოლითში დადგენილი ფაქტი თითქოს უკვე ადრეული ეტაპის მიმართაც ანალოგიური ვარაუდის დაშვების საცდური უნდა გამხდარიყო. ასეთ შესაძლებლობას არ გამოიციხავს რ. მუნჩაევი. მისი აზრით, „Локальные особенности, наблюдаемые в памятниках позднего неолита Западного Кавказа (возможно, они наметились еще в раннем неолите или даже мезолите), получают дальнейшее развитие.“⁶⁸ მართალია, ეს ვარაუდი მხოლოდ შეცნობილი ინტუიციის შედეგს წარმოადგენს, მაგრამ უკანასკნელი წლების ფაქტიური მონაცემების გათვალისწინებით, უთუოდ ახლოა ჰერმარიტებასთან (ხორში, I გალი).

⁶⁶ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

⁶⁷ ი ქ ვ ე, გვ. 91.

⁶⁸ P. М у н ч а е в, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

დასავლეთ ამიერკავკასიაში აღრენეოლითური ასაკის სხვადასხვაგვარი კულტურის არსებობის მაუწყებელმა ძეგლებმა პირველად თავი იჩინა 1964 წელს, როდესაც სვანეთში მესტიის მახლობლად, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა ქვის ხანის სადგომი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ლებიქვის უწოდებს. ადგილზე ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრებითა და ზედაპირულად შეგროვილი მასალების მიხედვით აშკარად ჩანდა, რომ ლებიქვის მასალებს დასავლეთ ამიერკავკასიაში ანალოგი არ მოეპოვებოდა. იმ დროისათვის ძეგლი სავარაუდოდ ნეოლითის ხანას მივაკუთვნეთ. მეორე ასეთი ხასიათის ძეგლს მივაკვლიეთ 1965 წელს მდ. ენგურის შუა წელზე სოფ. ტყაიაში. იქ ზედაპირულად აიკრიფა 100-მდე იარაღ-ანატკეცი კაყისა, რომელთა შორის გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის ამორფული საფხეკები, საჭრისები, გვერდრეტუშირებული ანატკეცები. ბრტყელი ნუკლეუსები, შურდულის ქვა, რიყის ქვის სატეხი თუ თოხი და სხვ. ეს მასალები როგორც ტიპოლოგიურად, ისე პირველადი (ანატკეცთა ტექნიკა) და მეორადი დამუშავებით, ლებიქვისთან ერთად არსებითად განსხვავდებოდა კოლხეთის დაბლობზე მანამდე ცნობილი ყველა ნეოლითური ძეგლებისაგან. ამის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ ტყაია-ლებიქვის სახით საქმე გვაქვს ახალი ქვის ხანის ლოკალურ კულტურასთან, რომლის გავრცელების საზღვრები მოიცავდა ცენტრალური კოლხეთის მთის წინა ზოლს და შესაძლოა ნაწილობრივ მთიან რაიონებსაც⁶⁹.

ეს ვარაუდი სავსებით დაადასტურა 1969—1970 წლებში პალურის (წალენჯიხის რ-ნი) აღმოჩენებმა. პალურის შესწავლის შედეგად აშკარა გახდა დასავლეთ ამიერკავკასიაში ახალი, მანამდე უცნობი უკერამიკო ნეოლითური კულტურის არსებობის ფაქტი, რომელსაც თითქმის არაფერი აქვს საერთო დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებთან.

ამ აღმოჩენამ ცენტრალური კოლხეთი დააკავშირა, ერთი მხრივ, მდ. ბაქსანის ხეობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთის ძეგლების გარკვეულ ჯგუფთან (ნაგუთნის ტიპის ძეგლები) და მეტ-ნაკლები სისრულით მოიხაზა ახალი ნეოლითური კულტურის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები.

⁶⁹ გ. გ. რ. ი. გ. ო. ლ. ი. ა., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი რაზმის 1965 წ. მუშაობის შედეგები, XV სამეც.იერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1966, გვ. 5—8.

ახალი კულტურა თავისი გავრცელების არეალით არ არის მხოლოდ დასავლეთ-ამერიკავკასიული, და გენეზისით ისევე გარე წარმოშობისა ჩანს, როგორც მისი სამხრეთ-დასავლეთ რაიონების ძეგლები: ანასეული I, კინტრიში, ჩოლოქი და სხვ

როგორც უკვე ითქვა, ახალი კულტურის გამოყოფა მოხერხდა მხოლოდ პალურის ნამოსახლარის აღმოჩენის შემდეგ, რის გამოც ნაშრომში ძირითადი ყურადღება ეთმობა ამ ძეგლის მასალების პუბლიკაციას. მასალის შესწავლის საფუძველზე განხილულია ძეგლის ასაკის, კულტურული რაობის, წარმომავლობის, გავრცელების არეალისა და სხვა თეორიული ხასიათის საკითხები.

სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის მოკლე გეოგოგოლოგიური დახასიათება

ცენტრალური კოლხეთის შუა მონაკვეთი, სადაც თავმოყრილია უკანასკნელ წლებში მიკვლეული ნეოლითური ხანის ძეგლები და მათ შორის პალურის ნამოსახლარიც, არსებითად ემთხვევა სამეგრელოს ბორცვიან რაიონებს, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს გურია-იმერეთისა და აფხაზეთის ანალოგიურ რეგიონებს შორის.

სამეგრელოს ბორცვიანი რაიონი წარმოადგენს კოლხეთის ბარის ფარგლებში კავკასიონისპირა ბორცვიანი ზოლის ნაწილს, რომელიც სამკუთხოვანი ზოლის სახით გარს უვლის კოლხეთის დაბლობს და ქმნის კავკასიონისა და აჭარა-იმერეთის მთების მალალი ფერდობებით გამოყოფილ საფეხურს⁷⁰.

სამეგრელოს ვაკე ანუ ბორცვიანი ზონა მოქცეულია სამეგრელოს მალაღმთიან ნაწილსა და კოლხეთის დაბლობს შორის. დასავლეთისაკენ იგი გრძელდება მდ. ენგურის აუზში და უკავშირდება აფხაზეთის ბორცვიან მხარეს, ხოლო აღმოსავლეთით ემიჯნება მდ. ცხენისწყალს.

ვაკეს სამხრეთიდან ეკვრის ურთა-ეკის დაბალი ქედების ზოლი, რომელიც წარმოადგენს საზღვარს სამეგრელოს ბორცვიან რაიონსა და კოლხეთის დაბლობს შორის. ჩრდილოეთით კი ებჯინება სამეგრელოს ქედს. სადაც ბორცვიანი რელიეფი სწრაფად იცვლება

⁷⁰ გრ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი, მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეოგოგოლოგიისათვის, აღ. შულუქიძის სახ. ქუთაისის სახელ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951, გვ. 113.

მალალი მთებით, რომლის სიმაღლე ყველგან აღემატება 1000 მეტრს⁷¹.

ამრიგად, დასავლეთისა და სამხრეთისაკენ ოდნავ დახრილი, ბორცვიანი, ტალღობრივი რელიეფის მქონე კოლხეთის ვაკე სამინხრიდან (ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი) გარსშემორტყმულია მალალი რელიეფის ზონებით, რის გამოც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს აქ ოდესღაც უბე ყოფილიყო⁷².

ბორცვიანი რაიონი, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს 150—400 მეტრამდე, ძლიერ დანაწევრებულია ხშირი პიდროგრაფიული ქსელით. ესენია: ენგური, ხობის წყალი, ცივი, ტეხური, მუნჩია, ჯუმი, ჩხოუში და მათი მრავალი მცირე შენაკადი. მდინარეები ერთმანეთს შორის გამოყოფენ მოვაკებული ზედაპირის მქონე, ზოგჯერ დაბორცვილ გასწვრივ წყალგამყოფებს, რომელთა შემადგენელი გადარეცხილი ძირითადი ქანების ზედაპირი დაფარულია სხვადასხვაგვარი წარმოშობის მეოთხეული ნალექებით. რელიეფის დანაწევრების სიღრმე და სიხშირე მატულობს მალალი მთებისაკენ, სადაც წყალგამყოფთა შეფარდებითი სიმაღლე აღწევს 130—150 მეტრს⁷³. ხსენებულ მდინარეთა ხეობებში ფართოდ არის განვითარებული აკუმულაციური ფორმები, რომლებიც მეოთხეულისა და მისი მომდევნო ხანის ტერასებითაა წარმოდგენილი⁷⁴.

ხეობებითა და მდინარეებით დასერილი ბორცვიანი რაიონის ზედაპირი ხასიათდება ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული და წითელმიწა ნიადაგების განვითარებით⁷⁵.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა რაიონის უმეტეს ნაწილში უდრის 14°, ხოლო ჩრდილო მაღლობ ადგილებში, 150—300 მეტრის სიმაღლის ზონაში, სადაც აღმოსავლეთის რუმბის ქარების გავლენა უფრო შესუსტებულია, საშუალო წლიური ტემპერატურა უფრო დაბალია და 13° არ აღემატება⁷⁶. რაიონის უცი-

⁷¹ გრ. დ ე ე დ ა რ ი ა ნ ი, სამეგრელოს ვაკის მდინარეული ტერასების დათარიღებისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, III, ქუთაისი, 1941, გვ. 147.

⁷² ი ქ ვ ე.

⁷³ ი ქ ვ ე, გვ. 147—148.

⁷⁴ Б. Ф. Мефферт, Геологические исследования в Мингрелии, Труды главного геолого-разведочного управления ВСНХ СССР, вып. 64, 1931.

⁷⁵ М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, АН Груз. ССР, 1948.

⁷⁶ გ. კო რ ძ ა ხ ი ა, საქართველოს ჰავა, თბ., 1961.

ვესი თვეა იანვარი, როდესაც ტემპერატურა 4—6°-მდე ეცემა, ხოლო უთბილესი თვის აგვისტოს ტემპერატურა მერყეობს 22—23° შორის⁷⁷.

აქ ტემპერატურის ტერიტორიული განაწილება დამოკიდებულია უფრო რელიეფის ფორმებზე, ვიდრე სიმაღლესა და ზღვიდან დაშორებაზე. მაგალითად: მუხურში, მდ. ხობის დახრილ ხეობაში 260 მ სიმაღლეზე იანვრისა და აგვისტოს ტემპერატურა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ქალაქში, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 5 მეტრია⁷⁸.

ბორცვიანი ზონის ფლორა კოლხეთისათვის ტიპობრივ მეზოფილურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს კარგად შემონახულ ნაშთს იმ მცენარეულობისას, რომელიც ჯერ კიდევ მესამეულში ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუაზღვისპირეთში.

რაიონის მცენარეულობა განირჩევა უდიდესი სიხშირითა და სწრაფი ზრდა-აღდგენის უნარით⁷⁹. აქ გავრცელებული ფოთლოვანი ჯიშებიდან სჭარბობს: მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელი, თხმელა და სხვ., ხოლო სოფ. ცაიშსა და ხეთას შორის ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე შემორჩენილია დაფნის ტყეები⁸⁰.

მოსახლეობის იშვიათობის გამო, ფაუნიდან შემონახულია: დათვი, არჩვი, შველი, ტახი და შურთხი.

რეგიონის მდინარეებსა და ტბებში თევზებიდან გვხვდება: კალმახი, მურწა, ნაფოტა და სხვ.

ამრიგად, ბორცვიანი ზოლი მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. აქ მოიპოვება ყოველივე ის რაც აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების დასახლებისა და ნორმალური განვითარებისათვის.

კოლხეთის ნოციერი, მრავალფეროვანი ნიადაგის ზედაპირული საფარი, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მდიდარი ფლორა და ფაუნა და ხშირი პირობაგრაფიული ქსელი, როგორც ჩანს, ადრევე — ქვედა პალეოლითიდან (აშელი, მუსტიე) მოკიდებული, წარმოადგენდა საფუძველს ადამიანის ფართო განსახლებისა და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამან განაპირობა პალურის, ზორშის, ოდიშისა და სხვა ნეოლითური ნამოსახლარების წარმოშობა ამ საინტერესო გეოგრაფიულ ზოლში.

⁷⁷ ი ქ ვ ე, გვ. 6.

⁷⁸ ი ქ ვ ე, გვ. 7.

⁷⁹ ლ. შ ა რ უ ა შ ვ ე ლ ი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 228—229.

⁸⁰ ი ქ ვ ე.

პალურის შესწავლის ისტორია და კვლის სტრატეგია

პალურის ნეოლითური ნამოსახლარი აღმოჩენილ იქნა ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1969 წელს. ეს ექსპედიცია ჩამოყალიბდა 1963—1964 წლებში ენგურ-ერისწყლის ხეობებში უნიკალური ელექტროსადგურის „ენგურჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით. ექსპედიციამ მიზნად დაისახა იმ მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა-გადარჩენა, რომლებსაც მალლივი კაშხლის აგების შემდეგ უახლოეს მომავალში წყლით დაფარვის საშიშროება ემუქრებოდა ან ჰესისა და მისი დამხმარე ნიურნეობის მშენებლობისას ზიანდებოდა.

ამ ხეობებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაფინანსება-დაგეგმვა „თბილპიდროპროექტმა“, ხოლო სავსე კვლევა-ძიება ითავა ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძალებით¹.

თავდაპირველად ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა მიმდინარეობდა იმ წინასწარი მონაცემების საფუძველზე, რომელიც 1963 წელს ჩატარებული საძიებო-არქეოლოგიური მუშაობის შედეგად დაგროვდა².

¹ ენგურის არქეოლოგიურ ექსპედიციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ რ. აბრამიშვილი (1964—1965 წწ.); ა. აფაქიძე (1967 წ.); გ. გრიგოლია (1968—1970 წ.). ექსპედიციის მუდმივი კონსულტანტი იყო ა. აფაქიძე.

² გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის შედეგები. XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის სავსე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, თბ., 1964, გვ. 10—15.

ენგურ-ერისწყლისა და მათი შენაკადი ხეობების დაზვერვით-
მა სამუშაოებმა გამოავლინა რამდენიმე ასეული სხვადასხვა ასა-
კის (აშელი-ფეოდალური ხანა) და ხასიათის (სამოსახლო, სადგო-
ვი, საწარმოო, საკულტო ნაგებობა, სამაროვანი) ძეგლი, რომელთა
გარკვეულ ნაწილს ახლო მომავალში უდავოდ დალუპვა ემუქრე-
ბოდა.

1964—1970 წლებში ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ
ფართო მასშტაბის სტაციონალური გათხრითი სამუშაოები ჩაატა-
რა სოფლებში: ლიაში, ორჯონიკიძეში (ყოფილი სააფაქილ ენწე-
რი), ფახულანში, ქალეში, რეჩხო-ცხირში, ადგილ ბაქსანიასა და
სოფ. პალურში³. განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა გაიშალა
სოფ. პალურში, სადაც ერთდროულად რამდენიმე უბანზე მიმდი-
ნარეობდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება და სადაც გამოვლინდა
პალურის ნეოლითური ნამოსახლარი.

სოფ. პალური მდებარეობს წალენჯიხის რაიონში მდ. ენ-
გურის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჯვარიდან 15-ოდე კილომეტრით
ქვემოთ იმ ადგილას, სადაც კლდოვანი ვიწროებიდან გამოსული
შმაგი ენგური ფართო ხეობაში იშლება და მრავალ ტოტად დაყო-
ფილი, შედარებით დიწხად მიაგორებს ინერტული მასალით დატ-
ვირთულ ტალღებს შავი ზღვისაკენ.

სოფ. პალურში შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარ-
მოადგენდა „საძვლეს“ სახელით ცნობილი ძვ. წ. I ათასწლეულის
I ნახევრის სამაროვანი, სადაც მიცვალებულის მეორადი დაკრძა-
ლვის უნიკალური ტრადიცია დადასტურდა. ამავე სოფლის სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა საწარმოო უბანი⁴ და იქვე

³ ექსპედიციის ცალკეულ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ: დ. მუსხელიშვილი,
თ. მიქელაძე, შ. ბარამიძე, რ. რამიშვილი, ალ. რამიშვილი, ო. ლამბაშიძე, ნ. ოქრო-
პირიძე, შ. ჩართლანი, დ. ბერძენიშვილი, ლ. წითლანაძე, გ. ლორთქიფანიძე,
ლ. სახაროვა, ჯ. ჭლამაია, ვ. ჭაფარიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ხუბუტია და სხვ.

⁴ რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, თ. მიქელაძე, რ. რამიშვილი, მ. ბა-
რამიძე, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, XIV
სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების
შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 11—15; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა,
ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები,
მაცნე, № 4, თბ., 1971, გვ. 180—182; გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე,
ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, ალ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ვ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, ჯ. ჭ ლ ა
მ ა ი ა, შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ.
მუშაობის შედეგები, XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქ-ში 1968 წ. წარმოე-
ბული საველე-არქ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969, გვ. 8; Г. К. Г р и

მახლობლად მდებარე გორანამოსახლარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უირსუკს უწოდებს; უფრო სწორად, ესე ეწოდება საერთოდ სოფლის იმ კუთხეს იმის გამო, რომ იქ ხსენებული გორანამოსახლარის გარდა, მის მახლობლად მეორე ბორცვია აღმართული. „უირსუკი“ ქართულად სიტყვა სიტყვით „ორგორს“ (უირი — ორი, სუკი — გორა) ნიშნავს (ტაბ. I-2).

ბორცვები აღმართულია მდ. ენგურის ჰალისპირა ტერასის უკიდურეს სამხრეთ კიდეზე და მათი თხემი უშუალოდ ებჯინება 40—45 მ სიმაღლის ენგურის III ტერასას. ტერასის აღნაგობაში მონაწილეობდნენ ალუვიური დანალექები — სვანური იურული გრანიტის ლოდებით და დისოცირებული დანალექები — კიპერიული ტრანსგრესიის პორფირიტებისა და მეოტისის კირქვიერი კონგლომერატების სახით⁵. კონგლომერატები ძალზე გამოფიტული და დაჟანგულია, რის გამოც ფლუვიოგლაციალური კონგლომერატის თავზე წარმოქმნილია 4—5 მეტრის სისქის მოწითალო თიხები და თიხნარები⁶. რამდენადაც პალურის ბორცვები „ჯვრის ტერასის“ ორგანული ნაწილია, მათი გეოლოგიური აგებულებაც სავსებით ანალოგიურია, ბორცვები ტერასისაგან გამოყოფილია ხელოვნური ყელით და თავწაკვეთილი კონუსის მოყვანილობა გააჩნია, რომელთა თხემის დიამეტრი 30—40 მეტ., ხოლო ფუძისა 70—100 მეტრს არ აღემატება.

პალურის ბორცვთაგან ერთ-ერთი უფრო აღმოსავლეთით მდებარე ბორცვი ნეოლითსა და მოგვიანო პერიოდებშიც ადამიანს სამოსახლოდ გამოუყენებია და ამჟამად იგი საინტერესო გორანამოსახლარს წარმოადგენს (ტაბ. I—1)⁷.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, პალურის ნამოსახლარ ბორცვზე გამოვლინდა 0,80 მ 1,00 მ სისქის ხუთი კულტურუ-

голия, Н. И. Окропиридзе, М. В. Барамидзе, В. М. Джаридзе, Д. К. Джгания, Итоги работ энгурской археологической экспедиции 1969—1970 гг., Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР, Тб., 1971, с. 59—62.

⁵ Б. Ф. Мефферт, Геологические исследования в Мингрелии. М.—Л., 1931, с. 57—60.

⁶ დ. წერეთელი, სოფ. ლას და რეჩხის (მდ. მდ. ენგურისა და ერისწყლის ხეობები) მიდამოებში აღმოჩენილი პალეოლითური იარაღების გეოლოგიური პირობები, თბ., 1966, გვ. 2—3 (ხელნაწერი).

⁷ რ. აბრამიშვილი, თ. შიქელაძე, რ. რამიშვილი, მ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4—12. პალურის გორანამოსახლარის ზედა ფენების გათხრას ხელმძღვანელობდნენ: დ. მესხელიშვილი და მ. ბარამიძე.

ლი ფენა, რომელთაგან ცალკეული ისტორიული ეპოქის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება (ტაბ. II, III).

ზედა ოთხი ფენის საერთო სისქე 0,80 მ აღწევს. ფენები ზოგჯერ ერთმანეთში გადადის და მასალები ნარევი ხასიათისაა. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ეს ტერიტორია მუშავდება საყანედ და ზედა — I ფენა, ამის გამო, თითქმის დარღვეულია. ამას გარდა, კულტურული ფენები ბორცვის თხემის სხვადასხვა ადგილზე ერთგვარი ინტენსივობით არ არის წარმოდგენილი და ზოგჯერ მათ ვერტიკალურის ნაცვლად პორიზონტალური გავრცელება აქვთ*. ამგვარი ვითარების მიუხედავად, მეტ-ნაკლები სისრულით მაინც ხერხდება ძეგლის სტრატოგრაფიის დაზუსტება, რაც შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

I ფენა (ზედა), სადაც სხვა მასალებთან ერთად, აღმოჩნდა ხალიანი მინის ნატეხი და რკინის წალდი, ახ. წ. IV—V საუკუნეებით თარიღდება.

II ფენა შედარებით უკეთ იყო დაცული. მასში გამოვლინდა რიყის ბრტყელი ქვების ცალი და ორრიგა წყობით ნაგებ შენობათა საძირკვლები, რომლებიც გეგმაში სწორკუთხაა ან იშვიათად მრგვალი მოხაზულობისაა. ივარაუდება, რომ ამგვარ საძირკველზე აღმართული იყო მეგრული ჯარგულ-ს ტიპის, გარედან თიხით შელესილი ხის ნაგებობა. მოპოვებული მასალა, რომელიც უმთავრესად პირგადაშლილი ქოთნების, ქალების, ქუსლიანი ჯამბებს, სასმისებისა და ბაკორნამენტირებული მოზრდილი ქვევრის სახით არის წარმოდგენილი, პალეზრის II ფენას ადრე ელინისტური ხანით ათარიღებს.

III ფენა ფაქტიურად ნახშიროვანი ნაფენია, რომელშიც ადგილ-ადგილ გამომწვარი ბათქაშის შრეებია ჩართული. III ფენაში მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს მასრიანი შუბისწვერი, ზომორფულშვერილიანი კერამიკული ჭურჭლის ყურები, ბაკორნამენტირებული ქოთნის ფრაგმენტები, სავარცხლისებური და ბადისებური ორნამენტული სარტყლებით შემკული და სხვა, რის საფუძველზეც III ფენა ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით თარიღდება. ასევე თარიღდება ბორცვის თხემს შემოყოლებული რიყის ქვის ფრაგმენტული წყობა და ფერდობების მოპირკეთება, რომელიც იცავდა ნიადაგისეულ ყვითელ თიხებს გადარეცხვისაგან.

* გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, არქეოლოგიური სამუშაოები ენგურქვის მშენებლობის ტერიტორიაზე, გვ. 7 (ხელნაწერი).

IV ფენა შედარებით ნაკლები სიმძლავრისაა და მასალის სიმწირით ხასიათდება. აქ აღმოჩენილი ზოომორფულშვერილიანი კურკლის ყურები და სავარცხლისებური შტამპით შემკული ფრაგმენტები IV ფენას II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის საწყისი საფეხურით ათარიღებს.

ამრიგად, ზედა ოთხი (I—IV) ფენა, რომელიც შედარებით მოგვიანო ხანის ოთხ სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება, სტრატოგრაფიულ განლაგებაში უშუალოდ ენაცვლება ერთიმეორეს, ყოველგვარი გამყოფი სტერილური შრეების გარეშე.

ლევა-მოშავო შეფერილობის I—IV ფენები როგორც გარეგნული ნიშნებით, ისე სტრუქტურულად, აშკარად განსხვავდება პალურის ქვედა V ფენისაგან, რომელიც უშუალოდ დევს ბორცვის უძრავ ნიადაგზე. სწორედ ეს V ფენა პალურისა წინამდებარე ნაშრომის შესწავლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს.

V კულტურული ფენა გამოვლენილი და შესწავლილ იქნა 1969—1970 წლებში, მას შემდეგ, რაც ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მთელ სისქეზე გაითხარა ზედა ფენები (I—IV) და გაშიშვლდა ერთი შეხედვით ნიადაგისეული ყვითელი თიხნარი. სწორედ ამის შემდეგ იწყო გამოჩენა კაჟის იარაღ-ანატკეცებმა, რომელიც პალურის ბორცვზე ახალი, ბევრად უფრო ხანდაზმული V ფენის არსებობის მაცნედ მოგვევლინა⁹.

V ფენა წარმოადგენს 15—20 სმ სისქის ყვითელ, ადგილ-ადგილ ცალკეულ მონაკვეთებში ცეცხლის ზემოქმედების შედეგად მოწითალო-მონაცრისფროდ შეფერადებულ წებოვან თიხნარს. ფენა უშუალოდ დევს ყვითელ თიხნარ გრუნტზე, რომელიც ოდნავადაა დახრილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. როგორც საცდელი შურფების გავლებინ შედეგად გაირკვა, V ფენა ვრცელდება როგორც თხემის მთელ მონაკვეთზე, ისე 10—15 მეტ. სიგანის გამყოფი ხელოვნური თხრილის გაღალმა, III ტერასაზეც, რაც იმის მათუწყებელია, რომ განმამხოლოებელი ყელი გვიანაა მოქრილი და ნეოლითელი ადამიანის ცხოვრების ჰომენტში პალურის ბორცვი უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ენგურის III ტერასასთან.

⁹ გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, ვ. ჯაფარიძე, ჯ. ჯღამაია, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 26—30.

**პალურის ნეოლითური ნამოსახლარის
არქეოლოგიური ნ ა შ თ ე ბ ი**

§ I საყოფაცხოვრებო დეტალები

1969—1970 წლების ორი საველე კაშპანის შედეგად სოფ. პალურის გორანამოსახლარის V ფენა გაიხარა 140 მ² ფართობზე, რამაც მოიცვა ბორცვის მოვაკებული თბემის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ა₆-12—ე₆-12 კვარატების (2,0×2,0 მ) ფარგლებში (ტაბ. IV).

ძიებამ შესწავლილ ფართობზე ქვის იარაღ-ხელსაწყოებთან ერთად საგულისხმო საყოფაცხოვრებო დეტალებიც გამოავლინა დედა ქანში ჩაქრილი, წრიული მოყვანილობის ორმოებისა და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებული კერების სახით (ტაბ. IV). იგი, ერთი მხრივ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აქ მოსახლე ადამიანის საოჯახო ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, V ფენის ადგილზე წარმოქმნისა და უძრავად (in situ), აუზღულ მღვომარეობაში დაცულობის უტყუარი მანიშნებელია.

პალურის ნამოსახლარზე V ფენის გათხრის შემდეგ გამოვლინდა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, ნიადაგში ჩაქრილი 13 ორმო და სამი ნაცროვანი ფენით შეესებული ოვალური ჩაღრმავება, რაც მარტივი კერის ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს.

სამივე კერა (№ 14—16) აღმოჩნდა ბორცვის თბემის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთიმეორის მახლობლად 20—40 სმ-ის დაცილებით. № 14 კერა მდებარეობს დ₆—ე₆-7 კვ-ბის კუთხეში, № 15-ე ც₆—დ₆ კვ-ბის საზღვარზე, ხოლო № 16-ე ხ₆—ც₆ კვ-ბის ბორცვის თბემისა და ფერდის შეხვედრის კუთხეში, რის გამოც ფერდისეული მონაკვეთის გადარეცხვის მიზეზით კერა ნაწილობრივ დაზიანებულია.

კერების შიდა სივრცე შევსებული იყო მოწითალო ფერის გაღამწვარი თიხის, ნაცრისა და ნახშირის ნარევი, რაც მხოლოდ ძლიერი ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად შეიძლება წარმოქმნილიყო. ასევე ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების კვალი ეტყობოდა ჩაღრმავებათა მოვარდისფროდ გამომწვარ ფსკერსა და კედლებს, როგორც ეს კერისათვის არის ნიშანდობლივი. კერების სიგრძე 120—150 სმ-ია, სიგანე 70—90 სმ შორის მერყეობს, ხოლო სიღრმე 20—25 სმ არ აღემატება.

კერისავე დანიშნულებით უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებული, აგრეთვე, გათხრილი ფართობის შიდა C₇-g—d₈-g კვადრატებში გამოვლენილი №№ 6, 9—13 ორმოები, რომელთა გავრცელებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება¹. ორმოების მოყვანილობა ღრმა გობისებურია და ზომებითაც ისინი თითქმის ტოლნი არიან. მათი დიამეტრი მერყეობს 25—30 სმ შორის, ხოლო სიღრმე 30 სმ არ აღემატება (ტაბ. IV). ორმოების შიდა სივრცე, კერების მსგავსად, შევსებული იყო ნახშირნარევი, ნაცროვანი თიხნარი ფენით და მათ კედლებზე აშკარად შეიმჩნეოდა ცეცხლის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მოვარდისფრო სარჩული.

ასევე კერასთან ჩანს დაკავშირებული კიდევ ორი — № 1, № 2 — ორმო, რომლებიც პალურის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე A₉-11 კვ-ში იქნა გამოვლენილი. ორმოებს შორის მანძილი 3,80 მეტრია. ეს ორმოები თავისი აღნაგობითა და ზომებით რამდენადმე განცალკევებული დგანან გობისებური კერებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ კედლებსა და ფსკერზე შეინიშნება ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების კვალი და შემავსებელი მასალა სავსებით იდენტურია ოვალური და გობისებური აღნაგობის კერებში დადასტურებული ფენისა. № 1 და № 2 ორმოები ცილინდრული მოყვანილობისანი არიან და ემსგავსებიან თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ თონეებს როგორც ფორმით, ასევე ზომებითაც (ტაბ. IV). მაგალითად, № 2 კერის დიამეტრი 70 სმ-ია, სიღრმე კი 60 სმ აღწევს. კიდევ უფრო დიდია № 1 ორმო, რომლის დიამეტრი 1 მეტრია, ხოლო სიღრმე 110 სმ არ აღემატება.

პალურის № 1 და № 2 ორმოები გარეგნული ნიშნებით და, ალბათ, პრაქტიკული მნიშვნელობითაც, ახლო მსგავსებას ნახულობს

¹ 1970 წლის საველე კამპანიის დროს გეგმის წაკითხვის გაიოლების მიზნით ახლებურად დაინოზრა გასათხრელი ფართობის კვადრატები, რამაც რამდენადმე შეეცალა 1969 წ. გამოვლენილი დეტალების ნუმერაცია.

ენწერი III-ის², ჭახათის მეზოლითური ფენის³ და ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარის ორმოებთან⁴, რომლებსაც სამზარეულო დანიშნულების კერისებურ ორმოებს უწოდებენ⁵.

პალურის კერისებური ორმოების საქმურნეო დანიშნულების გარკვევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო მასალას იძლევა ჭახათის მეზოლითურ ფენაში აღმოჩენილი ცილინდრული მოყვანილობის სამი ორმო, რომელთა დიამეტრი და სიმაღლე 30 სმ-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ორმოები სანახევროდ შევსებული იყო ნიჟარებით (Helix), ზემოდან კი ეყარა სუფთა ნაცარი. ნიჟარა Helix-ის გროვები არაერთგზისაა დადასტურებული ყირიმისა (შან-ყოზა, ფატმან-ყოზა, სიურენ II, მურზაკ-ყოზა და სხვ.)⁶ და ჩრდილო კავკასიის (გუბის № 7 ფარდული, სოსრუკო, აცინის და სხვ.)⁷ გვიანზედაპალეოლითურ და მეზოლითურ ფენებში. საყოველთაო აღიარებით ასეთი მასალების გავრცელება დაახლოებით ემთხვევა მეოთხეულის დასასრულსა და პოლოცენის დასაწყის პერიოდს, როცა კლიმატური ცვლილებებისა თუ სხვა მიზეზების გამო, იწყება კრიზისი სამეურნეო სისტემაში და არსებობის ახალ-ახალი წყაროების ძიება ადამიანის მთავარი საზრუნავი ხდება. ს. ბიბიკოვის აზრით, ერთ-ერთი ასეთი ახალი პროდუქტი უნდა ყოფილიყო ნიჟარა Helix-სი, რომელსაც ადამიანი იყენებდა საკვებად შემწვარი სახით მას შემდეგ, რაც იგი წინასწარ დამუშავდებოდა ორმოებში⁸.

ჭახათში გამოვლენილი ფაქტი პირდაპირი დადასტურებაა

² გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 87, ტაბ. I-1.

³ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964, გვ. 33—34.

⁴ კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971—1973 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., 1974, გვ. 184.

⁵ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 91-92.

⁶ С. Н. Б и б и к о в, Об использовании улиток Helix в позднепалеолитическое время, МИА, № 2, 1941, с. 140—141.

⁷ С. Н. З а м я т н и н, П. Г. А к р и т а с, Раскопки грота Сосруко в 1955 году, Учебные записки Кабардино-Балкарского НИИ, Т. XIII, Нальчик, 1957, с. 438; А. А. Ф о р м о з о в, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, 1962, с. 129—147; Е г о ж е, Палеолитические стоянки в пещерах Прикубанья, КСИА, вып. 88, 1964, с. 9—17.

⁸ С. Н. Б и б и к о в, там же, с. 141.

ს. ბიბიკოვის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა და გარკვეულად იძლევა ახსნას ქვის ხანის ნამოსახლარებზე გამოვლენილი ორმოების ერთი ნაწილის სამზარეულო დანიშნულებით გამოყენების შესახებ.

მართალია, კოლხეთის ნიადაგების მაღალი მქავიანობისა თუ სხვა მიზეზების გამო, მსგავსი ფაქტები ღია სადგომებზე (ენწერი III, პალური, ჩხორთოლი, ხორში) არ დასტურდება, მაგრამ ფორმა-მოყვანილობისა და სხვა გარეგნული ნიშნების მსგავსების საფუძველზე, პალურის ორმოების ანალოგიური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა სავსებით დასაშვებია. პალურის თონისებური ორმოები უდავოდ ვარგისი ჩანს „ქახათური წესით“ პროდუქტების დასამუშავებლად, მიუხედავად იმისა, ეს იქნებოდა შემგროვებლური მასალა ხის ნაყოფისა ან მცენარეთა ბოლქვების სახით, თუ ხორცეული პროდუქტი, რომელიც ტყავში გახვეული ჩაიდებოდა რა წინასწარ გახურებულ ორმოში, ნაცარ-ნალვერდალის წაყრისა და ზემოდან ცეცხლის დანთების შედეგად საკუთარ ორთქლში უნდა მოხარშულიყო. ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მესაქონლე ტომების ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული ცხოველის ტყავში გახვეული ხორცის გახურებულ ორმოში დამუშავების წესი⁹, რომელიც ე. წ. „ჩობან ყაურმის“ სახელით არის ცნობილი. ეს პრიმიტიული წესი ტექნოლოგიური თვალსაზრისით ძალზე ადრინდელი ჩანს და შესაძლოა სწორედ იმ პერიოდს ეკუთვნოდეს, როცა ჯერ კიდევ უცნობი იყო კერამიკული ქურჭელი, როგორც სამზარეულო არსენალის შემადგენელი ნაწილი. ქახათის გამოქვაბულში დადგენილი ფაქტი მსგავსი ტრადიციის არსებობის საგულისხმო მაგალითია. ყოველ შემთხვევაში, ზედაპალეოლითის დასასრულიდან მოკიდებული, შეზოლით-ნეოლითურ ხანაში დასავლეთ ამიერკავკასიაში კერისებური ელემენტების მქონე ღრმა, ცილინდრული ორმოების გავრცელება, მსგავსი კულინარიული წესის არსებობას გვაპარაუდებინებს¹⁰.

პალურის № 1 და № 2 თონისებური ღრმა ორმოები, ასევე წარმატებით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული ორმოში ჩაკიდული თევზის დასამუშავებლად შეწვისა თუ შებოლვის მიზნით. ამ კუთხით უთუოდ საინტერესოა პალურის V ფენაში აღმოჩენი-

⁹ С. А. Семенов, Происхождение земледелия, Л., 1974, с. 285.

¹⁰ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 27; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 33—34; კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

ლი დარშემოვლებული რიყის ქვეები ანუ საწაფები, რაც ადგილზე არსებული ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების და ეტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინებასთან ერთად, პალურში მეთევზეთა სეზონური ნამოსახლარის არსებობას გვაპარაუდებინებს. მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

ასეა თუ ისე, რიგი დამახასიათებელი თავისებურებების გამო, პალურის თონისებური ორმოების ჩვეულებრივი რიგის კერებად გამოცხადება გაკვირდებოდა და ჩვენ უფრო მეტად მხარს ვუჭერთ ამ ორმოების სამზარეულო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

ამრიგად, პალურის ნამოსახლარის გათხრილ ფართობზე ამჟამად გამოვლენილია საყურადღებო საყოფაცხოვრებო დეტალების ჯგუფი: ორი ტიპის ოვალური და გობისებური კერებისა და სამზარეულო ორმოების სახით, რომლებიც ერთგვარი კანონზომიერებით არიან განლაგებულნი, რაც შეიძლება სრულიადაც არ იყოს შემთხვევითი.

მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, ოვალური კერები (№ 14—16) მდებარეობენ ბორცვის მოვაკებული თხემის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ხ₆-7—ე₆-7 კვ), ასევე დიდი ზომის, თონისებური სამზარეულო ორმოები (№: 1, № 2) განაპირა ა₉, II კვ-შია მოქცეული მაშინ, როცა მცირე ზომის გობისებური კერები (№ 6, 9—13) უკლებლივ ყველა შიგა კვადრატებში იყრის თავს.

ეს ფაქტი უნებლიედ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა სწორკუთხა დიდი ზომის კერები და თონისებური ორმოები შეგნებულად არის მოწყობილი განაპირა ნაწილში, ალბათ, ეზოში, ძირითადი სამეურნეო ობერაციების შესრულების მიზნით, ხოლო გობისებური კერების დანიშნულება, სავარაუდოა, ნამოსახლარის ნაგებობათა შიგა სივრცის განათება-გათბობა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მეტ საბუთიანობას თხოულობს და აშკარად ვარაუდის ფარგლებში რჩება, მაგრამ ასეთი დაშვების შესაძლებლობას არ გამორიცხავს გობისებური კერების ზონაში გამოვლენილი კიდევ ხუთი (№ 3—5, 7, 8) ორმო, რომელიც გარკვეული ნიშნებით განსხვავდება კერებისა და თონისებური ორმოებისაგან და შესაძლოა რაღაც ხის ნაგებობის სვეტის ბუდეებს წარმოადგენს (ტაბ. IV).

ხუთივე ორმო მოყვანილობით ცილინდრულია, ე. ი. ამ ნიშ-

ნით თონისებურ ორმოებს უახლოვდება, მაგრამ მათზე ცეცხლი-ზემოქმედების არავითარი მონაცემი არ მოგვეპოვება. ორმოებ-დიამეტრი 20—25 სმ-ია სიღრმე კი 25 სმ-ს არ აღემატება და საზღარეულო ორმოებთან შედარებით აშკარად მცირე ზომისანი არ-ან. ამ ორმოების დანიშნულებაზე მსჯელობასას ვითვალისწინებ-აგრეთვე მათ მეტნაკლებად წესიერ გეგმირებას, რაც გობისებურ-კერების გავრცელებაში არ შეიმჩნეოდა. მაგალითად, საგულისხ-მოა, რომ № 3, № 4 და № 5 ორმოები ერთიმეორისაგან არათანაბ-რი დაშორებით (1,70—2,50 მ), დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ერთ სწორ ხაზზეა განლაგებული. დაახლოებით ასევეა განლაგებუ-ლი № 6 და № 7 ორმოები, რომელთა დაშორება პირველი რიგი-ორმოებიდან 2,50-2,80 მეტრია (ტაბ. IV), ე. ი. თუ ჩვენი ვარაუ-დი სწორია, შენობის სივანე, რომელსაც ეს ორმოები ეკუთვნოდ-დაახლოებით 2,50—2,80 მეტრი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ დაბეჭდვით ვერაფერს ვიტყვით ნაგებობის სიგრძეზე მონაცემებ-ზე, რადგან მისი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. მართალია ორმოების აღმოსავლეთით გავრცელების რაგვარობა ამჟერა-ჩვენთვის უცნობია, მაგრამ № 3—5 ორმოების ორიენტირება და მათ უკიდურეს წერტილებს შორის არსებული მანძილი (4,20 მ.) საფუძველს გვაძლევს ასევე მიახლოებით ვივარაუდოთ, რომ პა-ლურში საქმე უნდა გვექონდეს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ვიწრო, სწორკუთხა კარვისებურ ნაგებობასთან, რომ-ლის მსგავსი შენობის არსებობა, მასალის მკაცრად ლოკალური გავრცელების საფუძველზე, ზედაპალეოლითის დასასრული ხანი-დან უკვე ივარაუდება კოლხეთის მიწაზე¹¹.

მოსალოდნელია, რომ მომავლაში ასეთივე დაგეგმარების შე-ნობა გამოვლინდეს სოფ. ჩხორთოლის (გალის რ-ნი) და სოფ. ხორ-შის (ცხაკაიას რ-ნი) ნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე, რომლის შესახებ წინასწარი მონაცემები უკვე მოგვეპოვება¹².

ამრიგად, წინასწარული ვარაუდით, პალურის მცირე ზომის ცილინდრული ორმოების სახით, საქმე შეიძლება გვექონდეს ჯარ-

¹¹ გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 87—88, ტაბ. I-17.

¹² გ. გ რ ი გ ო ლ ი ა, სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიუ-რი ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1974 წელს, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, სამეგრელოს არქეოლოგიური ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1975 წელს, თბ., 1976; კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 184, სქოლიო 23.

გვალისა თუ ფაცხის ტიპის ხის ნაგებობათა ნაშთებთან, რომელიც გეგმაში ალბათ უფრო მოგრძო, სწორკუთხა მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო.

ასეთია პალურის ნამოსახლარის გათხრილ ნაწილში გამოვლენილი საყოფაცხოვრებო დეტალები, სხვადასხვა ტიპის კერების, სამზარეულო ორმოებისა თუ „ხის ნაგებობათა“ სვეტის ბუდეების სახით.

ამ რიგის მონაპოვარი, ნეოლითელი ადამიანის საოჯახო ყოფისა და სამეურნეო საქმიანობის ანუ კულტურულ-ეკონომიური მხარის გაშუქების გარდა, ფენის აღვილზე წარმოქმნა-დაცულობის სასარგებლოდ მეტყველი მნიშვნელოვანი ფაქტია, რაც კიდევ უფრო ზრდის პალურის ნამოსახლარის შესწავლისა და მოპოვებულ ნაეტიერი მასალის მეცნიერულ მნიშვნელობას.

§ 2. ქვის იარაღ-საღსაწყოები და წარმოების ნაშთები

პალურის ნამოსახლარის V ფენამ მოგვცა საყურადღებო, თავისებური მასალა კაყის იარაღ-ანატყეცებისა, წარმოების ნაშთებისა და რიყის ქვის ნაკეთობათა სახით, 3153 ერთეულის რაოდენობით. მოპოვებული მასალის უდიდესი ნაწილი (3057 ც.) კაყის ნაწარმია, დანარჩენი 96 ერთეული კი რიყის ქვის ანუ ქვარგვალეებისაგან ნაკეთები სხვადასხვა დანიშნულების იარაღებსაა წყობა (იხ. ცხრილი. 1 და 2).

V ფენაში მოპოვებული კაყის მთელი მასალის 18,2% დასრულებული სახის მზა იარაღებით არის წარმოდგენილი მაშინ, როცა დანარჩენ 81,8% კაქარ-ნუკლეუსებს, ლამელებს, ანატყეც-ანამტვრევებს ანუ ნაშაღებს და წარმოების ნარჩენებს შეადგენს. ნაწარმის ამგვარი შეფარდება, ბუნებრივია, აიხსნება ნედლი მასალის არაეკონომიური გამოყენებით, რაც შეპირობებულია სამოსახლოსა და კაყის გამოსავლების სიახლოვით (იხ. ცხრ. 3).

როგორც უკვე ითქვა, პალური მდებარეობს კირქვეული აღნაგობის სამეგრელოს ქედის მთის წინა ზოლში, რომლის განშტოებები სამოსახლოს მახლობლად უხვად შეიცავს კაყის მასალას გაშეშებული ძარღვებისა თუ ცალკეული კონკრეციების სახით.

პალურის კაყის ნედლეული არსებითად ტურონ-სენონური ასაკისაა, მაგრამ მათ შორის ხარისხის თუ შეფერადების მიხედვით რამდენიმე სახესხვაობა გამოიყოფა: მონაცრისფრო, ლეგა-ხალიანი,

პალერის ნეოლითური ნამოსახლარის V ფენაში მოპოვებული კაქვის იარაღებისა და წარმოების ნაშთების სრული სია

| №№ რიგზე | წარმოების ნაშთები და იარაღები | რაოდენობა |
|----------|---|-----------|
| 1 | კაქრები | 16 |
| 2 | ნუჯ-ნუჯები | 48 |
| 3 | ანატყეები | 869 |
| 4 | ანამტყეულები | 301 |
| 5 | ლამელები | 81 |
| 6 | მცირე ზომისა და ქერცლისებური ანატყეები | 1181 |
| 7 | საჭრისები | 104 |
| 8 | ზურგიანი დანები | 193 |
| 9 | გვერდრეტულიანი საფხეკები | 100 |
| 10 | ბოლორეტულიანი საფხეკები | 14 |
| 11 | ბოლორეტულიანი საფხეკისებური იარაღები | 5 |
| 12 | მკვდალი საფხეკები | 7 |
| 13 | ირველი ივრეტულიანი საფხეკები | 3 |
| 14 | სახერეტები | 32 |
| 15 | ბურღები | 9 |
| 16 | პირდაკბილული იარაღები | 9 |
| 17 | „ინკსა-სებური“ იარაღები | 35 |
| 18 | კომპინირებულნი იარაღები | 3 |
| 19 | თლილი-მცირეანი (კვარკვის ტიპი) იარაღები | 3 |
| 20 | ზურგათლიანი იარაღები | 2 |
| 21 | სეგმენტები | 4 |
| 22 | ტრაპეციები | 1 |
| 23 | სამკეთხა იარაღი | 1 |
| 24 | ნახევარწრიული მიკრო საფხეკები | 3 |
| 25 | ფინპირიანი მიკრო საფხეკები | 2 |
| 26 | გვერდრეტულიანი ლამელები | 12 |
| 27 | თავიბრეტულიანი ლამელები | 2 |
| 28 | ზურგდაბლაგეული ლამელები | 3 |
| 29 | საჩეხები | 2 |
| 30 | გატეხილი იარაღები | 12 |

ს უ ლ

3057

პალურის V ფენის რივის ქვის ნაქეთობათა სრული სია

| №№ რიგზე | იარაღები | საერთო რაოდენობა | %-ში შეფარება |
|-------------|----------------------|---------------------|------------------|
| 1 | სახეები | 36 | 37,41 |
| 2 | სას-უს-საფქვაეები | 9 | 9,36 |
| 3 | სას-უსები | 5 | 5,20 |
| 4 | როდინები | 2 | 2,08 |
| 5 | საბეგე-სანაეები | 7 | 7,28 |
| 6 | რეტეშორები | 4 | 4,16 |
| 7 | საჩხი იარაღები | 4 | 4,16 |
| 8 | „გამოსაფარნი დანები“ | 4 | 4,16 |
| 9 | საბიხარი | 3 | 3,12 |
| 10 | საპრიალებელი | 1 | 1,01 |
| 11 | შორღულის ქვები | 17 | 17,68 |
| 12 | საწაფები | 4 | 4,16 |
| ს უ ლ | | 96 | 100 % |

მოვარდისფრო, ყავისფერი, შავი, თეთრი და სხვ. მათ შორის წამყვანი ადგილი მიიწვ მიონაცრისფრო და მოყავისფრო საშუალო ხარისხის კაეს უკავია. ასეთი მასალა განუსაზღვრელი რაოდენობით შეეძლო შეეგროვებინა ადამიანს სამოსახლოს ირგვლივ, როგორც ნახლობლად მდებარე გორაკ-ბორცვებზე, ისე უშუალოდ ენგურის რიყეზე მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვარგვალეების სახით.

საერთოდ, პალურში გამოყენებული კაესის ზედაპირზე პატინირების კვალი არ შეინიშნება, რასაკვირველაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცეცხლში მოხვედრილ ნიმუშებს, ან თითო-ორილა მუსტიეური ხანის იარაღ-ანატკეებს, რომელიც ნეოლითური ადამიანის მიერ არის მოტანილი.

უდავოა, რომ პალურის ნამოსახლარზე ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება ადგილზე ხდებოდა, რაზეც მიგვითითებს კაქრების, ნუკლეუსების, ანატკეც-ანამტკრევეების მზა იარაღებისა და, საერთოდ, წარმოების სრული ციკლის მაუწყებელი ყოველგვარი ნიმუშის აღმოჩენა.

რომ უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ პალურში გამოვლენილი კულტურის ქვის დამუშავების ტექნიკაზე, საჭიროა წარ-

მოების პროცესს ისეთივე ეტაპობრივი თანამიმდევრობით გავადევნოთ თვალი, როგორც ამას აკეთებდა ნეოლითელი ადამიანი. ო. ი. მასალის აღწერა-დახასიათება დავიწყოთ კაჭრით, როგორც წარმოების საწყისი ობიექტით და ასე თანდათანობით განვიხილოთ ყველა ეტაპი ნუკლეუსიდან მოყოლებული მზა იარაღის ჩათვლით.

კაჭარი პალურის ქვის მასალის კომპლექსში 16 ერთეულის სახითაა წარმოდგენილი. მათ შორის ორი მომრგვალოა და ბუნებრივი ქერქით დაფარულ ზედაპირზე გორვის ნიშნები ეტყობა, რაც იმის მოწმობაა, რომ ეს ნიმუშები მდ. ენგურის რიყეშია ნახული (ზომები $86 \times 6,0 \times 4,9$ — $4,7 \times 4,2 \times 3,6$ სმ). ასევე რიყიდანვე ჩანს მოტანილი დაკუთხული კაჭრის კედევ სამი ნიმუში, რომლებსაც თავი გადამტვრეული აქვს და ნუკლეუსისათვის ფუძეა მომზადებული.

კაჭრების ძირითადი ნაწალი (11 ც.) წარმოდგენილია მონაცრისფრო ხალიანი კაყის კონკრეციების დიდი ზომის ($13,0 \times 7,8 \times 6,0$ — $5,5 \times 4,2 \times 4,0$ სმ) ნატეხებით, რომელთა ბუნებრივი ქერქით დაფარულ დანაოჭებულ ზედაპირს ადგილ-ადგილ დამახასიათებელი ძუძუსებური კოპები აზის. აღსანიშნავია, რომ ამ სახის თერთმეტივე კაჭარი a_6 კვ-ის აღმოსავლეთ კუთხეში იყო თავმოყრილი, რაც საგანგებოდ მარაგის სახით დაგროვილის შთაბეჭიდლებას ტოვებს.

როგორც ჩანს, დიდი ზომის კაჭრები ნუკლეუსად მომზადების წინა მომენტში უფრო მცირე ნატეხებად ნაწილდებოდა, რასაც მოწმობს ამ სახის მზა პროდუქცია ნუკლეუსების სახით.

პალურში ნუკლეუსები 50 ერთეულის რაოდენობითაა მოპოვებული.

როგორც ცნობილია, ნუკლეუსები ქვის ინდუსტრიის საწყისი პროდუქტია, რომლის მოყვანილობა და დამუშავების გამოყენებული ტექნიკური ხერხები იმთავითვე დამახასიათებელ დასს ასვამს მთელ კულტურას.

პალურის ნუკლეუსების უმრავლესობა ამორფულია, ნაკლებად ექვემდებარება კლასიფიკაციის მიღებულ ნორმებს და უმეტეს შემთხვევაში ანატკეცების მისაღებადაა განკუთვნილი. საერთო მოხაზულობით, ანატკეცთა ნეგატიური ფაცეტების მიმართულებით და ხასიათით ნუკლეუსები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ესენია: 1) პრიზმული, 2) კონუსური, 3) ბრტყელი და 4) ბირთვისებური, რომლებიც თავის მხრივ დარტყმის სიბრტყეების ოდენობისა და მათი კომბინაციური განლაგების მიხედვით ნაირგვარი სახე-სხვაობით წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი. 4).

პალურის V ფენის კაეის იარაღების ცალკეულ სახეთა %-ლი შეფარდება
იარაღთა საერთო რაოდენობასთან

| № | ი ა რ ა ლ ე ბ ი | საერთო რაოდენობა | %-ული შეფარდება |
|----|--|---------------------|--------------------|
| 1 | საჭრისები | 104 | 18,72 |
| 2 | ზურციანი დანები | 193 | 34,74 |
| 3 | გვერდრეტეშიანი საფხეკები | 100 | 18,00 |
| 4 | ბოლორეტეშიანი საფხეკები | 14 | 2,52 |
| 5 | ბოლორეტეშიანი საფხეკისებური იარაღები | 5 | 0,90 |
| 6 | მრგვალი საფხეკები | 7 | 1,26 |
| 7 | ირგვლირეტეშიანი საფხეკები | 3 | 0,54 |
| 8 | სახერცტები | 32 | 5,76 |
| 9 | ბურღები | 9 | 1,62 |
| 10 | პირდაკბილული იარაღები | 9 | 1,62 |
| 11 | ანკისისებური იარაღები | 35 | 6,30 |
| 12 | კომბინირებული იარაღები | 3 | 0,54 |
| 13 | ათლი მუცლიანი (კუკრეკის ტიპი) იარაღები | 3 | 0,54 |
| 14 | ზურგათლიანი იარაღები | 2 | 0,36 |
| 15 | სეგმენტები | 4 | 0,72 |
| 16 | ტრაპეცია | 1 | 0,18 |
| 17 | სამკუთხა იარაღი | 1 | 0,18 |
| 18 | ნახევარწრიული მიკრო საფხეკები | 3 | 0,54 |
| 19 | ირიბირიანი მიკრო საფხეკები | 2 | 0,36 |
| 20 | გვერდრეტეშიანი ლამელები | 12 | 2,16 |
| 21 | თავირიბრეტეშიანი ლამელები | 2 | 0,36 |
| 22 | ზურგაბლაგვული ლამელები | 3 | 0,54 |
| 23 | საჩეხები | 2 | 0,36 |
| 24 | გატეხილი იარაღები | 12 | 2,16 |
| | ს უ ლ | 561 | 100 |

პ რ ი ზ მ უ ლ ი, ე რ თ ფ უ ძ ი ა ნ ი ნ უ კ ლ ე უ ს ე ბ ი ამ სახის ნაწარმის შედარებით მრავალრიცხოვანი (13 ც.) სახეობაა. მათ დასამზადებლად უმთავრესად გამოყენებულია კაეის კა-

ქარი, იშვიათად კი მასიური ანატკეცი, რომელთა დარტყმის მოედანი სწორია ან ზურგისკენა დაქანებული (ტაბ. V-1—2).

ცხრილი 4

| №№ რიგე | ნუკლეუსთა სახეები | ირველი ატკეცილი | ნახვარწრებზე ატკეცილი | ცალმხრივი | სურთო რაოდენობა | %-ული შეფარდება |
|---------|-----------------------------|-----------------|-----------------------|-----------|-----------------|-----------------|
| 1 | პრიზმული ერთფედიანი | 2 | 4 | 7 | 13 | 8,60 |
| 2 | პრიზმული ორფედიანი | 1 | 2 | 2 | 5 | 33,33 |
| 3 | კონუსური ერთფედიანი | — | 4 | 1 | 5 | 33,33 |
| 4 | ბრტყელი ერთფედიანი | — | — | 13 | 13 | 8,60 |
| 5 | ბრტყელი ორფედიანი | — | — | 2 | 2 | 1,32 |
| 6 | ბიორთეგისტერი მრავალფედიანი | 12 | — | — | 12 | 79,2 |
| ს უ ლ - | | 15 | 10 | 25 | 50 | 100,00 |

პრიზმული ნუკლეუსებიდან ორი ირგვლივია ატკეცილი. ოთხი მხოლოდ ნახვარწრებზეა გამოყენებული, შვიდი კი ცალმხრივია, ე. ი. მათი მხოლოდ ფრონტალური, უგრძესი წინა მხარეა ატკეცილი. როგორც წესი, ასეთი ნუკლეუსების ზურგის მხარეს კაპრის ბუნებრივი ქერქი ფარავს, თუკი იგი საგანგებოდ უხეში ანატკეციებით არ არის ჩამოცილებული. ნუკლეუსების ზომები მერყეობს: $5,1 \times 3,9 \times 3,5$ — $2,5 \times 4,1 \times 1,7$ სმ-ებს შორის.

პრიზმული ორფედიანი ნუკლეუსები (5 ც.) ყველა კაპარზეა გაფორმებული და რამდენადმე უფრო ტიპური ნიჟუშებია. მათი ზურგისაკენ დანრილი დარტყმის მოედნები თავსა და ბოლოში ურთიერთმოპირდაპირე წერტილშია მოწყობილი, რომელზეც მიყენებული დარტყმებით უგრძესი გვერდიდან ლამელები და ანატკეციებია ჩამოცილებული (ტაბ. V-3, 4, 5). ამ ჯგუფიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი მონაცრისფრო, მაღალხარისხოვანი კაეის ნუკლეუსი. მისი ზურგისაკენ დაქანებული დარტყმის სიბრტყეები უხეშად არის შემოსწორებული. ნუკლეუსის უკანა მხარე უსისტემოდაა ატკეცილი კაპრის ქერქის ჩამოცილების მიზნით, როგორც ეს არაერთი ნიმუშისათვისაა ნიშანდობლივი. ნუკლეუსი ყურადღებას იქცევს თავისი მაღალი ფრონტალური გვერ-

დით, სადაც გამოსახულია ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების, დანისებური ლამელების ჩამოცილების შედეგად მიღებული სწორი წახნაგები (ტაბ. V-4). ასეთი ლამელების მიღება მხოლოდ წნევითი ტექნიკის გამოყენების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც პალურის ქვის პირველად დამუშავებაში საკმაოდ იშვიათობაა. ნუკლეუსის სიმაღლე—4,0 სმ-ია, სიგანე—5,0 სმ უდრის, ხოლო სისქე—3,2 სმ-ს არ აღემატება.

კონუსური ნუკლეუსებიდან (5 ც.) თითქმის ყველა ატიპიურია. მათი გარეგანი მოხაზულობა სამკუთხედს უახლოვდება და ერთი ბრტყელი ნიშუშის გარდა, ყველა სანახევროდაა ატკეცილი (ტაბ. V-6—7). კონუსური ნუკლეუსებისათვის უმთავრესად მოკლე, ფართო კაქრის ნატეხებია გამოყენებული. მიღებული ლამელა-ანატკეცილებიც ასეთივე სახის უნდა ყოფილიყო. მათი სიმაღლე 3,7—2,0 სმ-ია.

ბრტყელი ნუკლეუსები (15 ც.) მასალის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. ასეთი ნუკლეუსები კავკასიაში გვხვდება უკვე ზედა პალეოლითის დასასრულსა და მეზოლითური ხანის ძეგლებში (მღვიმევის ეზი, შავი მღვიმე, ეძანი, სოსრუკო და სხვ.) პალურის ბრტყელ ნუკლეუსებს ბუნებრივი ქერქით დაფარული, ზურგისაკენ დახრილ ფუძეზე მიყენებული დარტყმებით წინა მხარე იმდენად ინტენსიურად აქვთ ატკეცილი, რომ ზოგჯერ ნუკლეუსი თხელ, სწორკუთხა ფილას ემსგავსება (ტაბ. V-8, 13), რაც ტიპიურია ყირიმის მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებისათვის¹³.

ბრტყელი ნუკლეუსების ჯგუფიდან გამოიყოფა ორი ორფუძიანი ნიშუში, რომელთა დარტყმის მოედნები სიგრძივ და განივ გვერდებზეა მოწყობილი და წინა სიბრტყეზე გამოსახულ ანატკეცთა ფაცეტებზე ასევე ურთიერთპერპენდიკულარული მიმართულებისაა (ტაბ. V-8—9). ბრტყელი ნუკლეუსის საშუალო ზომებია: სიმაღლე—4,6—2,5 სმ, სიგანე—7,6 სმ—2,1 სმ, სისქე—3,4—1,5 სმ.

ბირთვისებური მრავალფუძიანი ნუკლეუსები (12 ც.) წარმოადგენს მომრგვალო-ამორფულ მრავალგვერდა ნატეხს, რომლის ყველა გვერდი დროდადრო დარტყმის მოედანსაც წარმოადგენს და ატკეცის სიბრტყესაც.

¹³ А. А. Ф о р м о з о в, Эпикокультурные области на территории Европейской части СССР в каменном веке, 1959.

როგორც უკვე ითქვა, ნუკლეუსების ძირითადი ნაწილი ამორფულია და ანატკეცების მისაღებადაა განკუთვნილი. ყველა მონაცემის მიხედვით, პალურის ქვის პირველად დამუშავებაში გაბატონებულია დარტყმითი ატკეცის ტექნიკა, როცა აღნიშნულ პროცესში არ იგულისხმება ე. წ. შუამავლის მონაწილეობა. ექვი არ არის, რომ პალურის ქვის დამუშავების ტექნიკა დარტყმით მეთოდებთან ერთად, იცნობს და იყენებს წნევით ატკეცის ხერხებსაც პრიზმული ნუკლეუსებისა (ტაბ. V-4) და სწორი ლამელების მიღების მიზნით. ლამელების როლი პალურის კულტურაში აშკარად უფერულია.

ნამზადების კომპლექსიდან სულ გამოიყო 81 ნიმუში, რომელთა შორის მოგრძო, სწორკუთხა დანისებური ლამელების რაოდენობა ძალზე მცირეა (12 ც.) (ტაბ. XI—22—25).

ლამელების ჩგუფში (81 ც.) შედის მოგრძო, ვიწრო მოყვანილობის 46 ორფერდა და 35 სამფერდა ნიმუში, რომელთაგან რვა ერთეულის ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთს კაქრის ქერქი ფარავს. ლამელებიდან 15-ს თავი აკლია, 19-ს ბოლო აღარ შემორჩენია, ხოლო 12-ს თავიცა და ბოლოც მოტეხილი აქვს და ამ სახეობის განიკვეთებს წარმოადგენენ. ხუთი ლამელა ცეცხლშია მოხვედრილი. მათი ზომები მერყეობს $6,0 \times 2,9 - 2,9 \times 1,1$ სმ შორის. ამავე ჩგუფში შედის 18 მიკროლამელა, რომლის ზომები $2,8 \times 0,7$ სმ არ აღემატება.

ანატკეცები (869 ც.) ნამზადების ძირითადი სახეობაა. იგი თიქმის 11-ქერ აღემატება ლამელების რაოდენობას. ანატკეცები უმთავრესად (793 ც.) კაჟისაა და მხოლოდ მცირე რაოდენობით (76 ც.) ერევა შავი ფერის რიყის ქვის ნიმუშები. ამ მასალის ერთი ნაწილის (365 ც.) ზედაპირს მთლიანად ან ნაწილობრივ კაქრის ქერქი ფარავს, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ნუკლეუსის კეთების პროცესშია მიღებული. ანატკეცები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისანი არიან. სქარბობს დაბალი, ფართო ნიმუშები.

ანატკეცების ერთი ნაწილი მეორადი დამუშავების გარეშე ჩანს გამოყენებული, რის შედეგადაც ფხიან კიდეს მცირე ზომის ჩანატეხები დაუყვება. 51 ც. ანატკეცი ცეცხლშია მოხვედრილი. მათი საშუალო ზომებია: სიგრძე $3,0 - 3,5$ სმ; სიგანე $2,5 - 3,0$ სმ.

ანამტვრევეები (301 ც.), კაჟისა (281 ც.) და ვულკანური ქანის მსგავსი შავი რიყის ქვის (20 ც.) უფორმო ნატეხებს წარ-

მოადგენენ. ისინი უმთავრესად მიღებულნი არიან კაპრისა და ნუკლეუსის დამუშავების დროს, რაზეც მიგვითითებს ანამტკრევეთა დიდი ნაწილის (225 ც.) ზედაპირზე შემორჩენილი კაპრის ბუნებრივი ქერქი. ეს მასალა ფაქტიურად ქვის პირველადი დამუშავების პროცესში მიღებული წუნია, თუმცა ზოგიერთი დიდი ნატეხის გამოყენება ნუკლეუსის სახით ალბათ კვლავ შეიძლებოდა, თუკი ამის საპირობება იქნებოდა. ანამტკრევეთა ერთი ნაწილი (83 ც.) ცეცხლშია მოხვედრილი.

ასევე წარმოების ნარჩენების რიგში უნდა განვიხილოთ მცირე ზომისა და ე. წ. ქერცლისებური ანატკეცები, რომლებიც პალეოლოგში მოპოვებული ქვის მასალის დიდი ნაწილია.

მცირე ზომისა და ქერცლისებური ანატკეცები (1181 ც.) უმთავრესად მიღებულია ქვის მეორადი დამუშავების პროცესში, იარაღთა რეტუშირებისა და უსწორმასწორო კიდეების ჩამოცილებისას. ისინი სხვადასხვა მოყვანილობისანი არიან და მხოლოდ მცირე (206 ც.) ნაწილს აქვს გამოყოფილი კაპრის ქერცლის ფრაგმენტი. ანატკეცებიდან 359 ც. ძლიერ ცეცხლშია მოხვედრილი, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ იარაღთა მეორადი დამუშავება კერის მახლობლად მიმდინარეობდა.

როგორც ვხედავთ, პალურის ქვის ინვენტარის ძირითად ნაწილს წარმოადგენს წარმოების ნარჩენები ანატკეც-ანამტკრევეებისა და ქერცლისებური ანატკეცების სახით. მათი მრავალრიცხოვნება (2351 ც.) მიგვითითებს, რომ აქვე სამოსახლო ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქვის დამუშავების ყოველგვარი პროცესი.

პალურის კაქის მზა იარაღებს შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით წამყვანი ადგილი საჭრისებს უჭირავთ (104 ც.). ეს იარაღები სამუშაო ნაწილის ადგილ-მდებარეობის, წახნაგების რაოდენობის, მოყვანილობის, მისი გაფორმების ხასიათისა და ნაშნადის სახეობის გათვალისწინებით სამ ძირითად ტიპად იყოფა. ესენია: 1. შუალა საჭრისები, 2. კიდურა და 3. თავრეჭუშირებული საჭრისები. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ხუთი ორმაგი საჭრისი, რომელიც დუბლირებულ იარაღთა ჯგუფს მიეკუთვნება. საჭრისების ცალკეული ჯგუფიდან სასაჭრისე წახნაგის მიმართულებასა და გადამტკრეული თუ რეტუშირებული ნაწილის კონფიგურაციის მიხედვით, მთელი რიგი სახესხვაობანი გამოიყოფა. მაგალითად, თავირბგადამტკრეულ-რეტუშირებული, სწორი, ირიბი, ხიწვიანი და სხვ.

საპირობა ამთავითვე აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტიპების ყვე-

ლა იარაღს თითო ან ორი სასაქრისე ანატკეცი აქვს ჩამოცილებული და მარტივ საქრისთა კატეგორიას მიეკუთვნება (იხ. ცხრ. 5)-

ცხრილი 5

| №-ს რიცხვი | იარაღები | რაოდენობა | ანატკეცი- ჩაყვანი- ბის | ანატკეცი- ჩაყვანი- ბის | ანატკეცი- ჩაყვანი- ბის | სწორი აქვები | იარაღ- ნაკლები | სწორი აქვები | საერთო ფასი |
|------------|-------------------------------------|-----------|------------------------------|------------------------------|------------------------------|-----------------|-------------------|-----------------|----------------|
| 1 | მარტივი კიდურა საქრისეა | 58 | 3 | 48 | 7 | 28 | 15 | 15 | 56,75 |
| 2 | მარტივი, ორმაგი კიდურა საქრისებო | 5 | — | 5 | — | 4 | 1 | — | 4,80 |
| 3 | შუალა საქრისებო | 31 | — | 30 | 1 | 31 | — | — | 28,72 |
| 4 | თავრეტუშაანი კი- დურა საქრისეა | 10 | — | 10 | — | 5 | 2 | 3 | 9,70 |
| ს უ ლ | | 104 | 3 | 93 | 8 | 68 | 18 | 18 | 100 |

კიდურა საქრისეები ამ ტიპის იარაღთა წამყვანი სახეობაა (58 ც.). ისინი მიღებულია ნამზადის თავის ან ბოლოს გადამტერევიტ და კუთხეში მიყენებული დარტყმის შედეგად, სიგრძე გვერდზე სასაქრისე ანატკეცის ჩამოცილების გზით. საქრისეების ამ ჯგუფიდან სამი სახესხვაობა გამოიყოფა:

ა) სწორი (28 ც.), რომლის სასაქრისე ანატკეცი ბოლომდე გასდევს ანატკეცის გვერდს (ტაბ. VI-1—3), ბ) ირიბი (15 ც.), მრუდზე სასაქრისე ანატკეცი (ტაბ. VI-7) და გ) ხიწვიანი (15 ც.), კაღისებური წიბურის შემქმნელი სასაქრისე წახნაგით (ტაბ. VI-4, 6)-ყველა იარაღს პირზე ეტყობა გამოყენების კვალი.

ამ ტიპის საქრისეების დასამზადებლად ლამელა მხოლოდ 7 შემთხვევაშია გამოყენებული, ანატკეცი 3-ჯერ, დანარჩენი იარაღები კი ანატკეციზეა ჩამოყალიბებული. 40 საქრისის ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთს კაქრის ქერქი ფარავს, ხოლო 20 ერთეული ცეცხლშია მოხვედრილი. მათი სიგრძე 5,6—1,5 სმ-ია, სიგანე 3,8—0,8 სმ-ს არ აღემატება.

ორმაგი საქრისეები (5 ც.) მხოლოდ სამუშაო პირის რაოდენობით განსხვავდებიან მარტივი კიდურა საქრისეებისაგან. მათ ორივე სიგრძეზე გვერდზე ბოლოში ან თავში მიყენებული დარტყმებით ორ-ორი სასაქრისე ანატკეცი აქვს ჩამოცილებული და

მოპირდაპირე კუთხეებში სამუშაო პირია შექმნილი. მათი ზომე-
ბია: $2,5 \times 3,0$ სმ. ორმხრივი საჭრისების დასამზადებლად ხუთივე
შემთხვევაში ანატკეცია გამოყენებული. რომელთაგან ორი ცეცხლ-
შია მოხვედრილი.

შუალა საჭრისები რაოდენობრივად (31 ც.) მეორე
ადგილზეა. მათი სამუშაო წახნაგი შექმნილია ანატკეცის თავსა ან
ბოლოში გარდიგარდმო მიყენებული დარტყმების შედეგად ატ-
კეცილი გვერდების შეხვედრის წერტილში (ტაბ. VI-5, 8—11).

შუალა საჭრისების ჯგუფიდან ცალკე ქვეტიპად გამოიყოფა 7
იარაღი, რომლებსაც ძირითადი მასისაგან განსხვავებით, სასაჭრისე
შუალა წახნაგის შემქმნელი ცალი გვერდი დამაბლაგვებელი რე-
ტუშით აქვს გაფორმებული და ამ ნიშნით რთული იარაღების კა-
ტეგორიას განეკუთვნებიან (ტაბ. VI-11). შუალა საჭრისების 99%
ანატკეცებზეა ნაკეთები.

შუალა საჭრისებიდან 17 ერთეულის ზედაპირს კაქრის ქერქი
ფარავს, ხოლო 8 ნიმუში ცეცხლშია მოხვედრილი. მისი ზომები
მერყეობს $5,1 \times 3,8$ — $2,0 \times 1,5$ სმ-ს შორის.

თავრეტუშნიანი საჭრისების ჯგუფში (10 ც.) ვა-
ერთიანებთ ისეთ იარაღებს, რომელთა სასაჭრისე წახნაგი წარმო-
ქმნილია რეკოშირებული განივი გვერდისა და ატკეცილი სიგრძი-
ვი გვერდის შეხვედრის კუთხეში, ე. ი. ფაქტიურად ისინი კიდურა
საჭრისებია. მაგრამ ამ შემთხვევაში იარაღის გაფორმებისათვის
უფრო რთული ხერხია გამოყენებული: თავრეტუშირებული საჭრი-
სებიდან, სასაჭრისედ ატკეცილი გვერდისა და რეტუშირებული
თავის შეხვედრის წერტილში წარმოქმნილი კუთხის დახრილობის
მიხედვით, სამი სახესხვაობა გამოიყოფა. ესენია: თავსწორრეტუ-
შნიანი სწორი (2 ც.) (ტაბ. VI-15), თავირბრეტუშნიანი, ხიწვიანა
(I ც.) (ტაბ. VI-12) და სწორი სასაჭრისე ანატკეცილი (6 ც.) (ტაბ.
VI-13) ზედა თავამოლარული, სწორი საჭრისი (ტაბ. VI-14).

ყველა იარაღი ანატკეცზეა გაფორმებული, რომელთაგან ორი
ცეცხლშია მოხვედრილი. მათი ზომები მერყეობს: $5,4 \times 2,8$ სმ —
 $2,9 \times 0,8$ სმ-ს შორის.

როგორც საჭრისების აღწერისას დავინახეთ, 96 შემთხვევაში
ამ სახის იარაღის დასამზადებლად ანატკეც-ანამტვრევია გამოყე-
ნებული და ასეთი დანიშნულებით ლამელა ნახმარია მხოლოდ 8-
ჯერ.

ზურგიანი დანები (193 ც.) პალურის ნამოსახლარზე
მოპოვებული იარაღების მეორე ძირითადი ჯგუფია. ეს იარაღები

ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩევა რიგითი ანატკეცებისაგან და შეგვეძლო უბრალო ნამზადებად მიგვეჩინა, როგორც ეს აქამდე საყოველთაოდ იყო მიღებული. უკეთეს შემთხვევაში, მათ რეტუშირებულ ან გამოყენებულ ანატკეცებს ვუწოდებდით. „რეტუშირებული ანატკეცი“ ან „გამოყენებული ანატკეცი“ ძალზე ზოგადი ტერმინებია, რაც ვერ ასახავს ნაწარმის ფუნქციონალურ დანიშნულებას — თუ რა პროცესში და როგორი იარაღის სახით იღებდა მონაწილეობას იგი სამეურნეო ცხოვრებაში.

ანატკეცთა ჯგუფიდან ზურგიანი დანების გამოყოფისას გავითვალისწინეთ ამ იარაღის დამახასიათებელი ორი ნიშანი: 1. იარაღის რეტუშირებული, ნახევრად რეტუშირებული ან დაუშუშავებელი, მაგრამ ხმარების ნიშნების მქონე (უმეტესობა ასეთია) პირი და 2. ბლაგვი, ხელოვნურად (კიდის გადამტვრევით ან ატკეცით) დაბლაგველი თუ ბუნებრივი ქერქით დაფარული პირის მოპირდაპირე კიდე, რომელსაც იარაღის დანის სახით ხმარებისას მარჯვედ ეყრდნობა საჩვენებელი თითი. ამიტომაც ჩვენ იარაღის ამ ნაწილს ზურგი ანუ ყუა ვუწოდეთ და თვით იარაღს კი „ზურგიანი დანა“, რაც, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ნაწარმის მორფოლოგიურ ნიშნებს და, მეორე მხრივ, განსაზღვრავს იარაღის პრაქტიკულ დანიშნულებას.

ამ ნიშნების გათვალისწინებით, ზურგიანი დანები სამ ქვეჯგუფად იყოფა: ა) დანები, რომელთა ზურგი ერთ-ერთი სიგრძევი გვერდის გადამტვრევით, ან განივი ანატკეცებითაა დაბლაგველი (106 ც.) (ტაბ. VII-1—6), ბ) დანები (19 ც.), რომელთა ზურგს ანატკეცის ბუნებრივად მასიური კიდე წარმოადგენს (ტაბ. VII-7—10) და გ) დანები (68 ც.), რომელთა ზურგი კაპრის ქერქი არის დაფარული (ტაბ. VII-8—10).

ზურგიანი დანების წამყვან სახეობას შეადგენს სწორპირი იარაღები (144 ც.), ისინი, რომელთა ზურგის მოპირდაპირე კიდე სწორხაზოვანია. მეორე ადგილზეა პირმორკალული (33 ც.) დამესამეზეა ამოღარულპირიანი დანები (16 ც.).

ზურგიანი დანების დიდი უმრავლესობა დამუშავების გარეშე ჩანს გამოყენებული (176 ც.). მათ პირზე ეტყობათ მცირე ზომის ანატკეც-ჩანატეხები, რაც ხმარების შედეგადაა მიღებული (ტაბ. VII-4, 6—9). დანების ჯგუფიდან მხოლოდ 17 იარაღი გამოიყოფა რომლებსაც პირი მთლიანად ან ნაწილობრივ აქვთ გაფორმებული რეტუშირით, ზედა (10 ც.) თუ ქვედა (7 ც.) სიბრტყიდან (ტაბ. VII-1—3, 5, 10).

როგორც ზემოთ ითქვა, ზურგიანი დანების დასამზადებლად ძირითადად სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატკეცია გამოყენებული (158 ც.). შედარებით იშვიათად არის ნახმარი უხეშე ანამტკრევი (9 ც.) და მხოლოდ 26 ც. ატიპიური ლამელაა ამ მიზნით გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, აქაც არსებითად ანატკეცთა ტექნიკაა გაბატონებული.

საფიქრებელია, რომ ზურგიანი დანები იხმარებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგში, როგორც გარე, ისე საოჯახო საქმიანობაში, უშუალოდ კერასთან, რისი მოწიპობაც უნდა იყოს ის 25 იარაღი, რომლებიც ძლიერ ცეცხლში მოხვედრის აშკარა ნიშნებს ატარებს. მათი საშუალო ზომებია: $5,0 \times 2,0$ სმ.

პალურის კიდევ ერთი ძირითადი სამეურნეო იარაღია გვერდრეტუშირებული საფხეკი, ე. ი. იარაღი, რომელსაც რეტუშირებული აქვს დარტყმის მოედნის მომიჯნავე ესა თუ ის სიგრძივი გვერდი. პალურში 100 ც. ასეთი იარაღია მოპოვებული. სამუშაო პირის მოყვანილობის მიხედვით, ეს იარაღები სამ ქვეტიპად შეიძლება დაიყოს: 1) გვერდამოღარული, 2) სწორპირა და 3) პირმოაკალული საფხეკეები.

1. გვერდამოღარული საფხეკეებიდან თითქმის ყველა (46 ც.) ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატკეცებზე (ერთი — ანამტკრევეზე), რომელთაგან 14-ის ზედაპირს გარკვეულ მონაკვეთზე კაქრის ქერქი ფარავს. როგორც უკვე ითქვა, ამ ტიპის იარაღების ძირითადი დეტალია რეტუშირებული ერთი რომელიმე სიგრძივი გვერდი (ტაბ. VII-11—15), თუმცა გამონაკლისის სახით ერთ-ერთ იარაღს ორივე გვერდი აქვს ამოღარული (ტაბ. VII-13). საფხეკეებიდან 24 ერთეული გაფორმებულია ქვედა სიბრტყიდან, ხოლო 22 ნიმუში რეტუშირებულია ზურგიდან. იარაღებს შორის სხვაობა რეტუშირების ხასიათშიც შეინიშნება, მაგალითად, ციცაბო რეტუშირით გაფორმებულია 40 იარაღი, ხოლო ფხისმიმცემი რეტუშირით — 6. ეს ალბათ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი სახისა და სიმკვრივის მასალა (ძვალი, ხე) იქნებოდა დასამუშავებელი კონკრეტულ შემთხვევაში. გვერდამოღარული საფხეკეებიდან ათი ცეცხლშია მოხვედრილი. მათი ზომები მერყეობს $6,0 \times 3,5$ სმ — $1,5 \times 1,5$ სმ-ს შორის.

2. გვერდრეტუშირებული სწორპირა საფხეკეების (40 ც.) ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი სწორხაზოვნადაა გაფორმებული ციცაბო (32 ც.) ან ფხისმიმცემი (8 ც.) რეტუშირით (ტაბ. VII-19—21).

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი იარაღის ციკაბო გვერდის გამაფორმებელი რეტუში თავისი წერილი, პარალელური, ღრმად შეჭრილი ფაცეტებით მცოცავ რეტუშს უახლოვდება (ტაბ. VII-19). საფხეკებიდან 28 ერთეული გაფორმებულია ზურგიდან, ხოლო 12—ქვედა სიბრტყიდან. ამ ტიპის იარაღების დასაშვადებლად მხოლოდ ანატკეცებია გამოყენებული, მათ შორის 14-ის ზედაპირზე კაჟრის ქერქის ფრაგმენტებია შერჩენილი და შვიდი ნიმუში ცეცხლშია მოხვედრილი. საფხეკების საშუალო ზომებია: $4,0 \times 2,0$ სმ.

3. გვერდ რეტუში რეზული პირმოკალული საფხეკები შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი პალურში (14 ც.). მათი რეტუშირებული პირი მეტნაკლებად მორკალულია. 12 იარაღის საშუალო მონაკვეთი ციკაბოდ არის გაფორმებული, ხოლო ორისა— ფხიანია (ტაბ. VII-16--18). 4 ნიმუშის გარდა, ყველა საფხეკი ქვედა სიბრტყიდანაა რეტუშირებული. თუ რატომ ეძლეოდა პრიორიტეტი რეტუშირების ამგვარ ხერხს საფხეკების დამზადებისას, ძნელი სათქმელია. ყველა იარაღი გაფორმებულია ანატკეცებზე მათ საშუალო ზომებია: $2,6 \times 3,0$ სმ.

ამრიგად, საფხეკების ჯგუფშიც ბატონობს ანატკეცი, როგორც ნამზადის ძირითადი სახე და ციკაბო რეტუშირება მეორად დამუშავებაში.

გვერდრეტუშირებული საფხეკების რაოდენობრივი მონაცემები უდავოდ მიუთითებს მათ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ პალურის მზა იარაღებს შორის შედარებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება ე. წ. ბოლო-რეტუშირებული საფხეკები, ე. ი. იარაღები, რომელთა სამუშაო პირი ნამზადის დარტყმის მოედნის მოპირდაპირე ნაწილშია მოქცეული. პალურის კომპლექსიდან მხოლოდ 14 ც. იარაღი გამოიყო, რომელიც, ასე თუ ისე, შეიძლება ზემოაღნიშნულ ტიპად ჩაითვალოს. საქმეს ისიც ართულებს, რომ იარაღების უმეტესობა ანატკეცებზეა გაფორმებული და მათი რეტუშირებაც უფერულია.

სამუშაო პირის მოყვანილობის მიხედვით, ამ მცირერიცხოვანი ჯგუფიდან ოთხი სახესხვაობის იარაღი გამოიყოფა. ესენია: ოვალურ პირიანი (5 ც.), პირამოიდარული (3 ც.), სწორპირიანი (3 ც.) და ირიბპირიანი საფხეკები (3 ც.).

ოვალურ პირიანი საფხეკები (5 ც.) მეტნაკლებად უყვებ ჩამოყალიბებული იარაღებია. ერთი მათგანი კაჟრის ქერქიან მოზრდილ ($4,9 \times 3,4$ სმ) ანატკეცებზეა გაფორმებული (ტაბ. VIII-1), დანარჩენი ოთხისათვის კი საშუალო ზომის ($3,1 \times 1,9$ სმ) ფარ-

თო ლამელები უხმარიათ (ტაბ. VIII-2—4). ერთი იარაღის სამუშაო მონაცემთა ქვედა სიბრტყისაკენ ბუნებრივად მკვეთრად დამრეცია ისე, როგორც ეს მაღალ საფხეკებს ახასიათებთ. საფხეკების პირის მეორადი დამუშავება ზოგჯერ იმდენად უფერულია, რომ რეტუში ხმარების შედეგად წარმოქმნილ ანატკეცის ფაცეტებს მოგვაგონებს. ერთ შემთხვევაში რეტუში ნაწილობრივ იარაღის სიგრძივ გვერდებსაც გასდევს (ტაბ. VIII-3). მათი ზომები მერყეობს: $4,8 \times 3,4$ სმ — $3,0 \times 1,8$ სმ-ს შორის.

პირამოლარული საფხეკებიც (4 ც.) ასევე არატიპიურია (ტაბ. VIII-5). სამი იარაღი ანატკეცებზეა გაფორმებული (ზომებია: $5,0 \times 3,2$ სმ) და მხოლოდ ერთი საფხეკისათვის გამოუყენებიათ მომცრო ($1,8 \times 1,1$ სმ) ლამელა (ტაბ. VIII-6). სამი იარაღი რეტუშირებულია ქვედა სიბრტყიდან, ერთი კი გაფორმებულია ზურგიდან. ორი იარაღის ზედაპირის გარკვეულ ნაწილზე კაჟრის ქერქია შემორჩენილი.

ირიბპირიანი საფხეკების (2 ც.) დასამზადებლად ანატკეცებია გამოყენებული (ტაბ. VIII-10). ერთ-ერთი იარაღის ზურგის ნახევარს კაჟრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. მათი ზომები მერყეობს $4,2 \times 1,3$ სმ — $2,2 \times 1,7$ სმ-ს შორის.

სწორპირა საფხეკებიდან (3 ც.) ორი გაფორმებულია ანატკეცებზე, ერთი კი მოგრძო, ფართო, ორფერდა ლამელაზეა ჩამოყალიბებული (ტაბ. VIII-9) ($4,6 \times 2,6$ სმ).

ანატკეცებზე გაფორმებული საფხეკებიდან ერთის პირი ქვედა სიბრტყიდან, ხოლო მეორის სიგრძივი გვერდები ზურგიდან იმდენად მაღალ ოსტატურადაა შესრულებული, რომ რეტუში ე. წ. მცოცავს უახლოვდება. ორივე საფხეკი ცეცხლშია მოხვედრილი (ტაბ. VIII-7—8).

როგორც ცნობილია, ბოლორეტუშირებული საფხეკი ზედაპალეოლითიდან მოკიდებული ქვის ხანის ყველა საფხეკურის იარაღთა ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. ეს იარაღი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ლითონის შემოსვლამდე) არსებითად კონსერვატულია და ქვის ხანის ადამიანის სამეურნეო ცხოვრების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამის საპირისპიროდ ბოლორეტუშირებული საფხეკების ნაკლებობა პალეოლის ძეგლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა.

ბოლორეტუშირებულ საფხეკებთან მოყვანილობითა და, ალბათ, დანიშნულებითაც ახლო დგას კიდევ ხუთი იარაღი, რომლებსაც

სამუშაო პირის გარდა, (ოვალურია იგი თუ ამოღარული) სიგრძივი გვერდებიც რეტუშირებული აქვთ. ამ იარაღების სიგრძივი გვერდებზე მეორადი დამუშავების. თვალსაზრისით უფრო მეტი ყურადღებაა გამახვილებული, ვიდრე ანატკეცის ბოლოზე, რაც განახევებს მათ ნამდვილი ბოლორეტუშირებული იარაღებისაგან.

ბოლორეტუშიანსაფხეკეებს (5 ც.) შორის ოთხი ოვალურპირიანი და ერთი პირამოღარულია. ოვალურპირიანი იარაღებიდან ორს ერთი სიგრძივი გვერდი და პირი რეტუშირებული აქვს ქვედა სიბრტყიდან (ტაბ. VIII-11), ხოლო მეორე სიგრძივი კიდე ზედა სიბრტყიდან. დანარჩენ ორ იარაღს კი პირიქით, სიგრძივი გვერდი და პირი გაფორმებული აქვს ზურგიდან და მეორე სიგრძივი გვერდი შესაბამისად ქვედა სიბრტყიდან (ტაბ. VIII-13).

პირამოღარულ საფხეკისებურ იარაღს სიგრძივი გვერდი და პირი რეტუშირებული აქვს ქვედა სიბრტყიდან, ხოლო მეორე სიგრძივი გვერდი კი ზურგიდან (ტაბ. VIII-12). ხუთივე ბოლორეტუშირებული საფხეკისებური იარაღი ჩამოყალიბებულია საშუალო ზომის (2,7×1,6 სმ) ანატკეცებზე (ორი გატეხილია), რომელთაგან ერთს დარტყმის სიბრტყეზე კაჭრის ბუნებრივი ქერქი შემორჩენია.

პალურის მზა იარაღთა კომპლექსში შედის, აგრეთვე, მრგვალი საფხეკების მცირე ჯგუფი (7 ც.). ამ იარაღებს პირობითად ვუწოდებთ მრგვალს, რადგან ისინი ყოველთვის არ არიან ბოლომდე წრიულნი და მეტნაკლები ინტენსივობით ნახევარწრეზეა რეტუშირებული. ამავე ჯგუფთან ახლო დგას ორი ირგვლივრეტუშირებული საფხეკი, რომელშიც შერწყმულია მორკალული, სწორი და ამოღარული პირის ელემენტები და ერთი დაკუთხული საფხეკი, რომლის ოთხი გვერდი სწორი და ამოღარული გვერდების კომბინაციურ სტილშია მოცემული.

მრგვალი საფხეკებიდან (7 ც.) ხუთი წრის დიდ ნაწილზეა რეტუშირებული (ტაბ. VIII-14-16), ორი კი სანახევროდაა გაფორმებული (ტაბ. VIII-17), მათ შორის ორი მიკროლითურია (ტაბ. VIII-14—16). ამ ტიპის საფხეკებიდან ოთხი იარაღი ზურგიდან არის რეტუშირებული, სამი კი რეტუშირებულია მუცლიდან. რეტუში ყველა შემთხვევაში ციკაბოა. საფხეკების დიამეტრი მერყეობს 2,9—1,9 სმ შორის.

ირგვლივრეტუშირებული საფხეკები (3 ც.), როგორც წესი, ქვედა სიბრტყიდან არიან გაფორმებულნი. ერთი იარაღის ორი გვერდი სწორია, ერთი მორკალული და ერთი ამოღარუ-

ლია (ტაბ. VIII-18). მეორე იარაღში მოცემულია ამოღარული და მორკალული გვერდების კომბინაცია (ტაბ. VIII-19).

მესამე იარაღი წარმოადგენს ხუთკუთხა ანატკეცზე გაფორმებულ საფხეკს, რომლის სამი გვერდი რეტუშირებულია ზურგიდან, ერთი მუცლიდანაა გაფორმებული და ერთი დაუშუშავებელია (ტაბ. VIII-20). მათი ზომები მერყეობს: $2,5 \times 2,5$ — $2,3 \times 2,3$ სმ-ს შორის. როგორც დაკუთხული, ისე ყველა მრგვალი საფხეკის დასამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ანატკეცებია გამოყენებული, რომელთა გამაფორმებელი რეტუში ციცაბოა (იხ. ცხრილი 6.).

ცხრილი 6

| №-ს რიგზე | იარაღები | აოლნება | ლა-ზე ჩამოკეცი | ანატკეც ჩამოკეცი | %-ული შეფარდება |
|-----------|--------------------------------------|---------|----------------|------------------|-----------------|
| 1 | ოვალურიპირიანი საფხეკი | 5 | 3 | 2 | 16,50 |
| 2 | პირამოლორული საფხეკი | 4 | 1 | 3 | 13,20 |
| 3 | ორიპირიანი საფხეკი | 2 | — | 2 | 6,60 |
| 4 | საფხეკისებური ბოლორეტუნიანი იარაღები | 5 | 2 | 3 | 16,50 |
| 5 | მრგვალი საფხეკები | 7 | — | 7 | 23,20 |
| 6 | ირეგულირეტუშიანი საფხეკეაი | 2 | — | 2 | 6,60 |
| 7 | ორიპირიანი მიკრო საფხეკი | 2 | 2 | — | 6,60 |
| 8 | ნახევარწიელი მიკრო საფხეკი | 3 | 3 | — | 9,90 |
| ს უ ლ | | 30 | 11 | 19 | 10,00 |

პალურის შუა იარაღთა კომპლექსის კიდევ ერთი წამყვანი სახეობაა სახვრეტი. ეს იარაღი წარმოდგენილია 32 ერთეულის სახით და მათი მეორადი დამუშავების ხასიათისა თუ მოყვანილობის გათვალისწინებით, ამ ჯგუფიდან ოთხი სახესხვაობა გამოიყოფა. ესენია: 1. სახვრეტები ბურღისებურად გაფორმებული წვერით, 2. სახვრეტები ზურგიდან რეტუშირებული წვერით, 3. სახვრეტები ცალგვერდრეტუშირებული წვერით და 4. ურეტუშო სახვრეტები, რომელთა წვერს ეტყობა ხმარების ნიშნები.

ბ უ რ ღ ი ს ე ბ უ რ ა ი ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი ს (6 ც.) ორივე სიგრძივი გვერდი ისეა სხვადასხვა სიბრტყიდან გაფორმებული, რომ

ანატკეცის ბოლოში ბურღისებური სახვრეტი წვერია წარმოქმნილი (ტაბ. VIII-21; ტაბ. IX-12). გამონაკლისს წარმოადგენს სამი იარაღი, რომელთა რეტუშირება ანალოგიური მეთოდით არის შესრულებული, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამ უკანასკნელთა სახვრეტი შვერილი ანატკეცის ბოლო მონაკვეთის ნაცვლად ანატკეცის გვერდზეა გამოყვანილი (ტაბ. IX-3—4). საერთოდ ყველა იარაღის რეტუში ციკაბოა. ერთ-ერთი სახვრეტი რეტუში მცოცავი სახისას უახლოვდება (ტაბ. VII-21). ყველა იარაღი ანატკეცზეა გაფორმებული. მათ შორის სამს დარტყმის მოედანზე კაპრის ქერქი აქვს შემორჩენილი. ამ იარაღთა ზომები მერყეობს: $4,0 \times 2,2 - 2,1 \times 1,1$ სმ-ს შორის.

სახვრეტები ცალმხრივი რეტუშით (7 ც.) ფაქტიურად სხვადასხვა მოყვანილობის ანატკეცებია, რომლებსაც ორივე სიგრძივი გვერდი სრულად თუ ნაწილობრივ რეტუშირებული აქვს ზურგიდან (6 ც.) ან მუცლიდან (1 ც.) და მათი შეხვედრის კუთხეში მოკლე შვერილია წარმოქმნილი (ტაბ. IX-5). სამ იარაღს ზედაპირზე კაპრის ქერქის ფრაგმენტი შემორჩენია. მათი ზომები მერყეობს: $3,2 \times 2,5 - 1,7 \times 1,1$ სმ-ს შორის.

ცალგვერდ რეტუშირებული სახვრეტები (13 ც.) უპირველესად ლამელისებურ, მოგრძო ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ხუთია ნამდვილი ლამელა. ამ იარაღებს ქვედა სიბრტყიდან (7 ც.) ან ზურგიდან (6 ც.) რეტუშირებული აქვთ ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი, რომლის მეორე გვერდთან შეხვედრის კუთხეში მახვილი წვერი წარმოიქმნება (ტაბ. IX-6, 7). მათი ზომები: $3,5 \times 2,1 - 2,0 \times 0,7$ სმ-ია.

ურეტუშო სახვრეტების (3 ც.) წვეტიან ბოლოზე ასახულია ხმარების ნიშნები მცირე ანატკეცებისა და ჩანატეხების სახით. ორი ნიმუში წარმოადგენს ლამელისებურ ანატკეცს, ერთი კი ტიპიური ორფერდა ლამელაა (ტაბ. IX-8).

გარეგანი მოყვანილობით სახვრეტებთან ახლო დგას „წვეტანისებური“ სამკუთხა იარაღები, რომლებსაც, სახვრეტებისაგან განსხვავებით, რამდენადმე ბლაგვი წვერი გააჩნიათ.

წვეტანისებური სამკუთხა იარაღები (9 ც.) უმეტესად გაფორმებულია ტოლფერდა სამკუთხედის მსგავს ანატკეცებზე (ტაბ. IX-9-12). გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ნიმუში, რომელიც მეტნაკლებად ვიწროა და წაგრძელებული (ტაბ. IX-12). ამ იარაღების სიგრძივი გვერდები რეტუშირებულია თავიდან ბოლომდე. ხუთი იარაღი გაფორმებულია ზურგიდან, ოთხი—

მუცლიდან. ხშირად, გამაფორმებელი რეტუში ციცაბოა (5 ც.). ხუთი იარაღის დარტყმის მოედანს ან ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთს კაქრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. მათი ზომები მერყეობს: $3,7 \times 2,8$ — $2,1 \times 1,9$ სმ-ს შორის.

პალურის შხა იარაღთა შორის კიდევ ერთი საინტერესო სახეობაა პირდაკბილული იარაღები, რომელთა ძირითადი დეტალია რეტუშით ამოღარულ-დაკბილული ორი გვერდის შუა ნაწილში შექმნილი პატარა შვერილი.

პირდაკბილული იარაღები (9 ც.) ფაქტიურად წარმოადგენენ გვერდარტუშირებულ საფხეკებს. მათი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი მუცლიდან (3 ც.) თუ ზურგიდან (6 ც.) რეტუშირების გზით დაკბილულია და მათ შუა ნაწილში ერთი ან ორი პატარა, დაბალი შვერილია წარმოქმნილი (ტაბ. IX-13—17). ამ იარაღებიდან რვა ანატოციზე და ერთი ლამელზეა გაფორმებული. ერთი იარაღი ცეცხლშია მოხვედრილი, სამის ზედაპირზე კი კაქრის ქერქის ფრაგმენტია შემორჩენილი. მათი საშუალო ზომები: $2,6 \times 1,5$ სმ-ია.

პალურის კულტურული რაობის გასათვალისწინებლად საყურადღებოა, აგრეთვე, კაქის იარაღთა კომპლექსში შემავალი ერთი თავისებური ნაქეთობა, რომელსაც ჩვენ „ანკესისებური“ შევარქვით, ს. ზამიატნინი კი სოსრუკოში აღმოჩენილ ანალოგიურ ნიმუშებს „ლეკალოს“ უწოდებს¹⁴. როგორც ჩანს, ამგვარი სახელწოდების ხმარებისას ს. ზამიატნინს მხედველობაში აქვს იარაღის მრუდე მოყვანილობა, რითაც იგი გეომეტრიულ ხელსაწყოს ლეკალოს აშსგავსებს. ჩვენი აზრით, სახელწოდება „ანკესისებური“ უფრო სრულად გამოხატავს იარაღის შორფოლოგიურ სახეს. ამ იარაღის ძირითადი ელემენტებია ციცაბო რეტუშით გაფორმებული და ნამგალივით მოხრილი ერთი ან ორი უგრძესი გვერდი და ბოლოში, იშვიათად კი შუაში წარმოქმნილი ანკესისებური მახვილი შვერილი.

როგორც ამ იარაღებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მათი მეორადი დამუშავება უმთავრესად შვერლის გამოყვანას ისახავდა მიზნად, რაც იარაღის ძირითადი ელემენტი უნდა ყოფილიყო. ციცაბო რეტუშის საშუალებით ხელოსანი რამდენადმე ამცირებს ანატოციის სიგანეს, აბლაგვებს ფხიან კიდეებს, ნამგლისებურ მოხრი-

¹⁴ С. Н. З а м я т н и н, П. Г. А к р и т а с. Раскопки грота Сосруко в 1955 году. Ученые записки, том XIII, 1959, с. 445, рис. 9_a-11.

ლობას აძლევს გვერდს და ოსტატურად გამოჰყავს ანკესის კავისე-
ბური შვერილი.

„ანკესისებური“ იარაღები პალურში სულ 35 ერთეულია ნა-
ნახი. რეტუმის ხასიათისა და შვერილთა რაოდენობის გათვალის-
წინებით ამ ჯგუფიდან ორი სახესხვაობა გამოიყოფა: ზურგიდან
ან მუცლიდან რეტუშირებული ერთ შვერილიანი იარაღები
და ზურგიდან, მუცლიდან ან სხვადასხვა სიბრტყიდან გაფორმებუ-
ლი ორ შვერილიანი იარაღები.

ერთ შვერილიანი ანკესისე ბური იარაღები
უმრავლესობას (26 ც.) შეადგენს. ამ იარაღების ძირითადი ნიშანია
ერთ-ერთი უგრძესი გვერდის (თუნდაც იგი განივი იყოს) რეტუში-
რება და ანატკეცის ბოლოში წარმოქმნილი შვერილი (ტაბ. IX-18—
22; ტაბ. IX-1—2), თუმცა ერთ შემთხვევაში შვერილი რეტუში-
რებული გვერდის შუა ნაწილშია გამოყვანილი (ტაბ. X-1—2).
ერთშვერილიან იარაღებს შორის ჩვიდმეტი ზურგიდან არის გა-
ფორმებული, ხოლო ცხრა ერთეული რეტუშირებულია მუცლიდან.
თორმეტ შემთხვევაში რეტუშირება სწორხაზოვანია, დანარჩენი
თოთხმეტის გვერდი კი ნამგლისებურად არის მოხრილი და იარაღი
გვერდამოღარულ საფხეკს ემსგავსება. უმეტეს შემთხვევაში (23
ც.) იარაღის გვერდის გამაფორმებელი რეტუში დამაბლაგვებელია,
მათ შორის ოთხი იმდენად ოსტატურად არის გაფორმებული, რომ
რეტუში მცოცავს უახლოვდება (ტაბ. IX-21; ტაბ. X-2). ყველა
იარაღი, უკლებლივ ანატკეცებზეა გაფორმებული, რომელთაგან
ცამეტს ზედაპირის გარკვეულ მონაკვეთზე კაჭრის ბუნებრივი
ქერქი შერჩენია. ანკესისებური ერთშვერილიანი იარაღების ზომები
მერყეობს: $4,0 \times 2,7$ სმ — $2,2 \times 1,5$ სმ-ს შორის. ამ იარაღების უდი-
დესი შვერილის სიგრძე 0,5 სმ-ია.

ანკესისებური ორშვერილიანი იარაღი 9 ერთეულით არის
წარმოდგენილი. აქედან ოთხი სხვადასხვა სიბრტყიდან (ტაბ. X-
3, 4, 7, 9), ოთხი ზურგიდან (ტაბ. X-6) და ერთი ქვედა სიბრტყი-
დან არის რეტუშირებული (ტაბ. X-5). სხვადასხვა სიბრტყიდან გა-
ფორმებული იარაღებიდან ორს შვერილები ანატკეცის სიგრძივი
გვერდების შუა ნაწილში აქვს გამოყვანილი (ტაბ. X-3, 7). ორს
კი ანატკეცის ბოლოზე (ტაბ. X-4, 9). სამწუხაროდ, ეს ორი უკანას-
კნელი გატეხილია: ერთს აკლია ზედა ნაწილი და გადარჩენილია
შვერილების ბოლო, მეორეს სწორედ შვერილებიანი ნაწილი აქვს
მოტეხილი და ჩვენ მხოლოდ პირობითად, ზოგიერთი მეორეხარის-
ხოვანი ნიშნის მიხედვით, (მოხრილობა, მცოცავი რეტუშისებური

გაფორმება და სხვა) ვაკუუმებზე მათ იარაღთა ზემოაღნიშნულ ტიპს.

ზურგიდან გაფორმებული იარაღების შევრილები, მართალია, ხშირად ანატკეცის ბოლოში არ არის გამოყვანილი, მაგრამ როგორც წესი, ყოველთვის სიგრძივი გვერდის რეტუშირებული ნაწილის ჩამკეტს წარმოადგენს და პრაქტიკულად იგივე ბოლოშვერილიანი იარაღებია (ტაბ. X-6).

ზემოაღწერილი იარაღი მოგრძო ლამელისებურ ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული, რომელთაგან სამს კაპრის ქერქი გამოჰყოლია. არ არის გამორიცხული, ანკესისებურ იარაღების მისაღებად ზოგიერთ შემთხვევაში ლამელაც ეხმარათ, მაგრამ ამყამად მეორადი დამუშავების შედეგად ნაშნადის სახე ისეა შეცვლილი, რომ მისი თავდაპირველი რაობის შესახებ მსჯელობა ჭირს. ორშვერილიანი იარაღების ზომები მერყეობს: $4,3 \times 4,0$ სმ — $2,0 \times 1,8$ სმ-ს შორის.

ანკესისებური იარაღების პრაქტიკული დანიშნულების შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. გაურკვეველია, თუ რა პროცესში იღებდა მონაწილეობას ეს ვიწრო, გვერდებზაბლაგვეული იარაღი, რომელიც შევრილით მთავრდება. გამორიცხებული არაა ზოგიერთი ფართო, გვერდამოღარული იარაღი საფხეკადაც ეხმარათ, მაგრამ გაუგებარია რაღა საჭირო იყო საგანგებოდ გამოყვანილი შევრილი, რაც იარაღის ამ დანიშნულებით გამოყენებისას უთუოდ ხელისშემშლელი დეტალი იქნებოდა. შეიძლება დაგვეშვა, რომ ეს შევრილები სახვრეტების დანიშნულებით იხმარებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გაუგებარია, რა საჭირო იყო შევრილის სიგრძივ გვერდზე გამოყვანა მთელი გვერდის დაბლაგვევის გზით, (რაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა), მაშინ როცა შეეძლოთ მოგრძო ანატკეცის წვერი ექციათ სახვრეტად, ეს კი ნაკლები შრომის ხარჯზე უფრო ეფექტური იარაღის შილების საშუალებას იძლევა.

ხსენებული იარაღების საერთო მოყვანილობისა და ძირითადი დეტალების გათვალისწინებით ჩვენ არ გამოვრიცხავთ მათი ერთი ნაწილის (ფართო ცალები) ძვლის იარაღის დასამუშავებლად გამოყენებას (შევრილის საშუალებით ღარის აშოლებას) ან ანკესებად ხმარებას, რასაც გარეგნულად ემსგავსებიან კიდევ.

ასევე არ გამოვრიცხავთ ამ იარაღების დიდი ნაწილის გამოყენებას სამკელი დანის დანიშნულებით, რომლის შევრილს თავთავის მოსაწყვეტი კავის მოვალეობის შესრულება შეეძლო.

პალურში ერთეულების სახით არის წარმოდგენილი ე. წ. კომბინირებული იარაღები. ესენია: თავირიბრეტუშიანი ირიბი საპრისი, გვერდამოდარულ საფხეკთან კომბინაციის მიყოფი (ტაბ. X-10), თავსწორგადამტვრეული ხიწვიანი საპრისი, გვერდმორკალურ საფხეკთან ერთად (ტაბ. X-12) და თავსწორგადამტვრეული ხიწვიანი საპრისი სწორპირა საფხეკთან კომბინაციაში მოცემული (ტაბ. X-11). სამივე ნიმუში ანატკეცებზეა გაფორმებული. მათ შორის პირველი იარაღის ზედა სიბრტყის ნახევარს კაპრის ქერჩი ფარავს, ამ იარაღის ირიბად რეტუშირებულ თავზე მიყენებული დარტყმებით ერთ-ერთ სიგრძივ გვერდზე ორი სასაპრისე ირიბი ანატკეცი აქვს ჩამოცილებული. მისი მეორე სიგრძივი გვერდი კი ქვედა სიბრტყიდან ციკაბო რეტუშითაა ამოდარული (ზომები: $4,0 \times 2,0$ სმ).

მეორე იარაღის ორივე სამუშაო ელემენტი (საპრისი და საფხეკი) ერთსა და იმავე სიგრძივ გვერდზეა მოქცეული. ხიწვიანი სასაპრისე ანატკეცი აგრძელებს რეტუშით მორკალულ გვერდს. მისი ზომებია: $4,6 \times 13,0$ სმ.

მესამე იარაღი, როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენს თავსწორგადამტვრეულ ხიწვიან საპრისსა და სწორპირა საფხეკის კომბინაციას. ამ იარაღის საფხეკი პირი მცირედ არის რეტუშირებული, რაც შეიძლება იარაღის ამ ნაწილის ბუნებრივი მოყვანილობით (საკმაოდ მაღალი, დაპრეცი და სწორხზოვანია) იყოს ნაკარნახევი. ზომები: $4,7 \times 2,3$ სმ-ია.

ერთეულების სახით მოპოვებულ იარაღების ჯგუფს მიეკუთვნება, აგრეთვე, მუცელათლილი ლამელები, რომლებიც ე. წ. კუკრეკის ტიპის იარაღებს ემსგავსებიან. მათ შორის ორი გატეხილია, ერთს აკლია ზედა ნახევარი, ხოლო მეორეს არც თავი და არც ბოლო აღარ შემორჩენია.

ათლილმუცლიანი იარაღები (3 ც.) წარმოდგენენ ოთხფერდა ვიწრო, წაგრძელებულ ლამელისებურ ანატკეცებს, რომელთა ქვედა სიბრტყე ჰორიზონტალურად არის ატკეცილი, სიგრძივი გვერდების კიდეებიდან ცენტრის მიმართულებით. ამგვარი დამუშავება თითქოს იარაღის რეტუშირებას ისახავს მიზნად, მაგრამ ანატკეცთა ფაცეტები ისე ძლიერად აქრება სიღრმეში, რომ ქვედა სიბრტყე მთლიანად დამუშავებულის შთაბეჭდილებას ტოვებს (ტაბ. XI-1—3). განსაკუთრებით მაღალხარისხოვნად არის ატკეცილი ამ ჯგუფში შემავალი მთელი ნიმუში, რომლის ვიწრო, გრძელი,

ჰორიზონტალურ ანატკეცთა ფაცეტები მცოცავ რეტუმს მოგვაგონებს (ზომები: $4,1 \times 1,9$ სმ).

თუ რა დანაშნულებით იხმარებოდა ეს იარაღები, ჩვენთვის უცნობია. მათი მეორადი დამუშავება უფრო ფხისმიმცემია, როგორც ეს გარკვეული საგნის გასაკვეთ-გასაჭრელი დანიშნულების მქონე დანებისა ან მათი მსგავსი იარაღებისთვის არის საჭირო.

მეორადი დამუშავების თვალსაზრისით, აღნიშნულ იარაღებთან ახლო დგას კიდევ ორი ნაკეთობა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ უკვე ზურგი აქვთ ათლი და არა ქვედა სიბრტყე.

ზურგათლილი იარაღების (2 კ.) დასამზადებლად გამოყენებულია დაბალი, ფართო, მცირე ზომის ანატკეცები. მათი ზურგი სანახევროდ დასერილია დარტყმის სიბრტყიდან შეეუღლად მიმართული ფაქიზი, მცოცავი რეტუმის მსგავსი ანატკეცთა ფაცეტებით, რაც უმთავრესად დარტყმის მოედნის სისქის შემცირებას უნდა ისახავდეს მიზნად (ტაბ. XI-4—5). ეს დეტალი ხსენებული იარაღების ჩასართებად გამოყენებას სასარგებლოდ მეტყველებს. ამაზევე მიგვანიშნებს მათი დარტყმის მოედნის მოპირდაპირე ფხიანი კიდე, რომელსაც ხმაურების შედეგად ადგილ-ადგილ მცირე ზომის ჩანატეხები დაუყვება.

აღნიშნული მონაცემებით, შემცირებული ზომებით ($1,2 \times 2,4$ — $1,4 \times 2,0$ სმ) და მეტნაკლებად გარეგანი მოყვანილობით ზურგათლილი იარაღები გეომეტრიული ფორმის (ტრაპეცია, სეგმენტი) ჩასართებს უახლოვდებიან, მაგრამ, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მათი ბუდეში ჩასასმელი ქედი და ფერდები არ არის რეტუმირებული.

ნამდვილი გეომეტრიული ფორმის მიკროლითები პალურის შხა ნაწარმთა კომპლექსში სულ ხუთი ერთეულის სახით შედის. ესენია: ერთი ტრაპეცია და ოთხი სეგმენტი, რომლებიც ორფერდა ლამელეზზეა გაფორმებული.

სეგმენტებს (4 ც.), როგორც წესი, მორკალული ქედი დაბლაგული აქვთ ციკაბო რეტუმით. სამ ნიმუშს მარჯვენა ქიმი ჩამოსტეხია (ტაბ. XI-6, 8) და მხოლოდ ერთია გადარჩენილი სრულად (ტაბ. XI-7). ამ უკანასკნელის ქედის დამაბლაგვებელი რეტუმში შემხვედრია მაშინ, როცა სხვა შემთხვევებში გაფორმება ცალმხრივია ქვემოდან ზურგისაკენ. ყველა სეგმენტი საშუალო სიდიდისა და დაბალია. მთელი ნიმუშის სიგრძე — $2,2$ სმ-ია, სიმაღლე — $0,7$ სმ-ს არ აღემატება.

ტრაპეცია (1 ც.) ოღნავ ასიმეტრიულია. მისი ერთი ფერ-

დი რამდენადმე უფრო მკვეთრად არის დახრილი და მოკლეა, ვიდრე მეორე. ამ იარაღის ქედი ანუ ზედა, ვიწრო მესამე გვერდიც ფერდების მსგავსადაა დაბლაგვებული რეტუშით. ამდენად, იგი სამგვერდრეტუშირებულ იარაღთა ჯგუფს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ტრაპეციის სამივე გვერდი განსხვავებულად არის გაფორმებული, რასაც საკმაოდ იშვიათად ვხვდებით. მაგალითად, იარაღის მარცხენა გვერდის დამაბლაგვებელი რეტუშის ფაცეტები ქვედა სიბრტყიდან ზემოთ მიემართებიან, მეორე ფერდი გაფორმებულია ზემოდან ქვემოთ, ხოლო მათ შუა მოქცეული ვიწრო გვერდის რეტუში შემხვედრია (ტაბ. XI-1, 9). ტრაპეციის ზომები: სიგრძე — 1,5 სმ; სიმაღლე — 1,0 სმ.

გეომეტრიული ფორმის იარაღებთან გარეგანი მოხაზულობითა და მეორადი დამუშავებებს ზოგიერთი ნიშნით ასევე ახლო დგას ერთი იარაღი, რომელიც ტოლფერდა სამკუთხედს ემსგავსება.

ს ა მ კ უ თ ხ ა ი ა რ ა ლ ი (1 ც.) გაფორმებულია მცირე ზომის სამფერდა ლამელის ნატეხზე. მისი ერთი ფერდი დაბლაგვებულია რეტუშით. მეორე ფერდზე სასაპრისე ანატეციის მსგავსი ფრაგმენტია ჩამოცილებული, ხოლო მათ შორის მოქცეულ სწორხაზოვან, ფხიან პირს მუცლის მხრიდან ხმარების შედეგად ჩამოცილებული ანატეციების ფაცეტები დაუყვება (ტაბ. XI-10), იარაღი ცეცხლშია მოხვედრილი. მისი ზომები: სიგანე — 1,9 სმ; სიმაღლე — 1,5 სმ.

როგორც დავინახეთ, პალურის კომპლექსში გეომეტრიული ფორმის იარაღები მცირეა, რაც, ერთი მხრივ, სამეურნეო ცხოვრებაში ამ იარაღთა მცირე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს, ხოლო, მეორე მხრივ, იგივე ფაქტი ძეგლის ქრონოლოგიურ მაჩვენებლადაც გამოდგება.

გეომეტრიულ იარაღებთან, კერძოდ, სეკვენტებთან მოყვანილობით გარკვეულ მსგავსებას იჩენს კიდევ სამი იარაღი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი გარეგნული მსგავსება და არა პრაქტიკული დანიშნულება, რასაც გამორიცხავს ამ იარაღთა მკვეთრად განსხვავებული მეორადი დამუშავება. ხსენებული იარაღები ნახევარწრიული მოხაზულობისანი არიან და ამიტომ მათ „ნახევარწრიულმიკრო საფხეკებს“ ვუწოდებთ.

„ნ ა ხ ე ვ ა რ წ რ ი უ ლ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი“ (3 ც.) ირგვლივა რეტუშირებული. მათ შორის ორი ქვედა სიბრტყიდან არის გაფორმებული (ტაბ. XI-12, 13), ერთი კი ზურგიდან (ტაბ. XI-11). ამ იარაღებიდან ერთ-ერთის გამაფორმებელი რეტუში დამაბლაგვებელია (ზომები: 1,7X1,0 სმ), მეორისა კი იმდენად ციცაბოა, რომ

მისი კიდეებით რაიმე საგნის გაქრა გამორიცხულია (ზომები: $1,8 \times 1,4$ სმ). აი, სწორედ ეს არის ის ძირითადი ნიშანი, რომელიც ხსენებულ იარაღებს სეგმენტური ჩასართებისაგან განასხვავებს. გამოწვევის წარმოადგენს მესამე ნიშნში, რომლის მორკალული ზურგი დაბლაგულია, ხოლო სწორი, დაკბილული გვერდი ნაწილობრივ ფხის მიმცემი რეტუშით არის გაფორმებული (ზომები: $2,1 \times 1,5$ სმ) (ტაბ. № I-11). ეს უკანასკნელი შესაძლოა დანიებური იარაღის ჩასართადაც ყოფილიყო ხმარებული, რასაც ვერ ვიტყვით პირველ ორზე, რომელთა დაბლაგული კიდეები საფხეკი დანიშნულებით ხმარებაზე უნდა მეტყველებდეს. ჩვენი აზრით, სამივე იარაღი მიკროსაფხეკია.

სამივე იარაღი ჩამოყალიბებულია მცირე ზომის მასიურ ანატექცზე, ერთ-ერთი იარაღის ზედაპირის გარკვეულ მოწვევით კაქრის ქერქი შემორჩენია.

მიკროლითური ტექნიკითაა ნაკეთები კიდევ ორი იარაღი, რომლებიც მეორადი დამუშავების მიხედვით ირიბპირიან მიკროლითურ საფხეკებს მოგვაგონებენ.

ირიბპირიანი მიკროსაფხეკები (2 ც.) წარმოადგენენ მცირე ზომის ($1,5 \times 1,1$ სმ — $1,4 \times 1,0$ სმ) ოდნავ მოგრძო ლამელებს, რომლებსაც ბოლო ირიბად აქვთ რეტუშირებული. როგორც ეს პირირიბრეტუშირებული საფხეკებისათვის არის დამახასიათებელი. რეტუშითვეა გაფორმებული ორივე იარაღის თითო სიგრძივი გვერდიც. ამ ორ იარაღს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთი გაფორმებულია ქვედა სიბრტყიდან (ტაბ. XI-14), ხოლო მეორე — ზურგიდან (ტაბ. VI-15).

მცირე ზომის საფხეკები, ისევე როგორც სეგმენტები, ტრაპეცია და ნახევარწრიული საფხეკები, მიკროლითური ტექნიკის ნაწარმაა. აშკარაა, ამ ტექნიკას იცნობს პალურის კულტურის მატარებელი საზოგადოება, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს ასრულებს მათ პრაქტიკულ-სამეურნეო ცხოვრებაში, რაც აგრეთვე ერთ-ერთი თავისებურებაა გამოვლენილი ნაქვისაბლარისა.

პალურში ერთეულების სახით გვხვდება თავირიბრეტუშირებული და ზურგდაბლაგული ლამელები.

თავირიბრეტუშირებული ლამელა ორი ცალია ნანახი პალურში. ერთი მათგანი ტიპური, სამეურნეო ლამელაა. ამ იარაღს თავი ირიბადა აქვს წაკვეთილი, დამაბლაგვებელი რეტუშით და სიგრძივი გვერდის შეხვედრის კუთხეში მსხვილი წვერია წარ-

მოქმნილი. ლამელის ბოლო მოტეხილია. სიგრძე გვერდს ხმარების შედეგად ჩანატეხ-ანატეკეები გასჩენია (ტაბ. XI-18). იარაღი ცეცხლშია მოხვედრილი და მის ზედაპირს მოთეთრო პატინა ფარავს (ზომები: 3,0×1,0 სმ).

მეორე იარაღის დასამზადებლად შედარებით უხეში ლამელა გამოყენებული ლამელის წვერი ქვედა სიბრტყიდან ციცაბო რეტუშითაა წაკვეთილი, ხოლო სიგრძივი გვერდი ზურგის მხრიდან დატანილი რეტუშით დაკბილულია (ტაბ. XI-19). იარაღი ცეცხლშია მოხვედრილი (ზომები: 2,8×1,2 სმ).

ზურგდაბლაგული ლამელებიდან (3 ც.) ორი ცალი არატიპურია. ერთისა — ზურგის მცირე ნაწილია გაფორმებული რეტუშით (ტაბ. XI-17), მეორეს კი სიგრძივი გვერდის ნაცვლად ზურგის შუა ქედი აქვს დაბლაგული (ტაბ. XI-20), მაგრამ მაინც შეიძლება მისი ამ ჯგუფში გაერთიანება. გამონაკლისს წარმოადგენს მესამე იარაღი, რომლის ზურგი და ირიბად წაკვეთილი წვერი მთელ სიგრძეზეა დაბლაგული ციცაბო რეტუშით (ტაბ. XI-21). ამ იარაღის მეორე სიგრძივი, ფხიანი გვერდი ხმარების შედეგად დაკბილულია (ზომები: 2,9×1,1 სმ).

პალურის კულტურაში თითქმის არაა წარმოდგენილი ატეციის ტექნიკით დამუშავებული მაკროლითური ნაწარმი. კაჟის იარაღებიდან ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ორი ნიმუში, რომლებიც უფრო საჩეხი დანიშნულებით ჩანან გამოყენებული.

საჩეხი იარაღები (2 ც.) დამზადებულია შუაზე გახეთქილი კაჟისაგან. ერთ-ერთ მათგანს ამოზურგული ზედაპირის დიდ ნაწილზე ბუნებრივი ქერქი შემოცლილი აქვს. მისი სიგრძივი და მომიჯნავე განივი გვერდი უხეშადაა ატეცილი და რეტუშირებული, რაც საჩეხი პირის დაკბილვას იწვევს (ტაბ. XII-1). მისი ზომებია: სიგრძე — 8,5 სმ; სიგანე — 6,7 სმ; სისქე — 4,0 სმ.

მეორე საჩეხი მოყვანილობით მოგრძო სამკუთხედს უახლოვდება, რომლის ზედა სახელური ნაწილი ეიწროა და მასიური პირი კი — ფართო. საჩეხის უხეშად ატეცილი პირი, ხმარების შედეგად, წარმოქმნილი ჩანატეხების წყალობით, დაკბილულია. მისი ზურგის დიდ ნაწილს კაჟის ქერქი ფარავს (ტაბ. XII-2). მისი ზომებია: სიგრძე — 13,0 სმ; სიგანე — 10,3 სმ; სისქე — 5,2 სმ.

ზემოთ აღწერილი კაჟის იარაღების მსგავსი ნაწარმის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს 12 რეტუშირებული ნატეხი. კონკრეტულად რა იარაღს ეკუთვნოდა ესა თუ ის ფრაგმენტი, ამის-

თქმა ძნელია. ოთხი ნატეხი რეტუშირებულია ქვედა სიბრტყიდან და ცეცხლშია მოხვედრილი.

მზა იარაღთა ჯგუფში უნდა განვიხილოთ, აგრეთვე, 12 ლამელა, რომელთა გვერდები რეტუშირებულია და, როგორც ჩანს, გარკვეული იარაღის სახით იღებდა მონაწილეობას სამეურნეო საქმიანობაში.

გვერდრეტუშირებული ლამელები (12 ც.) უმეტესად წარმოდგენილია ორფერდა ნიმუშებით, რომლებსაც იშვიათად ერევა სამფერდა და მრავალფერდა ცალები. შვიდი ლამელის ერთი გვერდი მთლიანად ან ნაწილობრივ არის გაფორმებული რეტუშით (ტაბ. XI-16). გამონაკლისს წარმოადგენს ორი ნიმუში, რომელსაც ორივე გვერდი რეტუშირებული აქვს ზურგიდან (ტაბ. XII-25). ამ ლამელებიდან ოთხს თავი და ბოლო აკლია, სამს ფუძე აღარ შერჩენია და ოთხი შუაზეა გატეხილი. მთელი ლამელის ზომებია: სიგრძე — 4,0 სმ; სიგანე — 1,6 სმ.

როგორც პალურის კაქის მზა პროდუქციის განხილვისას დავინახეთ, ხსენებული ძეგლის კულტურას მატარებელი ადამიანი იშვიათად იყენებს ლამელებს იარაღთა დასამზადებლად და უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს ანატკეცებზე. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ამ ადამიანის პირველადი დამუშავების ტექნიკა ანატკეცთა ტექნიკაა, რომელიც ძირითადად იძლევა ანატკეც ნამზადებს და არა ლამელებს.

პალურის კულტურაში ანატკეცთა ტექნიკა უცილობლად ბატონობს, რაც წითელ ზოლად გასდევს წარმოების მთელ პროცესს. ნუკლეუსის მომზადებიდან მზა პროდუქციის ჩათვლით. ეს არის კულტურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რითაც იგი მკვეთრად ემიჯნება დასავლეთ ამერიკავაკასიისა და საერთოდ, კავკასიის ბარის კულტურებს. როგორც ჩანს, პალურის კულტურას საფუძვლად ედო საკმაოდ რთული და განსხვავებული ეკონომიკა. რაზეც თითქოს მიგვანიშნებს კიდევ V ფენიდან მოპდინარე რიყის ქვისაგან ნაკეთები ზოგიერთი იარაღი.

რიყის ქვის იარაღებს პალურის მასალაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს (96 ც.). ამ ჯგუფში შედის ნაირგვარი სახეხები, სასარეს-საფქვაკები, საბეგვები, შურდულის ქეები, საწაფები, რეტუშორები, საჩხეები, დანები, სათიხრები და ერთი საპრიალებელი. მათ შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით, და ე. ი. სამეურნეო მნიშვნელობითაც, წამყვანი ადგილი სახეხებს უჭირავთ.

სახეხებისათვის (36 ც.) უმთავრესად შერჩეულია მო-

გრძო ან ოვალური, მრგვალგანიკვეთიანი რიყის ქვები, რომლებსაც თავი და ბოლო ხმარების შედეგად გადალესილი აქვთ. მათი სახმარი ზედაპირი სწორი, ოდნავ ამობურცული, მრგვალი ან ორფერდაა (ტაბ. XIII-1—2), რაც იმას მოწმობს, რომ ეს იარაღები ძირითადად მოძრაობდნენ პარალელურად (წინ და უკან) სწორ ზედაპირიანი ქვის საყრდენზე. მათი ზომები 10,5×4,0—6,5×4,2 სმ-ია.

პალურში არაერთი ბრტყელი, ნახეზზედაპირიანი რიყის ქვაა აღმოჩენილი, რომელსაც პირობითად სასრეს-საფქვავეებს ვუწოდებთ.

სასრეს-საფქვავეები (9 ც.), ანუ უფრო სწორად მათი ქვედა ნახევრები წარმოადგენენ მრგვალი ან ოვალური მოყვანილობის ბრტყელ, ფოროვან რიყის ქვებს, რომელთა ერთ-ერთი გლუვი ზედაპირი ხმარების შედეგად გადალესილია (ტაბ. XIV-1, 2). მოპოვებული ნატეხების მიხედვით სასრეს-საფქვავეების დიდი ნაწილი მცირე ზომისანი ჩანან, ყოველ შემთხვევაში, უდიდესი ნიმუშის დიამეტრი 21 სმ-ს არ აღემატება.

ხსენებული იარაღის ზედა ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ აქვე მოპოვებული მრგვალი. ცალკვერდნახეხი რიყის ქვები, რომლებსაც სპეციფიური ნიშნების მიხედვით სასრესებს ვუწოდებთ.

სასრესები (5 ც.) ბუნებრივად მრგვალი მოყვანილობის, სეგმენტური განიკვეთის მქონე რიყის ქვებია, რომელთა ქვედა ბრტყელი ზედაპირი ხმარების შედეგად გადალესილ-გაპრიალებულია (ტაბ. XV-3). ეს იარაღები მცირე ზომისანია. უდიდესი მათგანის დიამეტრი 6—7 სმ-ს არ აღემატება. სასრესებისათვის როგორც წესი, მკვრივი, გრანიტის მსგავსი ქანია გამოყენებული მაშინ, როცა სასრეს-საფქვავეებისათვის, ერთი გამონაკლისის გარდა, ქვიშაქვისებური ფოროვანი ქანები შეუარჩევიათ ეს ფაქტი, ისევე როგორც შურდულის ქვებისათვის მძიმე ქანების შერჩევა, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ქვიშაქვისებური ქანისაგანაა ნაკეთები, აგრეთვე, კომპლექსში შემავალი ორი ნატეხი, რომელიც როდინისებური საგნის ნაწილებად მივიჩნევთ.

როდინი (2 ც.) წარმოადგენს წრიული მოყვანილობის რიყის ბრტყელ ქვას, რომლის შუაგული მრგვლადაა ამოტეხილი (ტაბ. XV-1—2). ასეთი ხელსაწყო შესაძლოა სასრესადაც ეხმარათ, მაგრამ მაშინ ფოსოს კედლები უთუოდ გადალესილი უნდა ყოფილიყო და არა ისეთი ფოროვანი და უსწორმასწორო, როგორც ეს ხსენებულ

ნიმუშებს გააჩნიათ. შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მოზარდული როდინისებური ხელსაწყო სავსე დიამეტრი 12 სმ-ია; ხოლო ფოსოს დიამეტრი—9 სმ (ტაბ. XV-2). როდინის არსებობა; ბუნებრივია, გულისხმობს ფილთაქვის ანუ სანაყ-საბეგვის არსებობასაც. მსგავსი ხასიათისა და დანიშნულების ხელსაწყოებიც შედის პალურის რივის ქვის იარაღების ჯგუფში.

ს ა ბ ე გ ვ - ს ა ნ ა ყ ე ბ ა დ (7 ც.) გამოყენებულია მოგრძო, მრგვალგანივკვეთიანი რივის ქვები, რომლებსაც თავი და ბოლო დაჩეჩქვილ-ატკეცილი აქვთ (ტაბ. XVI-1—3). მათი ზომები მერყეობს $10,3 \times 8,2$ — $7,4 \times 5,4$ სმ-ს შორის. მსგავსი ნიშნების მქონე იარაღები კიდევ ოთხია ნახული პალურის V ფენაში, მაგრამ მათ, მცირე ზომების გამო, პირობითად, შეიძლება რეტუშორები ეწოდოს.

რ ე ტ უ შ ო რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს (4 ც.) უმთავრესად მოგრძო წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი რივის ქვებია შერჩეული. მათი ერთი ბოლო დაჩეჩქვილია, ხოლო მეორე ადგილ-ადგილ იარაღის სიგრძივი ღერძის პარალელურადაა ატკეცილი (ტაბ. XV-1, 4). ასეთი ნიშნები შეიძლება გასჩენოდა შუამავალს, რომელსაც ერთი მხრიდან ურტყამდნენ, ხოლო მეორე თავით რაიმე მყარ საგანს, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, კაყის ნუკლეუსს, ეყრდნობოდა.

სამეურნეო ხასიათის რივის ქვის იარაღებიდან საყურადღებოა საჩეხები.

ს ა ჩ ე ხ ი ი ა რ ა ლ ე ბ ი (4 ც.) წარმოადგენენ შუაზე ირიბად გადატეხილ მოგრძო რივის ქვებს, რომლებსაც გადანატეხთან მიღებული ოვალური მოყვანილობის ბასრი პირი დამატებით აქვთ ატკეცილი (ტაბ. XVI-1). ასეა მიღებული სამი საჩეხი, მეოთხეს კი მეორადი დამუშავება არ განუცდია (ტაბ. XVIII-2—4). საჩეხებისათვის სამ შემთხვევაში შავი ფერის ბაზალტისებური მკვრივი ქანია გამოყენებული. საჩეხების მასიური, ოვალური ყუა ხელცულის მსგავსად მარჯვედ ჯდება მუკში (ორს აკლია ეს ნაწილი). რამდენადაც პალურში გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, კერძოდ, ხელცულები არ აღმოჩენილა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სწორედ ამ იარაღებით სრულდებოდა ცულისებური საჩეხ-სათლეი ოპერაციები. მათი ზომები მერყეობს $10,8 \times 6,8$ — $8,2 \times 2,2$ სმ-ს შორის.

რივის ქვის იარაღთა ჯგუფიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოსათვარი დანები.

გ ა მ ო ს ა თ ა ტ რ ი დ ა ნ ე ბ ი (4 ც.), რასაკვირველია, ამ იარაღთა პირობითი სახელწოდებაა. ისინი ფაქტიურად წარმოადგე-

ნენ მოგრძო, ოვალურ განივკვეთიან რიყის ქვებს, რომლებიც სიგრძივად შუაზე არიან გახეთქილნი. მათი ერთი ბოლო, ე. ი. სახელური ნაწილი, გლუვია, ხოლო წვერი სამ შემთხვევაში ოვალურია, ერთ შემთხვევაში კი — სწორი. იარაღთა ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი, რომელიც ყუის მოვალეობას ასრულებს, ან ბუნებრივად მასიურია და ბლაგვია, ან საგანგებოდ ხეხვით არის დაბლაგული, რაც შეეხება მეორე სიგრძივ გვერდს, იგი, როგორც წესი, წვერთან ფხიანია და ხმარების შედეგად ირიბად არის გაპრიალებული (ტაბ. XVIII-2—4), როგორც ეს მეწაღის დანისათვისაა დამახასიათებელი. ამ ნიშნის მიხედვით, გამორიცხული არ არის იარაღები ნანადირევის გასატყავებლად და გამოსაფატრად ეხმარათ ისევე, როგორც დღეს ხმარობს დანის წვერს ადამიანი ანალოგიური პროცესების შესრულებისას. მათი ზომები მერყეობს $9,6 \times 2,6 - 7,2 \times 1,8$ სმ-ს შორის.

აღსანიშნავია, რომ დანების პირზე და ყუაზე შეინიშნება ქვის გახეხვა-გაპრიალების ნიშნები. სხვა შემთხვევაში ანალოგიური ტექნიკური ხერხის გამოყენების ფაქტი პალურში არ დასტურდება.

ასევე მოგრძო, შუაზე გახეთქილი რიყის ქვისაგანაა ნაკეთები ე. წ. სათიხარი.

ს ა თ ი ხ ა რ ი (3 ც.) სიგრძით ორჯერ აღემატება დანებს. მისი ერთი ბოლო და სიგრძივი გვერდები ან ბუნებრივად ბლაგვია ან უხეშად არის გაჩორკნილი. იარაღის წვერი, იქ სადაც სიგრძივი გვერდები ერთმანეთს ხედებიან, საკმაოდ მახვილია (ტაბ. XVIII-1). რამდენადაც იარაღის სიგრძივ გვერდებს ხმარების ნიშნები არ ეტყობათ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მისი ძირითადი სამუშაო ელემენტი წვერი იქნებოდა, რომლითაც შეეძლოთ ამოეღოთ ბოლქვები, ამოეთხარათ ორმოები და ა. შ.

პალურის მონაპოვრებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სახეხ-საპრიალებელი (выпрямитель).

ს ა პ რ ი ა ლ ე ბ ე ლ ი ფაქტიურად წარმოადგენს მოშავო ფერის მაგარი ქანის რიყის ქვის ნატეხს, რომლის ზედაპირზე შემორჩენილია ერთიმეორის გვერდით პარალელურად განლაგებული, განივკვეთში ნახევარწრიული მოხაზულობის მქონე ნაპრიალები ორი ღარი (ტაბ. XVIII-5). ერთ-ერთი უკეთ შემორჩენილი ღარის სიგრძე — 4,0 სმ, სიგანე — 2,0 სმ, ხოლო სიღრმე — 0,6 სმ არ აღემატება. რამდენადაც პალურის V ფენა გახეხილ-გაპრიალებულ ქვის იარაღებს არ იძლევა, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული საპრიალებელი ძვლის ნაკეთობათა დასამუშავებლად იყო განკუთ-

ენილი, რომელთა ნიმუშებიც სამწუხაროდ აღარ შემოგვინახა კოლხეთის კარბონატულმა ნიადაგებმა.

პალურში მოპოვებული რიყის ქვის ნაკეთობათა შორის გამოიყოფა, აგრეთვე, იარაღების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც უფრო საბრძოლო სამონადირო-თევზსაჭერი დანიშნულებისა ჩანს. ასეთებია: შურდულის ქვები და ბადის საწაფები.

შურდულის ქვებისათვის (17 ც.) უმთავრესად შერჩეულია გრანიტის ან სხვა მაგარი, შედარებით დიდი კუთრიწონის მქონე ქვარგვალეები, რაზეც უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ქვის ბირთვის ფიზიკური ძალა და ფრენის სიშორე. მოპოვებული ნიმუშებიდან რვა ბუნებრივად მრგვალია (ტაბ. XIX-1), ხუთის სიგრძე (დამრგვალების მიზნით) ხელოვნურად შემცირებულია იარაღის თავისა და ბოლოს გახეხვით (ტაბ. XIX-5), ხოლო დანარჩენ ოთხს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი ბუნებრივად მრგვალია, ნახეხი სარტყელი მაინც შემოუყვება შუა ნაწილზე (ტაბ. XIX-2—3). თუ რატომ იყო საჭირო ისედაც მრგვალი ნიმუშების გვერდების ხეხვა ე. ი. დამატებით ხელოვნური დამუშავება, ძნელი სათქმელია, ასეთი შრომატევადი სამუშაოს შესრულება ბუნებრივად მრგვალი შურდულის ქვისათვის სრულიად ზედმეტი ჩანს. შესაძლებელია, ეს ნიმუშები რაიმე სხვა, კერძოდ, სიმბოლური მნიშვნელობითაც იხმარებოდა, მაგრამ სათანადო მასალების უკმაროების გამო ამის შესახებ რაიმეს თქმა ჭირს. ამიტომაცაა, რომ მათ, სხვა მსგავს ქვარგვალეებთან ერთად, შურდულის ქვების ჯგუფში განვიხილავთ. მათი დიამეტრი მერყეობს $7.2 \times 4,9$ სანტიმეტრებს შორის.

შურდულის ქვების მსგავსად, საკვების მოპოვებასთან, ამ შემთხვევაში, მეთევზეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული პალურიდან მომდინარე რიყის ქვის ლარშემოვლებული, საწაფისებური ქვები.

საწაფებად მივიჩნევთ (4 ც.) რიყის ქვის ოვალურ იარაღებს, რომელთაც შუა ნაწილზე საგანგებოდ ამოჩორკნილი ლარი შემოუყვებათ (ტაბ. XX-13), ან ეს მონაკვეთი ბუნებრივად იმდენად ვიწრო აქვთ, რომ ზონარის საშუალებით საიმედოდ შეიძლება მათი დამაგრება რაიმე საგანზე (ტაბ. XX-2). საწაფებისათვის სამ შემთხვევაში $6,0-8,0$ სმ სიგრძისა და $4,0-4,5$ სმ დიამეტრის მქონე ოვალური მოყვანილობის ქვარგვალეებია გამოყენებული. მათ შორის ერთს განივად ამოჩორკნილი ნახეხი ღრმა ლარი შემოუყვება (ტაბ. XX-3), ხოლო დანარჩენი ორის ბუნებრივად ვიწრო

წელი დამატებით დამუშავებას არ საჭიროებს (ტაბ. XX-2). მეოთხე საწაფი სწორკუთხა მოყვანილობისაა. იგი დამზადებულია მოშავო ფერის მასიური. ზრტყელგვერდებიანი, ოთხკუთხა რიყის ქვისაგან, რომელსაც თავი და ბოლო წატეხილი აქვს. ამ საწაფის დარი სიგრძივი გვერდების გასწვრივ დაუყვება და ნაწილობრივ განიგვერდებზეც გადადის (ტაბ. XX-I). ეს საწაფი დიდი ზომისაა (8,5×6,7×5,5 სმ) და მძიმეა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი უფრო ჩასაკიდი ბადის დასაჭიმად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საყურადღებოა, რომ ხსენებული საწაფის თავ-ბოლოში წატეხვის შემდეგ წარმოქმნილი ბასრი წახნაგები საგანგებოდ ჩანს დაბლაგული, რაც ბადის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით უნდა იყოს ნაკარნახევი. საწაფის ბასრ წახნაგებს თევზჭერის პროცესში იოლად შეეძლო გაეჭრა ბადის ნართი საწაფის ფხიანი კიდეების რიყის ქვებზე შეხების მომენტში. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ პალურში საწაფების აღმოჩენა შინც ანგარიშგასაწევი ფაქტია აქ მოსახლე ადამიანის სამეურნეო ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასეთია სრული სია იმ ქვის მასალისა, რომელიც ორი წლის მანძილზე პალურის ნამოსახლარის გათხრის შედეგად იქნა მოპოვებული. ექვი არ არის, რომ აქ მოსახლე ადამიანი ასევე და, ალბათ, უფრო მეტი წარმატებით იყენებდა ხისა და ძვლის იარაღებსაც, მაგრამ, სამწუხაროდ ისევე როგორც დასავლეთ ამიერკავკასიის სხვა ღია სადგომებმა, არც პალურის მკვამლე ნიადაგებმა შემოგვინახა ასეთი მასალა.

როგორც ზემოთ მასალის აღწერისას დავინახეთ, პალურში გამოვლენილი კულტურა მთელი რიგი საყურადღებო, თავისებური ნიშნით ხასიათდება, რაც დაჯამებული სახით ასე წარმოგვიდგება:

1. პალურის ქვის პირველად დამუშავებაში უცილობლად ბატონობს ანატკეცთა ტექნიკა. ეს შეიმჩნევა როგორც ნუკლეუსთა ტიპოლოგიაში, ისე ნამზადებისა და მზა პროდუქციის მორფოლოგიაში. აქ საკმარისია ითქვას, რომ პალურის 50 ნუკლეუსიდან მხოლოდ ერთეულებია ნამდვილი ლამელების მისაღებად განკუთვნილი. უდიდესი უმრავლესობიდან კი მხოლოდ და მხოლოდ ანატკეცები და ლამელებისებური ანატკეცებია ჩამოცილებული. რასაკვირველია ერთი და იგივე ნუკლეუსიდან ანატკეც-ნამზადებთან ერთად დროდადრო, ალბათ, ლამელებიც მიიღებოდა, მაგრამ რამდენადაც ისინი წინასწარ გამიზნული მოქმედების პროდუქტს

არ წარმოადგენდა, მეტწილად შემთხვევითი მოხაზულობისანი არიან და იგივე დანიშნულებით ჩანან ნახმარი, როგორც ნამღვილი ანატკეცები. ამას თვალნათლივ მოწმობს ანატკეცთა რაოდენობრივი მონაცემები და აგრეთვე მზა პროდუქციის მორფოლოგიური ხასიათი. აქ საკმარისია გავიხსენოთ, რომ პალურში 950 ნამზადიდან 869 ანატკეცია და 81 ლამელა, ე. ი. ანატკეცები თითქმის 11-ჯერ აღემატება ლამელების რაოდენობას.

როგორც ჩანს, პალურის კულტურის მქონე საზოგადოების პრაქტიკულ ცხოვრებაში ნაკლები მოთხოვნილება არსებობდა ლამელა-ნამზადებზე, რასაც კარგად მოწმობს კომპლექსში შეზავალი ლამელების შემთხვევითი მოხაზულობა. მოპოვებული ლამელები-სათვის უცხოა წესიერი სწორკუთხა დანისებური ფორმები.

დასასრულ, ანატკეცთა ტექნიკის აშკარა პრიორიტეტზე მეტყველებს ქვის იარაღთა მზა პროდუქცია, სადაც 561 შემთხვევიდან 488 ანატკეც-ნამზადია გამოყენებული და მხოლოდ 73 იარაღია ლამელაზე ნაკეთები (იხ. ცხრ. 7).

ერთი სიტყვით, პალურის ქვის დამუშავების ტექნიკას მისი ყველა ეტაპის ჩათვლით — ნუკლეუსის კეთებიდან მზა იარაღამდე, ქვის „უხეში“ ატკეცის ტექნიკური ტრადიცია უდევს საფუძვლად, რაც წითელ ზოლად გასდევს მთელ წარმოებას და პალურის კულტურის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებად გამოიკვეთა.

2. ძეგლის მეორე თავისებურება მდგომარეობს იარაღზე რეტუშის დატანის ხერხებსა და თვით რეტუშის საბეობაში, ანუ ზოგადად მეორად დამუშავებაში. როგორც ცნობილია, ამ მომენტს ქვის დამუშავების ტექნიკაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება და ხშირად, ძეგლის ასაკისა თუ კულტურული კუთვნილების საკითხებზე მსჯელობისას, მას ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორადაც კი მიიჩნევენ.

პალურის იარაღთა დიდი ნაწილი ციცაბო-დამაბლაგვებელი რეტუშითაა გაფორმებული, რომელიც ხშირ შემთხვევაში მუცლის მხრიდან არის დატანილი. მაგალითად, აქ მოპოვებული 298 რეტუშირებული იარაღიდან 188 ნიმუში, ე. ი. ნახევარზე მეტი გაფორმებულია ციცაბო-დამაბლაგვებელი რეტუშით, რომელიც 100 შემთხვევაში იარაღის ქვედა სიბრტყეზეა დატანილი. რეტუშირების მსგავსი ხერხები მეტნაკლებად ქვის ხანის ყველა ძეგლისათვისაა ცნობილი, მაგრამ ასეთი მაღალი მაჩვენებლების მქონე სხვა ძეგლი ჩვენ არ გვეგულება. ამიტომაც არის, რომ ამგვარი სპეციფიკური, მეორადი დამუშავება პალურის კიდევ ერთ ძირითად თავისებურებად უნდა ჩაითვალოს (იხ. ცხრ. 8—9).

პ ა ლ ე რ ი

| №-ის რიცხვი | ი ა რ ა ლ ე ბ ი | საერთო რაოდენობა | ლაშქრებზე ჩამოყალიბებული | %-ული შეფარდება | ანატარიკებზე ჩამოყალიბებული | %-ული შეფარდება |
|-------------|--------------------------------------|------------------|--------------------------|-----------------|-----------------------------|-----------------|
| 1 | საკრისები | 104 | 8 | 7,68 | 96 | 92,16 |
| 2 | ზურგიანი დანები | 193 | 26 | 13,26 | 167 | 85,17 |
| 3 | ვერდრეტუშიანი საფხეკები | 100 | — | — | 100 | 100,00 |
| 4 | ბოლორეტუშიანი საფხეკები | 14 | 4 | 28,60 | 10 | 71,50 |
| 5 | ბოლორეტუშიანი საფხეკისებური იარაღები | 5 | — | — | 5 | 100,00 |
| 6 | მრგვალი საფხეკები | 7 | — | — | 7 | 100,00 |
| 7 | ირგელვერეტუშიანი საფხეკები | 3 | — | — | 3 | 100,00 |
| 8 | სახვრეტები | 32 | 6 | 18,6 | 26 | 80,06 |
| 9 | ბურღები | 9 | — | — | 9 | 100,00 |
| 10 | პირდაკბილული იარაღები | 9 | 1 | 11,00 | 8 | 88,00 |
| 11 | „ანკისისებური“ იარაღები | 35 | — | — | 35 | 100,00 |
| 12 | კომბინირებული იარაღები | 3 | — | — | 3 | 100,00 |
| 13 | ათლიშეცდინი (ქუქრეკის ტიპი) იარაღები | 3 | — | — | 3 | 100,00 |
| 14 | ზურგათლი იარაღები | 2 | — | — | 2 | 100,00 |
| 15 | სეგმენტები | 4 | 4 | 100,00 | — | — |
| 16 | ტრაპეცია | 1 | 1 | 100,00 | — | — |
| 17 | სამკლთხა იარაღი | 1 | 1 | 100,00 | — | — |
| 18 | ნახევარწრიული მიკრო საფხეკები | 3 | 3 | 100,00 | — | — |
| 19 | ირობირიანი მიკრო საფხეკები | 2 | 2 | 100,00 | — | — |
| 20 | ვერდრეტუშიანი ლაშქრები | 12 | 12 | 100,00 | — | — |
| 21 | თაფირბრეტუშიანი ლაშქრები | 2 | 2 | 100,00 | — | — |
| 22 | ზურგდაბლაგული ლაშქრები | 3 | 3 | 100,00 | — | — |
| 23 | სარჩეები | 2 | — | — | 2 | 100,00 |
| 24 | გატეხილი იარაღები | 12 | — | — | 12 | 100,00 |
| ს უ ლ | | 561 | 73 | 13,14 | 488 | 86,86 |

| №№ რიგზე | ი ა რ ა ლ ე ბ ი | საერთო რაოდენობა | რეტეში ცი-საბო დამა-ბლაგეველი | %-ული შე-ფარდება | რეტეში დამრეცი | %-ული შე-ფარდება | რეტეში მცო-სავისებური | %-ული შე-ფარდება |
|----------|---------------------------------------|------------------|-------------------------------|------------------|----------------|------------------|-----------------------|------------------|
| 1 | საჭრისები (რეტეშირებული) | 17 | 17 | 100,00 | — | — | — | — |
| 2 | ზურგიანი დანები (რეტეში-რებელი) | 17 | — | — | 17 | 100,00 | — | — |
| 3 | ვეერდრეტეშიანი საფხეკები | 100 | 84 | 81,00 | 15 | 15,00 | 1 | 1,00 |
| 4 | ბოლორეტეშიანი საფხეკები | 14 | 2 | 14,20 | 12 | 85,80 | — | — |
| 5 | ბოლორეტეშიანი საფხეკისე-ბური იარაღები | 5 | 2 | 40,00 | 3 | 60,00 | — | — |
| 6 | მრგვალი საფხეკები | 7 | 7 | 100,00 | — | — | — | — |
| 7 | ირგელიერეტეშიანი საფხე-კები | 3 | 3 | 100,00 | — | — | — | — |
| 8 | სახერეტები (რეტეშიანი) | 32 | 20 | 62,30 | 12 | 37,50 | — | — |
| 9 | ბერლები | 9 | 5 | 55,00 | 4 | 45,00 | — | — |
| 10 | პირდაკბილული იარაღები | 9 | 4 | 45,00 | 5 | 55,00 | — | — |
| 11 | „ანკესისებური“ იარაღები | 35 | 23 | 68,00 | 7 | 21,00 | — | — |
| 12 | კომბინირებული იარაღები | 3 | 1 | 33,40 | 2 | 66,60 | 5 | 10,00 |
| 13 | ათლილმუცლიანი (კუკრეკი) იარაღები | 3 | — | — | 2 | 66,60 | — | — |
| 14 | ზურგათილი იარაღები | 2 | — | — | 2 | 100,00 | 1 | 33,40 |
| 15 | სეგმენტები | 4 | 4 | 100,00 | — | — | — | — |
| 16 | ტრაპეცია | 1 | 1 | 100,00 | — | — | — | — |
| 17 | სამკეთხა იარაღები | 1 | 1 | 100,00 | — | — | — | — |
| 18 | ნახევარწრიული მიკრო სა-ფხეკები | 3 | 3 | 100,00 | — | — | — | — |
| 19 | ორპირიანი მიკრო საფხეკები | 2 | 1 | 50,00 | 1 | 50,00 | — | — |
| 20 | ვეერდრეტეშიანი ლამელები | 12 | — | — | 12 | 100,00 | — | — |
| 21 | თავირიარეტეშიანი ლამე-ლები | 2 | 2 | 100,00 | — | — | — | — |
| 22 | ზურგდაბლაგული ლამელები | 3 | 3 | 100,00 | — | — | — | — |
| 23 | საჩეხები | 2 | — | — | 2 | 100,00 | — | — |
| 24 | გატეხილი იარაღები | 12 | 5 | 41,80 | 7 | 58,20 | — | — |
| ს უ ლ | | 298 | 188 | 63,00 | 103 | 34,50 | 7 | 2,50 |

| №-ს რიცხვი | ი ა რ ა ჯ ე ბ ი | საერთო რაოდენობა | რეტში ზურგიდან | %-ული შეფარდება | რეტში მუცლიდან | %-ული შეფარდება | რეტში ორშრივი | %-ული შეფარდება |
|--------------|-------------------------------------|------------------|----------------|-----------------|----------------|-----------------|---------------|-----------------|
| 1 | საქრისები (რეტშიწირებულნი) | 17 | 17 | 100,0 | — | — | — | — |
| 2 | ზურგიანი დანები (რეტშიწირებული) | 17 | 10 | 59,00 | 7 | 41,00 | — | — |
| 3 | ვეერლრეტშიანი საფხეკები | 100 | 54 | 54,00 | 46 | 46,00 | — | — |
| 4 | ბოლორეტშიანი საფხეკები | 14 | 11 | 78,20 | 3 | 21,80 | — | — |
| 5 | ბოლორეტშიანი საფხეკისებური იარაღები | 5 | 1 | 20,00 | — | — | 4 | 80,00 |
| 6 | მრგვალი საფხეკები | 7 | 4 | 56,50 | 3 | 43,50 | — | — |
| 7 | ორვეღერეტშიანი საფხეკები | 3 | — | — | 2 | 66,60 | 1 | 33,40 |
| 8 | სახერეტები (რეტშიწირანი) | 32 | 15 | 46,90 | 8 | 24,90 | 9 | 28,20 |
| 9 | ბურლები | 9 | 5 | 50,50 | 4 | 40,50 | — | — |
| 10 | პირდაკებილული იარაღები | 9 | 6 | 60,60 | 3 | 30,40 | — | — |
| 11 | „ანკესისებური“ იარაღები | 35 | 21 | 60,60 | 10 | 28,60 | 4 | 11,44 |
| 12 | კომბინირებული იარაღები | 3 | 2 | 66,60 | 1 | 33,40 | — | — |
| 13 | ათლილ მუცლიანი (მუკრეკი) იარაღები | 3 | — | — | 3 | 100,00 | — | — |
| 14 | ზურგათლილი იარაღები | 2 | 1 | 50,00 | 1 | 50,00 | — | — |
| 15 | სეგმენტენი | 4 | — | — | 3 | 75,00 | 1 | 25,60 |
| 16 | ტრაპეცია | 1 | — | — | — | — | 1 | 100,00 |
| 17 | სამკეთხა იარაღი | 1 | 1 | 100,00 | — | — | — | — |
| 18 | ნახვეარწრიული მიკრო საფხეკები | 3 | 1 | 33,40 | 2 | 66,60 | — | — |
| 19 | ირიბპირიანი მიკრო საფხეკები | 2 | 1 | 50,00 | 1 | 50,00 | — | — |
| 20 | ვეერლრეტშიანი ლამელები | 12 | 12 | 100,00 | — | — | — | — |
| 21 | თავირიბრეტშიანი ლამელები | 2 | 1 | 50,00 | — | — | 1 | 50,00 |
| 22 | ზურგდაბლაგული ლამელები | 3 | 1 | 33,33 | 1 | 33,33 | 1 | 33,33 |
| 23 | საჩებები | 2 | 2 | 100,00 | — | — | — | — |
| 24 | გატეხილი იარაღები | 12 | 10 | 83,00 | 2 | 17,00 | — | — |
| ს უ ლ | | 298 | 176 | 59,00 | 100 | 33,00 | 22 | 8,00 |

3. პალურის კულტურის მესამე თავისებურება ბუნებრივად გამომდინარეობს პირველი ორიდან და მზა ნაწარმის ტიპოლოგიაში მდგომარეობს. აქ საკმარისია ითქვას, რომ პალურის მზა იარაღთა კომპლექსი მოისაკლისებს ქვის ხანის ყველა პერიოდისათვის (არ იგულისხმება ქვედა პალეოლითი) დამახასიათებელ ისეთ ტიპურ იარაღს, როგორც არის მოგრო ლამელაზე ან ანატაკეცზე ჩამოყალიბებული ბოლორეტუშირებული საფხეკი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნამდვილი, ამ რიგის ტიპური ნაკეთობა ნამზადის ბოლოში მოწყობილი სამუშაო პირით, თორემ მიმსგავსებული, ატიპური ნიმუშები 20-მდე შინც გამოიყოფა პალურის მზა იარაღებიდან. სამაგიეროდ, ამავე კომპლექსში საკმაოდ მოჭარბებულია მორკალული, სწორი და ამოღარული სამუშაო ნაწილის მქონე სახოკები თუ გვერდრეტუშირებული საფხეკები.

4. ასევე თვალშისაცემია პალურში მიკროლითური ტექნიკით ნაკეთები ნიმუშებისა და განსაკუთრებით, გეომეტრიული ფორმის იარაღების ნაკლებობა. ასეთი სულ ხუთი იარაღია ნანახი პალურში, ოთხი სეგმენტისა და ერთი ტრაპეციის სახით. ხუთივე ნიმუშის დასამზადებლად გამოყენებულია მალალი ხარისხის კაჟის ორფერდა ან სამფერდა დანისებური ლამელა-ნამზადი, რაც ასე იშვიათია პალურისათვის. სავარაუდოა, რომ ეს იარაღები სხვა კულტურის კუთვნილება იყოს და მზა სახით შემოეტანოთ პალურში.

5. დასასრულ, პალურის იარაღთა ტიპოლოგიური ხასიათის თავისებურებათა რიგში უნდა მოვიხსენიოთ ე. წ. „ლეკალოს“ ტიპის ანკესისებური იარაღები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გაფორმებულია ქვედა სიბრტყიდან „მცოცაის“ მსგავსი რეტუშით. ასეთი იარაღები 35 ცალია ნანახი პალურში და დასრულებულ იარაღების ჯგუფში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ, რის გამოც ისინი ამ კულტურის დამახასიათებელ ტიპად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ვხედავთ, პალურის კულტურას არაერთი არსებითი ხასიათის თავისებური ნიშანი გააჩნია, რაც კიდევ უფრო ზრდის გამოვლენილი ძეგლისადმი ინტერესს. რა ხასიათისაა ეს თავისებურებანი — კულტურული, ქრონოლოგიური, თუ ორივე ერთად — ძნელი სათქმელია, მაგრამ რამდენადაც ანალოგიური მონაცემები და მით უფრო ამ თავისებურებათა ერთობლიობა დღეისათვის დასავლეთ ამიერკავკასიაში ცნობილ ქვის ხანის ძეგლებს ნაკლებად ახასიათებთ, იგი პალურის ნამოსახლარს განცალკევებით აყენებს, როგორც განსხვავებული ტექნიკური ტრადიციების მქონე კულ-

ტურას. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დაშვება არ არის გამორიცხული, მაგრამ ვიდრე ძეგლის კულტურული რაობის საკითხს შევხებოდეთ, საჭიროა პირველ რიგში მოიხაზოს მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები, უფრო ზუსტად, გავარკვიოთ, თუ რა ადგილმდებარეობას მას კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების ქვის ხანის ძეგლებს შორის.

ქრონოლოგიის საკითხისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძეგლის ქრონოლოგიის გარკვევა არქეოლოგიური მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა, რომლის გარეშე ყოველგვარი საკითხის დასმა და განზოგადების ცდა საფუძველშივე მცდარი იქნებოდა.

იგივე უნდა გავიმეოროთ პალურის თავისებური, ნეოლითური ნამოსახლარის მიმართ, რომლის ასაკის დადგენის მიზნით, სტრატეგრაფიული და აბსოლუტური დათარიღებისათვის საჭირო მონაცემების უქონლობის გამო იძულებული ვართ არქეოლოგიის ერთერთი უძველესი, მრავალგზის ნაცადი ე. წ. შედარება-გამორიცხვის მეთოდით დაგკმაყოფილდეთ.

როგორც ზემოთ მასალის დახასიათებისას დავინახეთ, პალურში მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ერთში შედის კაყის ნაკეთობანი, ხოლო მეორეში — რიყის ქვის იარაღ-ხელსაწყოები. აქვე საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ კაყის მასალას, რომელიც მთელი რიგი არსებითი თავისებურებებით ხასიათდება, დასაველეთ ამიერკავკასიის ქვის ხანის ძეგლებს შორის პირდაპირი ეკვივალენტი არ მოეძებნება, თუ არ ჩავთვლით ზოგადი ხასიათის მონაცემებს და ცალკეული ტიპის იარაღთა მსგავსებას გვიან მეზოლითური და ნეოლითური ასაკის ძეგლებთან. სულ სხვა ხასიათისაა მასალის მეორე ნაწილი — რიყის ქვის იარაღ-ხელსაწყოები, რომელშიც შედის რიყის ქვის ბრტყელი სასრეს-საფქვაკები, მრგვალი სახეხ-სასრესები, საბეგვ-სანაყები, როდინისებური იარაღები, შურდულის ქვება, საწაფები, რეტუშორები, საჩეხები, გამოსაფატრი დანები, სათიხრები და ერთი ორღარიანი საპრიალბელი.

პალურის რიყის ქვის ნაწარმი ახლო მსგავსებას პოულობს ნეოლითით დათარიღებულ თითქმის ყველა ძეგლის ანალოგიური

ხასიათის მასალებთან. ჩვენთვის უცნობია რომელიმე ისეთი ნეოლითური ძეგლი, რომლისთვისაც ტიპური არ იყოს სასრესები, სანაყები, ხელჩაქუჩები, რეტუშორები, როდინები, შურდულის ქვები და სხვ. რასაკვირველია, თუ კი ეს მასალა მეტნაკლებად სრული სახით არის წარმოდგენილი, ასეთებია: ანასეული I და II, კისტრიკი, გურიანთა, მამათი¹, ნიენია შილოვკა², ხორში³, პირველი გალი⁴, ჩხორთოლი⁵, მახვილაური⁶ და სხვ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში არ მოიძებნება ნეოლითზე უფრო მოგვიანო რომელიმე ძეგლი, რომელსაც ისევე სრულად ახასიათებდეს რიყის ქვის ნაწარმი, როგორც ეს პალურისა და სხვა ნეოლითური სადგომებისათვის არის ტიპობრივი. იგივე შეიძლება გავიმეოროთ მეზოლითური სადგომების მიმართ (ემანი, ზურტაკეთი, ქვაპარა, ამტყელა, ჭახათი, ხალოდნი გროტი, იაშთხვა, ჩორნი გროტი, ენწერი III და სხვა), სადაც ცალკეული გამონაკლისების (გრდემლები, სასრესები, ხელჩაქუჩები) გარდა არ გვხვდება რიყის ქვის იარაღ-ხელსაწყოები⁷.

¹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 26-27, 36-39, 53-54, 59-66, ტაბ. V-VI, XII-XIV, XXX-XXXII, XXXVII-XLIV; მ ი ს ი ვ ე, აღრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963, გვ. 155-172, ტაბ. VIII-IX; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშვის მოამბე, ტ. IV¹ 3, თბ., А. Л у к и н, Неолитическое селнище Кистрик близ Гудаут, СА, XII, 1950, с. 947-986.

² А. Ф о р м о з о в, А. С т о л я р, Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском крае, СА, т. 2, 1960, с. 105-107; А. Ф о р м о з о в, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, № 102, 1962, с. 89-149; მ ი ს ი ვ ე, Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, с. 54-63.

³ ძეგლს მიაკვლია დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, მასალები ინახება ისტ. არქ. და ეთნ. ინსტიტუტში.

⁴ მ. გ ა ბ უ ნ ი ა, I ვალის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1974 წ. ჩატარებულ მუშაობის შედეგები, 1975 წ. ტაბ. VI, 1, (ხელნაწერი).

⁵ კ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971-1973 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, 1974, გვ. 180-183, ტაბ. VII-XII.

⁶ ს. გ ო გ ი ტ ი ძ ე, მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარი, 1970, (ხელნაწერი).

⁷ ი. ე. მ. გ ა ბ უ ნ ი ა, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, პალეოლითური ნაშთები ემანის გამოქვაბულიდან, მატნე, № 5, 1964; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალ-წითელას ხეობაში, თბ., 1964; ზ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პალეოლითური სადგომი ქვაპარა, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, პალეოლითური ერთი ხანმოკლე

ვეიქრობთ, მართო ეს ნიშანიც კი უკვე გვაძლევს უფლებას პალურის ქრონოლოგიური ადგილის ძიებისას ყურადღება მიიხედო და მიიხედო ნეოლითურ საფეხურზე გავამახვილოთ.

პალურის ნეოლითურ ასაკზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, რიყის ქვის ისეთი მონაპოვრები, როგორც არის ღარშემოვლებული საწაფები, სახეხები, სანაყები, შურდულის ქვები და ხელჩაქეჩები, რომლის ზუსტი ანალოგები ცნობილია ხორშიდან, ჩხორთოლიდან და კისტრიკის ნეოლითური სადგომიდან⁸. ასევე საგულისხმოა პალურის ღარიანი სახეხ-საპრიალებლის ახლო მსგავსება ანასეული II-ის, ხორშის, ჩხორთოლის, I გალისა და ყირიმის კაი-არასის ქვედაფენის მონაპოვრებთან, რომლებიც ნეოლითურა ხანით თარიღდებიან⁹. ფუნქციონალურად პალურის საპრიალებელთან ახლო დგას ხორშისა¹⁰ და ანასეული I-ის¹¹ ნეოლითური სადგომის ანალოგიური ხელსაწყოები იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელები თავისი ფართო ღარის მიხედვით, ხელტულების დასამზადებლად უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილი მაშინ, როცა პალურის ვიწროღარიანი საპრიალებლით, ალბათ, უფრო ძვილისა და ხის იარაღი მზადდებოდა. ღარის სივიწროვის გარდა, პალურის საპრიალებლისათვის ამ-

ნაბინარი გამოქვაბულის შესახებ, მცნ., № 4, 1966; მისივე, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1973; А. Н. Соловьев, Об итогах археологических раскопок в гроте Хупинишпахва, Труды Абхазского ИЯЛИ, XXXII, Сухуми, 1961; В. В. Люткин, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия) МИА, № 126, М., 1966.

⁸ А. Люткин, დასახ. ნაშრ., ს. 278; ლ. ნებეიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 62; გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, თბ., 1967; ძ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

⁹ А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, 102, с. 109, р. 9, М., 1962; А. Окладников, Пещера Джебел-памятник древней культуры прикаспийских племен. ТЮТАКЭ, т. XII, 1956, с. 207; С. Черников, Работы Восточно-Казахстанской археологической экспедиции в 1955 г., КСИИМК, вып. 73, 1959, с. 100; Г. Коробкова, Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии, 1969, с. 172; ლ. ნებეიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39, ტბ. XV-1; გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 21; ძ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., ტბ. XI-5.

¹⁰ მასალა მოიპოვა სამეგრელოს ქვის ხანის შემაწაველმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და ინახება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

¹¹ ლ. ნებეიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27, ტბ. VI-1.

გვარი ფუნქციის მიკუთვნება იმითაც არის ნაკარნახევი, რომ პალურის სადგომზე ჭერჭერობით არც ერთი გახეხილ-გაპრიალებული იარაღი არ აღმოჩენილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე.წ. გამოსათატრ დანებს, რომელთა პირის მოპირდაპირე კიდე ანუ ყუას ეტყობა ხეხვის ანუ გაპრიალების ნიშნები, რაც შეიძლება იარაღის ხმარების პროცესშიც წარმოქმნილიყო. გახეხილ-გაპრიალებული იარაღების არაღმოჩენის ფაქტი საყურადღებოა და პალურის ასაკის დაზუსტებისას მასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ ნიშნით პალური სავსებით იმეორებს ჭიხანჯურის, ხუტუბნისა (ტაბ. XXIX—XXX) და კინკიშას სადგომებზე გამოვლენილ სურათს, სადაც გახეხილ-გაპრიალებული იარაღები საერთოდ არ აღმოჩენილა¹² და აბლო დგას ანასეული I-თან, რომლის სოლიდურ კოლექციაში (4044 ც.) მხოლოდ 1%-ის ოდენობით შედის ხსენებული სახის ნაწარმი. (ტაბ. XXVII—XXVIII)¹³. ვფიქრობთ, სწორი და გასაზიარებელია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ნეოლითურ ძეგლებზე გახეხილ-გაპრიალებული იარაღების არარსებობას ან ნაკლებობას მათი ხანდაზმულობით ხსნიან¹⁴.

პალურის ადრენეოლითურ ასაკზე მეტყველებს, აგრეთვე, კაქის ნაქეთობათა კომპლექსში გეომეტრიული მიკროლითების (ტრაპეცია, სეგმენტი, სამკუთხედი) მეტისმეტი სიმცირე, რაც ასევე ნიშანდობლივია ჭიხანჯურის, ხუტუბნის, კინკიშასა და ანასეულა I-ის სადგომებისათვის (ტაბ. XXVI-12—15). იგივე თვალსაზრისით საგულისხმოა პალურის კაქის იარაღთა კომპლექსში შემავალი მეზოლითური ტრადიციების მატარებელი თავირიბი და ზურგდაბლაგული ლამელების აღმოჩენა, რომლის მსგავსი ნაწარმი კარგად არის ცნობილი როგორც კავკასიის, ისე ყირიმისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში ზედა პალეოლითური და მეზოლითური ხანის ძეგლებისათვის. ანალოგიურ იარაღებს ერთეულების სახით იძლევა, აგრეთვე, ანასეული I, (ტაბ. XXVI-4—7)¹⁵.

¹² იხ. ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარი კინკიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 15—16; ს. გოგოტიძე, ნეოლითური ხანის ძეგლები მდ. ჩოლოქის სანაპიროზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974, გვ. 4—33.

¹³ ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, 1972, თბ., გვ. 71.

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 15—16; ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70—71.

¹⁵ ლ. ნებერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 69, ტაბ. IV-6—7.

კინკიშას, ხუცუბნის, ჩოლოქისა და ახანეულის I-ის ადრენეოლითურ ძეგლებთან ქრონოლოგიური თვალსაზრისით პალურს აახლოვებს ნაირგვარი მარტივი საჭრისების სიმრავლე იმ განსხვავებით, რომ პალურის ტექნიკური ტრადიციების თავისებურების გამო, მისი საჭრისების უდიდესი ნაწილი ანატკეცებზე და ლამებისებურ ანატკეცებზეა გაფორმებული.

ამ ნიშნით პალურის საჭრისები ახლო მსგავსებას პოულობს კუკრეკის ანალოგიურ იარაღებთან, რომლებიც ასევე ანატკეც-ანამტვრევებზე გაფორმებული¹⁶, ამ ძეგლის წამყვან სახეობას წარმოადგენს. ანალოგიური საჭრისები ცნობილია ტაშ-აირი I-ის IX ფენიდან, რომელსაც დ. კრაინოვი გვიანი მადლენით და ადრე აზილით ათარილებს¹⁷, ხოლო იუ. კოლოსოვი იგივე მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ტაშ-აირი I-ის ქვედა (IX—VI) ფენებს ადრეულ, უკერამიკო ნეოლითს აკუთვნებს¹⁸.

ანატკეცებზე გაფორმებულ შუალა და კუთხის საჭრისებს მრავლად ვხვდებით ყირიმის ნახევარკუნძულზე ფრონტოვო III-ის მასალებში¹⁹ და უკრაინის „კაპენაია მოგილას“ მახლობლად მდებარე საოგომის უკერამიკო, ყველაზე ადრეულ-არქაული ნეოლითის ფენებში²⁰.

იუ. კოლოსოვი ეკამათება რა დ. კრაინოვს ტაშ-აირი I-ის ქვედა, IX—VII ფენების თარიღთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებს ყირიმის ძეგლების ერთ ჯგუფზე, სადაც ანატკეცზე ჩამოყალიბებულ საჭრისებთან ერთად გვხვდება ე. წ. „კუკრეკის ტიპის ჩასართები“, რაც სრულიად უცნობია როგორც ადრეულ-მეზოლითური, ისე მოგვიანო-ენეოლითური სადგომებისათვის და წმინდა ნეოლითურად არის მიჩნეული²¹. კუკრეკის ტიპის ჩასარ-

¹⁶ Ю. Г. Колосов, Некоторые вопросы истории неолита Крыма (По поводу книги Д. А. Крайнова «Пещерная стоянка Таш-аир I, как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма», МИА, № 91, 1960, с. 257—265, рис. 1, 31—35.

¹⁷ Д. А. Крайнов, Пещерная стоянка Таш-аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма, МИА, 91, 1960, с. 120—138.

¹⁸ Ю. Г. Колосов, указ. соч., с. 262.

¹⁹ Е го ж е, Дослідженні пам'яток неолітичного часу на Керченському півострові. Археологія, XIV, Київ, 1962; მ о ს ი ვ ე, Некоторые вопросы..., рис. 1, 6—9.

²⁰ Е го е, указ. соч., с. 259.

²¹ Е го ж е, Некоторые вопросы... с. 263.

თები ფაქტიურად წარმოადგენენ ლამელებს, რომელთა ქვედა სიბრტყე დამუშავებულია ბრტყელი, ცენტრისკენ შემღწევი ანატკეცებით. ასეთი ძეგლებია: კუკრეკი, ფრონტოვო III-ის ქვედა ფენა, ალაჩუკი (Караси-Яула), ფრონტოვო (ქერჩის ნახევარკუნძულზე), ზუია I, ალექსეევსკაია ზასუხა, იშუნსკოე და დოლინსკოე ყირიმის სტეპების დასავლეთ ნაწილში²².

როგორც ცნობილია, ანალოგიური მუცელათილილი სამი იარაღი (ტაბ. IX-1—3) პალურის V ფენაშიც აღმოჩნდა, რომელსაც დამატარილებელი მნიშვნელობა ენიჭება.

ყირიმის ადრენეოლითურ ძეგლებთან პალურის ქრონოლოგიურ და, ალბათ, კულტურულ სიახლოვეზეც მივითითებს პალურში აღმოჩენილი 13 ც. ბრტყელი ნუკლეუსი. ზურგისაკენ დახრილი დარტყმის სიბრტყის მქონე ცალმხრივატკეცილი ბრტყელი ნუკლეუსები საყოველთაო აღიარებით ყირიმის მეზოლითური და ადრე ნეოლითური ძეგლების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნაწარმია²³.

იგივე თვალსაზრისით, ინტერესს არ აჩის მოკლებული პალურის ორი ზურგათილი იარაღი, რომლებიც გარდა იმისა, რომ მოყვანილობით უახლოვდებიან სეგმენტებს, მათი ზურგი ისეა დამუშავებული ვერტიკალური, თხელი, შემღწევი ანატკეცებით (ტაბ. XI-4—5). როგორც ეს ტიპურია ყირიმის მეზოლითური და ნეოლითური ძეგლებისათვის²⁴.

დასასრულს, და, რაც მთავარია, პალურის ადრენეოლითური ასაკის სასარგებლოდ გამოთქმული მოსაზრების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს მოპოვებულ მასალაში კერამიკულა: ნაწარმის არარსებობა, რაც დასავლეთ ამიერკავკასიის რამდენაღმე მოგვიანო ნეოლითური ძეგლებისათვის (ანასეული II, გურიანთა, მამათი, მახვილაური, ოდიში, კისტრიკი, ჩხორთოლი, ნიჟნაია შილოვკა და სხვ.) უკვე ნიშანდობლივია.

²² Ю. Г. Колосов, указ. соч., с. 257—265, рис. 1, 11-12, 25-29 36-41; Е. А. Векнилова, К вопросу о связях населения на территории Крыма в эпоху мезолита, МИА, СССР, № 126, 1966, с. 152, 154; Л. Г. Мацкевой, Мезолитические стоянки восточного Крыма, КСИИА, 117, М., 1969, с. 44—53.

²³ М. В. Воеводский, Палеолитическая стоянка Рабочий ров. «Уч. зап. МГУ, вып. 158, 1952, с. 116; А. А. Формозов, Неолит Крыма, и Черноморского побережья Кавказа, М., 1962, с. 97.

²⁴ С. Н. Бибинов, Грот Мурзак-Коба-шова позднелитическая стоянка побережья Кавказа, М., 1962, с. 97.

პალურის ნამოსახლარის საკმაოდ სოლიდური ფართობის შესწავლის მიუხედავად, არავითარი ისეთი საეჭვო ფაქტი არ დადასტურდა, რაც უფლებას მოგვცემდა გვევარაუდა კერამიკული მასალის ოდესღაც არსებობის შესახებ, რომელმაც ვერ გაუძლო დროთა მსვლელობას და ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით ისევე დაიშალა და გაქრა, როგორც ძვლისა თუ ხის ნაქეთობანი. ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით საკმარისია გავიხსენოთ, რომ სავსებით ანალოგიურ ბუნებრივ გარემოცვაში მყოფი გვიან ნეოლითური ძეგლების: ოდიშის, ანასეული II-ის, გურიანთას, კისტრიკის, მახვილაურის, ქვემო შილოვკასა და მამათის კულტურულ ფენებში საკმაოდ კარგად არის დატული კერამიკული მასალა²⁵. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა დარღვეული ფენებიდან მომდინარეობს, მას შერჩენილი აქვს კეცის სიმკვრივე, ჭურჭლის ფორმა და ორნამენტიც კი, რასაკვირველია, თუკი ასეთი რამე თავიდანვე გააჩნდა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ პალურში მსგავსი მასალის არსებობის შემთხვევაში მისი ნაკვალევი უნდა შემოგვრჩენოდა, თუნდაც ორმოებში მაინც. ამრიგად, როგორც სხვა ფაქტიური მონაცემებითაც ირკვევა, პალური ასაკით განეკუთვნება ადრენეოლითურ ანუ ე. წ. უკერამიკო ნეოლითური ძეგლების ჯგუფს.

მართალია, პალურის მასალებში შედის ზოგიერთი ისეთი იარაღი, რომელიც ფართო გავრცელებას გვიანნეოლითში ნახულობს, მაგრამ რამდენადაც ასეთი ნიმუშები მასალის უმციირესობას შეადგენს და ცალკეულ შემთხვევებში მეზოლითურ ძეგლებშიც გვხვდება, მათ დამათარიღებელ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს პალურის ერთი სამგვერდდაბლაგული ტრაპეცია, რომლის მსგავსი იარაღები 71 ერთეულის სახით არის ცნობილი ანასეული II-დან²⁶, მცირე რაოდენობით გვხვდება გურიანთაში²⁷ და მრავლად არის წარმოდგენილი ქვემო შილოვკის მასალებში²⁸. მსგავსი ფაქტების გათვალისწინებით ლ. ნებიერიძე სამგვერდდამუშავებულ ტრაპეციას „ოდიშის ტიპის ძეგლე-

²⁵ ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენციკის მოამბე, ტ. IV, 3, თბ., 1939; ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

²⁶ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 35. ტაბ. X, სურ. 7—18.

²⁷ ი ქ ე ე, გვ. 59, ტაბ. XXXVII, 20—21.

²⁸ А. Ф о р м о з о в, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, № 102, 1962.

ბის“ ე. ა. გვიანი პერიოდის ტიპურ იარაღად თვლის²⁹ და საერთოდ გამორიცხავს მათ არსებობას დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითურ ძეგლებში³⁰, რაც უთუოდ უზუსტობაა, რადგან ანასეულ I-ზე მოპოვებული 8 ტრაპეციიდან, მისივე აღწერილობით, ერთი სწორედ სამგვერდდამუშავებულია³¹.

ანალოგიური იარაღები 16 ერთეულის სახით შედის ეძანის ეხის მეზოლითურ მასალებში, რომელთა შორის 10 ეგზემპლარის ქედი დაბლაგულია, ხოლო დანარჩენს ციცაბო და ფაქიზი რეტუსით აქვთ გაფორმებული ეს ნაწილი³². უფრო მეტიც, ზურგდაბლაგულ ტრაპეციებს იცნობს ზედაპალეოლითური ხანის გვარჯილას კლდის მასალებში³³. რამდენიმე ასეთი ტრაპეცია ნანახია ჩრდილო-კავკასიაში, გუბსის № 17 ეხის სახელით ცნობილი ძეგლის მასალებში, რომელსაც ა. ფორმოზოვი ზედაპალეოლითის დასასრული ხანით ათარილებს³⁴.

როგორც ვხედავთ, ხსენებული წესით დამუშავებული გეომეტრიული ფორმის იარაღები არც ადრეული ძეგლებისათვის არის უცხო და მით უფრო პალურის ნამოსახლარზე ერთი ასეთი ნიმუშის აღმოჩენა მისი გვიანდლობის მტკიცებისათვის არ გამოდგება.

ამრიგად, პალურის ნეოლითური მასალების მორფოლოგიური, ტიპოლოგიური, ტექნიკურა და შედარებითი შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ძეგლი მთელი რიგი არქაული ნიშნებით ხასიათდება, რაც მოკლედ შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ძეგლისათვის უცხოა კერამიკული მასალა.
2. რიყის ქვის ნაწარმი მოისაკლისებს გახეხილ-გაპრიალებულ იარაღებს.
3. ხშირია ბრტყელი ნუკლეუსების გამოყენების შემთხვევები.
4. მეორადი დამუშავების გაბატონებული ხერხია დამაბლაგვებელი რეტუსი.

²⁹ ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

³⁰ ი ქ ე ე, გვ. 73.

³¹ ი ქ ე ე, გვ. 25.

³² მ. გ ა ბ უ ნ ი ა, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976, გვ. 36, ტაბ. VII-16—20.

³³ ლ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები თბ., 1960, გვ. 96.

³⁴ А. А. Ф о р м о з о в, Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965, с. 48—53; Е го же, Палеолитические стоянки в пещерах Прикубанья, КСИА, 98, 1964, с. 9—16, р. 3, 6, 9—10.

5. უმნიშვნელოა მიკროლითური ტექნიკის როლი და მცირეა გეომეტრიული მიკროლითების რაოდენობა.

6. არსებობას განაგრძობს მეზოლითური ტრადიციების მქონე ცალკეული იარაღები.

7. გაბატონებულია ანატკეცებზე გაფორმებული ნაირგვარი საჭრისები.

8. მოჭარბებულია მოგვიანო ძეგლებისათვის უცხო ანკესისებური (ლეკალა) იარაღები.

არქაულ ნიშანთა ასეთი ერთობლიობა სრულ უფლებას გვაძლევს პალური ქრონოლოგიურად ე. წ. უკერამიკო ნეოლითური ძეგლების (ჯიხანჯური, კინკიშა, ხუცუბანი, ანასეული I) რიგში ჩავაყენოთ და შესაბამისად ადრე ნეოლითით დავათარილოთ. იგი აშკარად წინ უსწრებს „ოდიშის ტიპის“ ძეგლებს და ყველაზე მეტად მაინც ანასეულ I-ს უახლოვდება

პალურის კულტურის ზონალური ხასიათი

ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრის შემდეგ კიდევ უფრო რელიეფურად გამოჩნდა პალურის კულტურის არსებითი თავისებურებანი, რაც შეინიშნება ქვის როგორც პირველად, ისე მეორად დამუშავებაში შზა ნაწარმის ტიპოლოგიური მონაცემების ჩათვლით.

თუ ვირწმუნებთ პალურის ადრენეოლითურ ასაკს, ე. ი. ერთ სიბრტყეზე ჩვენი მასალის გვერდით დავალაგებთ ასევე ადრენეოლითური ხანის ძეგლების — კინკიშას, ხუცუბნის, ჭიხანჭურის, ჩიუსუბნისა და ანასეული I-ის მონაპოვრებს (ტაბ. XXIX—XXV), აშკარად გამოჩნდება პალურის კოლორიტული თავისებურებანი, რომელიც ასე განასხვავებს შას დღეისათვის კარგად ცნობილ დასავლეთ ამიერკავკასიურ ადრენეოლითური ძეგლებისაგან.

ანალოგიურ ფაქტებს მკვლევარები ორი მიზეზით — ასაკობრივი სხვაობით, ე. ი. ძეგლების არათანადროულობით ან მათი სხვადასხვა კულტურის კუთვნილებით ხსნიან. კონკრეტულ შემთხვევაში პალურის თავისებურებათა ქრონოლოგიური მიზეზით ახსნა გამორიცხულია, რადგან დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითურ ან რაგინდარა ასაკის ძეგლებთან შედარების მიუხედავად, სხვაობა მაინც ძალაში რჩება.

სწორედ ამიტომ, პალურის თავისებურებათა საკითხს სხვა კუთხით უნდა შევხვით, ანუ რაც იგივეა, რომ საჭიროა დღის წესრიგში დაისვას პალურის კულტურული რაობის, მისი კუთვნილების საკითხი, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ეს უკანასკნელი რაღაც ახალი, განსხვავებული კულტურის ძეგლია. თუ ეს ასეა, მაშინ გამოვა, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში არსებობდა არაერთი მთლიანი, თავისებური ნეოლითური კულტურა, როგორც აქამდე იყო ცნობილი¹, არამედ ორი სხვადასხვა

¹ ლ. ნ ბ ი ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 89—108.

კულტურა, რომელთაგან თითოეულს ქვის დამუშავების თავისებური ტექნიკური ტრადიცია ედო საფუძვლად. პალურის მასალების მიხედვით ამის მტკიცება სავსებით შესაძლებელია. მაგრამ, მსგავსი სირთულის საკითხის დასმა და მით უმეტეს გადაწყვეტა მხოლოდ ერთი რომელიმე ძეგლიდან მომდინარე მასალებზე დაყრდნობით, რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს.

ამ საკითხის მეტ-ნაკლები სისრულით გამუქება პირველ რიგში მოითხოვს პასუხს შემდეგ კითხვებზე: არსებობს თუ არა პალურის მსგავსი თავისებურებების მქონე სხვა ძეგლები, სად მდებარეობენ ისინი, რა ტერიტორიაზე არიან გავრცელებულნი და რა კავშირი აქვთ წინამოვალ საფეხურის ძეგლებთან? ე. ი. საჭიროა გაირკვეს პალურის კულტურის გენეზისის საკითხი და შეძლებისდაგვარად მოიხაზოს მისი გავრცელების არეალი.

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ვფიქრობთ, შესაძლებელია დადებითი პასუხი გაიცეს დასმულ კითხვებზე. საამისო მონაცემები ნაწილობრივ ჩვენ მიერ არის მოპოვებული უკანასკნელ ხანებში, ნაწილობრივ კი ადრევე იყო ცნობილი. მაგრამ, რადგან ეს მასალები გათხრების შედეგად არაა მოპოვებული და პალურის მსგავსი ნიშნები საკმაოდ განასხვავებენ მათ სხვა კარგად ცნობილი ნეოლითური ძეგლებისაგან, დასაეღუთ ამიერკავკასიის ერთიანი, თავისებური ნეოლითური კულტურის ჩარჩოში მათი ადგილი ვეღარ მოიძებნა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1951—1952 წლებში სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ალ. კალანდაძისა და ლენინგრადელი არქეოლოგის ვ. ლუბინის მიერ სამხრეთ ოსეთის მთისწინა და მთიან ზოლში მიკვლეული მეზოლითური (ჯერმუხი, სელო, ძალინა, პიჩიჯინი, წიფლეთი) და ნეოლითური ძეგლები: ნაგუთნი I, ნაგუთნი II, ზურა-ახო და ჯიჯოეთი² (ტაბ. XXXI).

ვიდრე ამ ძეგლების კულტურული რაობის საკითხს შევეხე-

² იხ. ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი, საქართველოს შუა მთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო კრებული, 1971, გვ. 62—78; ალ. კალანდაძე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1952 წლისა, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1952 წ. საეღუთ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი 1953, გვ. 8-10; В. Л ю б и н и, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия), МИА, № 126, 1966, с. 155—163.

ბოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ მათი ამგვარი ქრონოლოგიური დაჯგუფება არსებითად სწორია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა და უფრო დაძაფრებული გახადა პალურის აღმოჩენებმა. პირველი ჯგუფის ანუ, როგორც ამას ვ. ლუბინი უწოდებს, პიჩიჩინის ტიპის ძეგლები, ერთი მხრივ, ხასიათდება გვიანხედაპალეოლითური და მეზოლითური ტრადიციებით, რაც რამდენადმე არქაულ იერს აძლევს მათ. ხოლო, მეორე მხრივ, ასევე ტიპურია ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება, რომელიც ნიშანდობლივია პალურის ნამოსახლარისათვის.

ამ მხრივ სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ სოფ. პიჩიჩინის (ზნაურის რ-ნი) სადგომი, როგორც ყველაზე უფრო უხვმასალიანი (3 ათასამდე ერთეული) ძეგლი, რომელზეც სამი საცდელი შურფიც იქნა გაჭრილი.

პიჩიჩინის შუა ნაწარმი ტიპოლოგიურად სავსებით იდენტურია პალურის იარაღებისა. აქაც, ისევე როგორც პალურში, დიდი რაოდენობით ვხვდებით გვერდრეტუშირებულ საფხეკებს, სწორი და ამოღარული პირით, „ანკესისებურ“ შვერილიან იარაღებს, ნაირგვარ საჭრისებს, მათ შორის ცალგვერდრეტუშირებულ შუალა საჭრისებს, გვერდრეტუშირებულ ლამელებს, ე. წ. „კუკრეკის“ ტიპის ჩასართებს და სხვა. მსგავსება შეინიშნება ზომებშიც და განსაკუთრებით იარაღთა მეორად დამუშავებაში, სადაც ბატონობს ციკაბო, შემღწევი, მცოცავის მსგავსი რეტუში, რაც ხშირად ქვედა სიბრტყეზეა დატანილი³ (ტაბ. XXXI-1—4, 6—9, 11. 21).

ამ მხრივ პიჩიჩინი ზუსტად იმეორებს პალურს, მაგრამ, მსგავსებასთან ერთად, პიჩიჩინის ტიპის ძეგლებს გააჩნია მთელი რიგი ანგარიშგასაწევი განმასხვავებელი ნიშნებიც, რაც ჩვენი აზრით, ასაკობრივი ხასიათისაა. პალურისაგან განსხვავებით, პიჩიჩინის ქვის პირველადი დამუშავების საფუძველს მიკროლითური ლამელების ტექნიკური ტრადიცია წარმოადგენს. აქ აღმოჩენილი ქვის მასალის თითქმის ერთი მესამედი სწორკუთხა დანისებური და

³ ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ლ. შ ე რ ე თ ე ლ ი, საქართველოს შუა მთიანეთის ზოგიერთი მეზოლითური ძეგლი, ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1971, გვ. 62—78; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1952 წლისა, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1952 წლის საეულე-არქეოლოგიური კვლევ-ძიების შედეგებისადმი, 1953, გვ. 8—10; В. П. Л ю б и н, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия) ს. ჭანშიას სახ. საქ. სახელ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი, კოლექცია 3—58—431—625. МИА, № 126, 1966, с. 155;

მიკრო ლამელებითაა წარმოდგენილი. ბრტყელი და ატიპური ნუკლეუსების გვერდით მნიშვნელოვანი რაოდენობით განაგრძნობს არსებობას ჩამოყალიბებული სახის დახვეწილი, პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები, რომელთა დამუშავების შედეგად დანისებური სწორკუთხა ლამელებისა და მიკროლამელების მიღებაა შესაძლებელი⁴. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ პიჩიჩინის ტიპის ძეგლებიდან მომდინარე ე. წ. „ლუკალოს“ ტიპის იარაღების შევარილი სუსტად არის განვითარებული და მათ ერთგვარი გარდამავალი ადგილი უკავიათ გვერდამოლარულ საფხეკებსა და ანკესისებურ შევარილიან იარაღებს შორის. ე. ი. ეს იარაღები ჩამოყალიბების პროცესშია და მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ პალურისა და ნაგუთნის მსგავსი დასრულებული იარაღების სახე.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სავსებით ვიზიარებთ პიჩიჩინის ტიპის ძეგლების პირველი აღმომჩენლების ალ. კალანდაძისა და ვ. ლუბინის მოსაზრებას ხსენებული ძეგლების მეზოლითური ხანით დათარიღების შესახებ⁵.

პიჩიჩინის ტიპის ძეგლები ქვის პირველადი დამუშავებით და მათი მიკროლითური ხასიათით უდავოდ მეზოლითური ასაკისაა. ამ ნიშნით ისინი ახლო მსგავსებას პოულობენ კავკასიის ბარის თანადროულ კულტურებთან. მაგრამ როგორც ითქვა, იმავე დროს მნიშვნელოვნად განსხვავდებიან რეტუშირების ტექნიკური ხერხებითა და მზა ნაწარმის ტიპოლოგიური რაგვარობით, რაც პიჩიჩინის ტიპის ძეგლების კულტურულ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

შესაძლოა იგივე მიზეზით აიხსნას ამ ძეგლების მასალებში კავკასიის მეზოლითისათვის ტიპური გეომეტრიული ფორმის მიკროლითების ე. წ. „მშვილდ წვეტების“ არარსებობის ფაქტი, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია აგრეთვე შემთხვევითობის მომენტი, რაც ასე ტიპიურია ზედაპირულად შეგროვილი მასალებითათვის.

ჩვენ უფრო მეორე ვარაუდი გვეჩვენება საჩწმუნოდ, რასაც თითქოს გვიდასტურებს კიდევ პიჩიჩინის ჯგუფში შეჩავალი ერთერთი ძირითადი ძეგლი ჯერმუხი, რომლის მასალებში გვერდამო-

⁴ იხ. ს. ჯანაშიას სახელაბის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდი, 3—58—415—625.

⁵ ალ. კალანდაძე, სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1952 წლისა; ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—78; В. П. Лубин, указ. соч., с. 155—163.

ლარულ, ქვედა ან სხვადასხვა სიბრტყიდან რეტუშირებული საფხეკებინა და ანკესისებურ მრუდე იარაღებთან ერთად (ტაბ. XXXI-12,18) შედის ერთი დიდი ზომის სეგმენტისებური მოყვანილობის ზურგდაბლაგული მშვილდწვეტა⁶. არ გვეგულება მეზოლითზე უფრო მოგვიანო სხვა რომელიმე ძეგლი, სადაც ანალოგიური იარაღის აღმოჩენის ფაქტი იყოს დადასტურებული. ამიტომ, ამ იარაღს დამათარიღებელი მნიშვნელობა ენიჭება.

რასაკვირველია, არც აქ არც გამორიცხული შემთხვევითობა, მაგრამ ასეთი დაშვების საწინააღმდეგოდ სხვა ანალოგიური ფაქტებიც მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს დასავლეთ კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე, მდ. ბაქსანის ხეობაში 1955 წელს ს. ზამიატინისა და პ. აკრიტასის მიერ მიკვლეული და ნაწილობრივ შესწავლილი ე. წ. „სოსრუკოს“ მღვიმე⁷.

როგორც ცნობილია, სოსრუკო წარმოადგენს მრავალფენიან ძეგლს, სადაც სტრატეგრაფიული თანამიმდევრობით განლაგებული და სტერილური შრეებით გამოყოფილი ერთი ზედაპალეოლითური⁸ და შვიდი მეზოლითური ფენა იქნა აღმოჩენილი⁹. სოსრუკოს მღვიმეში გამოვლენილი შვიდი ფენიდან ექვსი M_1 — M_2 და M_4 — M_7 მოპოვებული მასალის (პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები, სწორკუთხა დანისებური ლამელები, ძვლის იარაღები და სხვ.) მიხედვით, დაახლოებით ერთგვაროვანია, რაც არ ითქმის M -ვ ფენაზე. ეს უკანასკნელი როგორც ქვედა, ისე ზედა ფენებისაგან აშკარად განსხვავდება აქ მოპოვებული ბრტყელი ნუკლეუსებით, მოკლე და ფართო ანატეკებზე ნაკეთები მრგვალი, დუბლირებული და ოვალურპირიანი საფხეკებით, სამკუთხა განიკვეთიან ზურგდაბლაგული ლამელებით, გვერდამოღარული საფხეკებით და, რაც მთავარია, ანკესისებურშვერილიანი მრუდე იარაღებით. (ტაბ. XXXII)¹⁰. ამ მასალასთან ერთად, რომელიც ტიპურია პალური-სა და პიჩიჩინის ჭგუფის ძეგლები-სათვის, აღმოჩნდა, აგრეთვე,

⁶ ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 75—76, ტაბ. III-7.

⁷ С. Н. Замятин, П. Г. Акритас, Раскопки грота Сосруко в 1955 г., Учен. зап. КБНИИ, т. XIII, 1957, с. 431—452.

⁸ С. Н. Замятин, П. Г. Акритас, Археологические исследования 1957 года в Баксанском ущелье. Учен. зап. КБНИИ, т. XIII, 1957, с. 171—175.

⁹ С. Н. Замятин, П. Г. Акритас, указ. соч., рис. 2.

¹⁰ С. Н. Замятин, П. Г. Акритас, указ. соч., с. 444—447, рис. 9.

ოცამდე გეომეტრიული ფორმის იარაღი წვეტანისებური¹¹ და სეგმენტისებური მშვილდწვეტების სახით¹². სოსრუკოს A₃ ფენის მშვილდწვეტები, როგორც მეორადი დამუშავებით, ისე ზომებით (3—4 სმ სიგრძის) ზუსტად იმეორებენ ჯერმუხის სეგმენტისებურ იარაღს, რაც სოსრუკოსა და პიჩიჩინის ტიპის ძეგლების კულტურული და ქრონოლოგიური სიახლოვის მაუწყებელი კიდევ ერთი მონაცემია.

ამრიგად, სოსრუკოს მაგალითზე ზურგდაბლაგული, სეგმენტისებური მშვილდწვეტის აღმოჩენა ჯერმუხში სრულიად ბუნებრივი ჩანს. ჯერმუხის სადგომს საესებით კანონიერად უჭირავს კუთვნილი ადგილი პიჩიჩინის მეზოლითური ძეგლების ჯგუფში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში რიგი მონაცემების საფუძველზე ჯერმუხში შედარებით განვითარებული ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჯერმუხის ქვის პირველად დამუშავებაში, პალურის მსგავსად, ბატონობს ანატკეცთა ტექნიკა, თუმცა ლამელების შეფარდება ანატკეცებთან (1:3) რამდენადმე უფრო მაღალია¹³, ვიდრე პალურში (1:10). მართალია, ჯერმუხისა და პიჩიჩინის სხვა ძეგლებში (სელო, ძალინა, ჯიჯოეთი) რიყის ქვის იარაღები არ აღმოჩენილა, მაგრამ როგორც მზა იარაღთა ტიპოლოგიით, ისე ქვის პირველადი და მეორადი დამუშავებით, ჯერმუხი პალურთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი ძეგლი ჩანს. ამდენად, მას პალურის კულტურის გენეზისის საკითხებზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ანალოგიური მონაცემების საფუძველზე კიდევ მეტი შეიძლება ითქვას პალურისა და სამხრეთ ოსეთის მეორე ჯგუფის — „ნაგუთნის“ ტიპის ძეგლების შესახებ, რომელთა ქვის პირველად დამუშავებას ასევე ანატკეცთა ტექნიკა უდევს საფუძვლად. ნაგუთნი I-ის, ნაგუთნი II-ის¹⁴, ზურაახოს და ჯიჯოეთის ლეკლოს ტიპის იარაღები ხშირ შემთხვევაში იმდენად მსგავსია პალურის იარაღებისა, რომ ერთი და იმავე ხელოსნის ნაწარმად შეიძლება მოგვეჩვენოს (ტაბ. XXXI-10, 12—19). პალურის მსგავსად, ეს იარაღები ციცაბო, შემღწევი, მცოცავი რეტუშით არის გაფორმებუ-

¹¹ С. Н. Замятин, П. Г. Акритас, указ. соч., с. 445—446, рис. 10, 17—19.

¹² ი ქ ვ ე, с. 445, рис. 10, I—16.

¹³ აღ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ლ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

¹⁴ ნაგუთნი I-ს ეუწოდებთ სოფ. ნაგუთნიში, დობანას ხევის ვაღმა, თატიკველა გორაკზე მდებარე ძეგლს, ხოლო ნაგუთნი II-ს — იმავე სოფლის ადგილს, აბითეს.

ლი, რაც საფუძველს აძლევს ვ. ლუბინს ნაგუთნის ტიპის ძეგლები ადრენეოლითით დაათარილოს¹⁵, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა პალურის აღმოჩენების შედეგად.

პალურის ანალოგიური ძეგლი მიკვლეულია სვანეთში, სოფ. ლენჯერთან (ნესტიის რ-ნი), მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, ადგილ ლებიქვში, ზღვის დონიდან 1600—1700 მეტრის სიმაღლეზე. ძეგლი აღმოჩენილი იქნა 1964 წელს, როდესაც აკად. ნ. ბერძენიშვილის დავალებით მუშაობა მოგვიხდა სვანეთის შემსწავლელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციაში ნინო ბერძენიშვილთან ერთად.

ლებიქვის ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტიურად მთის სათიბ ვერდს წარმოადგენს როგორც ზედაპირულად, ისე ორი საცდელი თხრილის საშუალებით მოვიპოვეთ დარღვეული ფენებიდან მომდინარე კაყის იარაღ-ანატყეცების საყურადღებო კოლექცია¹⁶. მასში შედის 133 კაყის ნაკეთობა, რომელთა შორის 42 ცალი იარაღი, ხოლო 91 ცალი ანატყეც-ანამტვრევა.

ისევე როგორც პალურში, ლებიქვის მასალებში რაოდენობრივი თვალსაზრისით პირველ ადგილზეა საჭრისები—11 ც., მათ შორის 7 ც. თავგადამტვრეული კიდურა საჭრისია—სწორი, ირიბი და ხიწვიანი წახნაგით (ტაბ. XXI-1—5), 1 ც. თავირბრეტუშირებულ კიდურა საჭრისთა ჯგუფს მიეკუთვნება (ტაბ. XXI-7), ხოლო 3 ც. ტიპური შუალა საჭრისია (ტაბ. XXI-6). საჭრისებს მოსდევს ზღრგინი დანები—10 ც. (ტაბ. XXI-8—12), გვერდრეტუშირებული საფხეკები—6 ც. (ტაბ. XXI-13—14), ბურღები—4 ც. (ტაბ. XXI-16—17). ანკესისებური იარაღები („ლეკალო“) — 3 ც. (ტაბ. XXI-18—21), სახვრეტები—2 ც. (ტაბ. XXI-22, ტაბ. XX-1), ბოლორეტუშირებული ოვალურპირიანი საფხეკი (ტაბ. XXII-2), ბოლორეტუშირებული ირიბპირიანი საფხეკი (ტაბ. XXII-3), ბოლორეტუშირებული სწორპირა საფხეკი (ტაბ. XXII-4), გვერდებდაბლაგული ოთხკუთხა ჩასართი (ტაბ. XXII-5), ისრისწვერისებური (წვერმოტეხილი) იარაღი (ტაბ. XXII-6), ორგვერდრეტუშირებული ლამელა (ტაბ. XXII-7), ერთი ზურგდაბლაგული ლაშქლის ნატეხი (ტაბ. XXII-8) და ერთი შუალა საჭრისის მსგავსი რეტუშორი (ტაბ. XXII-10).

სისრულისათვის აქვე უნდა მოვიხსენიოთ 5 ც. ნუკლეუსი, რომელთა შორის ოთხი ამორფულია და მხოლოდ ერთია ორფუ-

¹⁵ В. П. Лубин, указ. соч., p. 14, 14—15, 17, 12—22.

¹⁶ იხ. გ. გრიგოლია, ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, 1974, გვ. 93.

ძიანი, ორმხრივი, პრიზმის მსგავსი (ტაბ XXII-9). დასასრულ, წარმოების ნარჩენები და იარაღთა ნამზადები წარმოდგენილია 11 ლამელით, 63 ანატკეცით და 12 ანამტკერვის სახით.

ლებიქვის იარაღები თითქმის ზუსტად იმეორებენ პალურის მასალის მზა ნაწარმს. მსგავსება შეინიშნება როგორც მზა იარაღებისა და წარმოების ნარჩენების მორფოლოგიურ მონაცემებში, ისე მათ პროცენტულ შეფარდებებშიც.

პალურის მსგავსად, ლებიქვის მასალების პირველად დამუშავებას ანატკეცთა ტექნიკური ტრადიცია უდევს საფუძვლად, ხოლო მეორად დამუშავებაში გაბატონებულია ციცაბო რეტუშის ქვედა სობრტყეზე დატანის წესი. ერთი სიტყვით, ლებიქვისათვის ტიპურია ყველა ის ნიშან-თვისება, რომელმაც დასავლეთ ამიერკავკასიის ბარის ნეოლითური ძეგლების ჯგუფიდან პალურის გამოყოფის საშუალება მოგვცა. ამდენად, ნაგუთნის ტიპის ძეგლებთან ერთად ლებიქვიც პალურის კულტურის წრეში შეშავალი ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია.

პალურის მსგავსი მასალის მცირე ჯგუფი აღმოჩნდა ზემო იმერეთის სოფ. ბურღნარის (ჭიათურის რ-ნი) მახლობლად, ზღვის დონიდან 1700—1800 მეტრ სიმაღლეზე¹⁷ და ლეჩხუმში სოფ. ნაკურალეშის (ცაგერის რ-ნი) ადგილ ძეგვანარში (1500 მეტრ სიმაღლეზე)¹⁸, სადაც პალურის ანალოგიური ძეგლების არსებობა ივარაუდება.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ანალოგიური ძეგლი, რომელიც გოდერძის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 1700—1800 მეტრის სიმაღლეზე, კურორტ ბეშუმის მიდამოებში მდებარეობს. ძეგლს მივაცკლიეთ და ზედაპირული მასალა შევავროვეთ 1971 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი ა. ინააშვილი) მონაწილეობის დროს. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანაშრომელ ს. გოგიტიძესთან ერთად.

ბეშუმის კოლექცია (23 ც.) შედგება ობსიდიანისა და კაყის იარაღ-ანატკეცებისაგან, რომელშიც შედის ოთხი კიდურა, მარტივი საქრისი, სამი გვერდამოღარული საფხეკი, ორი ლამელა და

¹⁷ ზ. ქიქოძე, თ. მეშველიანი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975—1976 წ.წ. დაზვერვების შედეგები (ხელნაწერი).

¹⁸ მასალა მოიპოვა ლეჩხუმის სადაზვერვო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1976 წ. დ. გოგელიასა და ს. წიქარაძის ხელმძღვანელობით.

ცამეტი ანატეცი¹⁹. ამ პატარა კოლექციის მიხედვით, ძნელია რაიმე ითქვას ძეგლის ასაკსა და ხასიათზე, მაგრამ მზა ნაწარმის საერთო იერით, რომელსაც ანატეცთა ტექნიკა უღევს საფუძვლად, იგი შინც გარკვეულ მსგავსებას პალურის ტიპის ძეგლებთან პოულობს. ანგარიშგასაწევი ისიც, რომ ბეშუმიც მთაში მდებარეობს, ე. ი. იმავე გეოგრაფიული ზოლის კუთვნილებაა, სადაც ესგავსი -- ჩრდილო-კავკასიის (სოსრუკო 3), სამხრეთ ოსეთისა (ნაგუთნი I და II, ჭიჯოეთი, ზურაახო) და სვანეთის (ლებიქვე) ძეგლებია გავრცელებული.

ასეთი ფაქტების არაერთგზის განმეორება უთუოდ დამაფიქრებელია და კავკასიის მთაში, ან სპეციფიკურ გეოგრაფიულ გარემოში, თავისებური, განსხვავებული მეზოლითური და ნეოლითური კულტურის არსებობას გვაპარაუდებინებს. ამ კულტურის ბუნებისა და ხასიათის მეტნაკლებად სრულ სურათს პალურის მასალები იძლევა, რომელთა ცალკეული ნიშანი თუ ნიშანთა ერთობლიობა ტიპური ჩანს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან მომდინარე მასალებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მთისა და მთისწინეთის ბორცვოვანი ზოლის ძეგლების საფუძვლიანი გათხრითი შესწავლა ახალ საყურადღებო მასალებს გამოავლენს ახალი კულტურის რაობის, თარიღის, გავრცელების, საზღვრებისა თუ სხვა საკითხების დაზუსტებისათვის.

რამდენადაც პალურის კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა მატარებელი ძეგლები ჭერჯერობით ბარში არ გვხვდება და მათი გავრცელების არეალი მთით ისაზღვრება, გამოირიყვის მეთოდის გამოყენებით ამ კულტურას წინასწარულად „მთის კულტურას“ ვუწოდებთ. რასაკვირველია, ეს სახელწოდება პირობითია და ახალი მასალების დაგროვების საფუძველზე შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს იგი.

სახელწოდება „მთის კულტურა“ ერთი შეხედვით თითქოს ორმხრივ იწვევს უხერხულობას, სივრცობრივი სიდიდისა და ზონალური შეზღუდულობის თვალსაზრისით, რის გამოც საჭიროდ მიგვაჩნა აქვე დავუროთ განმარტება:

სახელწოდება „მთის კულტურა“ მართლაც ზოგადი ხასიათისაა, რადგან ფაქტიურად საქმე ეხება მხოლოდ ცენტრალური და დასავლეთ კავკასიონის კალთების გარკვეულ უბნებში განლაგებულ

¹⁹ ა. მ. ი. ვ. ი. ლ. ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები (მოკლე ანგარიში), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, 1974, გვ. 155, ტაბ. II.

ძეგლების მცირე ჯგუფს და არა მთელ კავკასიონს, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ჩათვლით.

ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მასალებას საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პიჩიჯინ-სოსრუკოსა და ნაგუთნი-პალურის კულტურა მოიცავს დასავლეთ კავკასიონის ორივე კალთას და ნაწილობრივ ცენტრალურ კავკასიაშიც ვრცელდება, მაგრამ უდავოა, რომ ჭერჭერობით ამ ფარგლებს გარეთ რჩება აღმოსავლეთ კავკასიონის ვრცელი ტერიტორია. ეს ფაქტი შეიძლება აგვეხსნა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე არსებული ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლების სუსტი შესწავლით, რასაც ვერ ვიტყვოდით ჩრდილო ნაწილის მიმართ. ეს ნაწილი, რომელაც მთლიანად დალესტნის ასსრ ფარგლებშია მოქცეული, ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ქვის ხანის დარგში მომუშავე მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს²⁰.

დალესტანში ამჟამად 20-მდე ნეოლითური ასაკის ძეგლია მიკვლეული და შესწავლილი, გარე ნამოსახლარების, დროებითი სადგომებისა და სახელოსნოების სახით²¹. ზონალური თვალსაზრისით, ისინი განლაგებულნი არიან ზღვისპირა (ტარნაირი) რაიონში, მთისწინა ზოლში (ბუინაკსი) და 15-მდე ძეგლი მდებარეობს მთიან დალესტანში. აკუშინსკის რაიონში²². ზოგადი მონაცემების გარდა, დალესტნის არც პირველი ორი რაიონის და, მით უმეტეს, არც მთის ზოლის ნეოლითური ძეგლები არ იჩენს რაიმე ახლო მსგავსებას ნაგუთნი-პალურის კულტურის მიმართ. იგივე შეიძლება გავიმეოროთ მეზოლითური ძეგლების, ერთი მხრივ, ჩოხის, კოზმანოხოს, მეკეგინსკის, საგატუკას²³ და, მეორე მხრივ, პიჩიჯინ-სოსრუკოს კულტურათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

²⁰ В. К. Котович, Чохская стоянка — первый памятник каменного века в горном Дагестане. Ученые записки Института ИЯЛ, Махачкала, т. III, 1957, с. 154—155; В. И. Марковни, Археологические находки с территории Тарпаира (Дагестан), КСИИМК, 67, 1957, с. 117—125; Е го же, Неолитическая стоянка близ Махачкалы, МАД, т. I, Махачкала, 1959, с. 21—30; В. И. Марковни и Р. М. Мунчаев, Неолитическая стоянка близ г. Буннакс (Дагестан). КС ИИМК, 67, 1957, с. 78—82; Р. М. Мунчаев, Археологические исследования в нагорном Дагестане в 1954 г. КСИИМК, 1958, с. 41—42; В. Г. Котович, Археологические работы в горном Дагестане, МАД, т. II, Махачкала, 1961, с. 10—18;

²¹ В. К. Котович, Каменный век Дагестана, Махачкала, 1964, с. 184—216.

²² В. К. Котович, указ. соч., с. 184—185.

²³ Там же, с. 100—176.

ამ რიგის ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, „მთის კულტურის“ გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი თერგისა და აზგვის აუზებს არ უნდა სცილდებოდეს; დასავლეთ საზღვრად კაჭრჭერობით კოდორის ხეობა ივარაუდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი აღმოჩენები კიდევ უფრო დააზუსტებენ ამ კულტურის გავრცელების გეოგრაფიულ ჩარჩოებს (ტაბ. XXXIII).

როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, მკიდრო კულტურული ურთიერთდამოკიდებულება ჩანს, ერთი მხრივ, პიჩიჩინ-ნაგუთნის ტიპის ძეგლებსა და, მეორე მხრივ, სოსრუკოს M-3 ფენის მასალებს შორის, რასაც ჯერ კიდევ 1966 წელს ხაზი გაუსვა ვ. ლუბინმა²⁴.

იგივე უნდა გავიმეოროთ პალურ-ლებიქვისა და სოსრუკოს ძეგლთა მიმართ. უდავოა, რომ პალური გენეტიკურადაა დაკავშირებული სოსრუკოს M-3 ფენის კულტურასთან, რასაც, ალბათ, მათი ტერიტორიული სიახლოვეც უწყობდა ხელს.

როგორც ცნობილია, მდ. ბაქსანი, სადაც მდებარეობს სოსრუკოს მღვიმე და მდ. ენგური, რომლის ხეობაშიც აღმოჩნდა ლეზბიქვი და პალური, მეზობელ წერტილებში იღებენ სათავეებს და ეს ხეობები კარგად უკავშირდებიან ერთმანეთს 3203 მ სიმაღლის ნაკარის უღელტეხილით. როგორც ჩანს, სწორედ ამ უღელტეხილზე გადიოდა ის ტრასა, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო სოსრუკო-პალურის კულტურის გავრცელება ენგურის ხეობამ, თუ პირიქით.

ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს იმავე ბაქსანის ხეობაში სოსრუკოს მღვიმის პირდაპირ ანალოგიური მეორე მზოლითური ძეგლის აღმოჩენა, რომელიც ნაწილობრივ იქნა შესწავლილი 1957 წელს ს. ზამიატნინისა და ვ. აკრიტასის მიერ²⁵.

ჯერჯერობით ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო კალთებზე სოსრუკო-პიჩიჩინის და პალურ-ნაგუთნის ტიპის ძეგლები არ არის მიკვლეული, მაგრამ სამხრეთ ოსეთის აღმოჩენების მიხედვით, მათი აქ არსებობა უკვე ივარაუდება. ამ შესაძლებლობას საფუძველს უმაგრებს, აგრეთვე, ჩრდილო ოსეთში მდ. ფიაგ-დონის ხე-

²⁴ В. П. Л ю б и н, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия), МИА, 126, 1966. М.-Л., с. 163.

²⁵ С. Н. З а м я т н и н и П. Г. А к р и т а с, Археологические исследования 1957 года в Баксанском ущелье. Ученые записки Кабардино-Балкарского научно-исследовательского института, т. XIII, Нальчик, 1957, с. 471—474.

ბაში, 1300 მეტრის სიმაღლეზე მიკვლეული შავი მღვიმე, რომლის მე-3, მე-5 და მე-7 ფენებიდან მომდინარე მასალები აღრეპეზოლითური ხანით თარიღდება²⁶. როგორც ვ. ლუბინი აღნიშნავს, ხსენებულ მღვიმეს პირდაპირი პარალელი არ მოეპოვება კავკასიაში, მაგრამ მასალის ერთი ნაწილი (ბრტყელი ნუკლეუსები, მოკლე მასიურ ანატექცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები, ანატექცებზე გაფორმებული საჭრისები, სათლელეები, ანკესისებურ-შვერილიანი მრუდე იარაღი და სხვ.) გარკვეულ მსგავსებას იჩენს სოსრუკოს მე-3 და მე-5 ფენის მასალებთან. შავი მღვიმე, ისევე როგორც პიჩიჩინის ტიპის ძეგლები, არ იცნობს გეომეტრიული ფორმის მიკროლითურ იარაღებს, რაც შეიძლება ცენტრალური კავკასიონის ლოკალური თავისებურება იყოს.

საფიქრებელია, რომ პიჩიჩინ-სოსრუკოს კულტურის სათავეები სწორედ შავი მღვიმისა და მსგავსი ძეგლების წიაღშია საძიებელი, რაპაც განვითარების შემდგომ ეტაპზე მოგვცა სავსებით ჩამოყალიბებული სახის პალურ-ნაგუთნის ტიპის ნეოლითური კულტურა.

კავკასიის მთიან ნაწილში მეზოლითური ხანიდან მოკიდებული ახალი თავისებური კულტურის გავრცელების ფაქტი რაიმე განსაკუთრებულ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ყველგან, სადაც კი ამისათვის სათანადო ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებია, ე. ი. სადაც რეგიონალურად მთა და ბარი ურთიერთს უკავშირდება.

ამ მხრივ სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ შუა აზია, სადაც გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კიდევ უფრო თვალსაჩინოა მეზოლით-ნეოლითის საფეხურზე ადამიანის ერთი ნაწილის გადანაცვლება მთის მიმართულებით, რის შედეგადაც დაბლობ ნაწილში გავრცელებული კულტემინარისა და ჯეიტუნის კულტურების გვირდით, და მათ პარალელურად მთიან ზოლში ჩნდება მესამე, ე. წ. პისარის კულტურა²⁷.

პისარის კულტურა პირველად გამოჰყო პროფ. ა. ოკლანდნიკოვმა 1953—1959 წწ., როდესაც სამხრეთ ტაჯიკეთში გათხარა დიდი ნამოსახლარი თეფეგაზიონი²⁸. მომდევნო წლებში კი სულ უფრო და უფრო განხილდა პისარისა და მსგავსი კულტურის

²⁶ В. П. Л ю б и н, указ. соч., с. 155—163.

²⁷ А. О к л а д н и к о в, Исследования памятников каменного века Таджикистана, МИА, 66, 1958, с. 14—19.

²⁸ Т а м ж е, с. 28.

აღმოჩენის ფაქტები შუა აზიის სხვადასხვა რაიონის მთიან ნაწილში, როგორც არის აღმოსავლეთ პამირი²⁹, აკ-თანგი-თურქესტანის ქედზე³⁰, ბაისუნ-თაუს მთებში მიკვლეული სადგომები³¹ და სხვ.

მოსალოდნელია მომავალში სწორედ ასეთი ვითარება გამოვლინდეს კავკასიაშიც და აი, მაშინ სავესებით გამართლებული იქნება ამგვარად ძეგლების უცირველ ჯგუფის თავისებური მასალების მთის კულტურის ზოგადი სახელით მოხსენიება.

ჰისარის კულტურა რომლის დახასიათება პირველად მოგვცა ა. ოკლადნიკოვმა³² და ვ. მასონმა³³, როგორც მთის ზოლში გავრცელებული კულტურა, მრავალმხრივ არის საყურადღებო ჩვენთვის. ჰისარის კულტურის ზერელე გაცნობილად კი ცხადად მოჩანს იგივე თავისებური ზოგადი ნაშენები, რაც ასე ტიპურია პალურ-ნაგუზანის ანუ კავკასიის მთის კულტურისათვის. პალურის მსგავსად, ჰისარის კულტურის საფუძველსაც ანატკეტა ტექნიკა წარმოადგენს. მისთვის ჭერ კიდევ უცნობია კერამიკული ნაწარმი და ნაკლებად არის ცნობილი ქვის გახეხვა-გაპრიალება (აღრეულ საფეხურზე). ჰისარში მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი თავრეტუშირებული საფხეკები და სათანადო ადგილი უჭირავს ანკესისებურშვერილიან, ლეკალოს ტიპის მრუდე იარაღებს, ე. ი. ჰისარისათვის ტიპურია ყველა ის ძირითადი მონაცემი, რამაც პალურის ცალკე კულტურად გამოყოფის საშუალება მოგვცა.

კავკასიისა და შუა აზიის მთიანი ნაწილის ნეოლითური ძეგლების ასეთი არსებითი ზასიათის მსგავსება უნდა აიხსნას არა მათი ახლო კულტურული ურთიერთობათ, არამედ იმ ეკოლოგიური გარემოს მსგავსებით, რომლებშიც ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად თავისებური მეზოლით-ნეოლითური კულტურების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა.

²⁹ В. Раиов, Итоги разведок памятников каменного века на Восточном Памире (1956—1958 гг.), МИА, 124, 1964, с. 7—50.

³⁰ Б. Литвинский, В. Раиов, Раскопки в навесе АҚ-Танги в 1961 г. Гр. ИИАМ Тадж. ССР, XLII, 1924, с. 3—24.

³¹ А. Окладников, Амир-Темир-Новый-памятник каменного века в горах Бансун-Тау, ҚСИМК, 6, 1940, с. 69.

³² А. Окладников, Каменный век Таджикистана, Итоги и проблемы. Материалы II совещания археологов и этнографов средней Азии. М.-Л., 1959, с. 176—184.

³³ В. Массон, Гиссарская культура в западном Таджикистане, Средняя Азия в эпоху камня и бронзы, 1966, с. 145—148.

ეკოლოგიური მსგავსება, ბუნებრივია, გაგებული უნდა იქნეს, როგორც ანალოგიური გეოგრაფიული გარემოს გავლენით შესაბამისი მეურნეობის გარკვეული დარგების განვითარება, რაც, თავის მხრივ, უზიძგებს ქვის დამუშავების ტექნიკას, გაზოიმუშავოს სათანადო ტრადიციები და ამ მეურნეობის შესაბამის იარაღთა ფორმები.

ჰისარიისა და კავკასიის მთიანეთის მატერიალური კულტურების სათანადო მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ორივე კულტურის ჩამოყალიბებას მეურნეობის მსგავსი დარგები უნდა დასდებოდა საფუძვლად.

სამწუხაროდ, პალურის მსგავსად, არც ჰისარიის კულტურის ძეგლები იძლევა პირდაპირ ხელმოსაყიდ მასალას, რომელიც მეურნეობის საკითხებზე მსჯელობისათვის ივარგებდა. სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებით, ჰისარიის კულტურით დაინტერესებულ მკვლევართა შორის რამდენიმე განსხვავებული ვარაუდია. ერთნი ფიქრობენ, რომ ჰისარი პრიმიტიულ მიწათმოქმედთა მიერ შექმნილი კულტურაა, მეორენი მას ნადირობისა და შემგროვებლობის საფეხურზე მდგომი საზოგადოების კუთვნილად მიიჩნევენ, სხვანი კი მონადირე-შემგროვებელ ჰისარელთა ყოფაში მესაქონლეობის გარკვეულ როლსაც არ გამორიცხავენ³⁴. ამ უკანასკნელ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ჰისარიის კულტურის ერთერთი მრავალფენიანი ძეგლის, ტურკაულის გათხრების შედეგები, სადაც VII—VI ათასწლეულის ფენაში გარეულ ცხოველებთან (მელა, კეთილშობილი ირემი, ხარი) ნახულ იქნა შინაური ცხოველების: ვირის, ცხვრისა და თხის ნაშთები³⁵.

ჰისარიის კულტურის გავრცელების ზოლისა და ამიერკავკასიის მთის ეკოლოგიური პირობების მსგავსებიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენშიც მთის ნეოლითური კულტურის საფუძველს უმთავრესად შემგროვებლობა, მეთევზეობა და ნადირობა შეადგენდა. რაც შეეხება მწარმოებლურ მეურნეობას, თუკი ასეთი რამ არსებობდა, იგი პრიმიტიული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დონეს არ უნდა გასცილებოდა.

პალურის კულტურის მთის ნეოლითის სახელით მოხსენიებას, როგორც ზემოთ ითქვა, ერთი შეხედვით მეორე უხერხულობაც

³⁴ В. М а с с о н, Проблемы неолитической революции. Тезисы докладов на заседаниях, посвященных полевым исследованиям, 1967, М., 1968, с. 14.

³⁵ В. Р а н о в, Г. К о р а б к о в а, Туркаул — многослойное поселение Гиссарской культуры в южном Таджикистане, СА, 2, 1971, с. 146.

ახლავს, რაც ზონალურ შეზღუდულობაში გამოინატება. რადგან კულტურას მთისა ეწოდება, არ შეიძლება მისი გაგება ისე, თითქოს იგი მთის ჩარჩოებში მტკიცედ გამოკეტილი ადამიანის მიერ არის შექმნილი, რომელსაც ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტია ბართან და სავსებით იზოლირებულია. ეს რომ ასე არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, ამის ნათელი მაგალითი თვით პალურია, რომელიც მთის წინა ზოლში, ზღვის დონიდან 350 მეტრ ნიშნულზე მდებარეობს.

ჩვენი დაკვირვებით, პალური „მთიელთა“ სეზონური ნამოსახლარია, სადაც წელიწადის გარკვეულ პერიოდში მთიდან ჩამოსული მონადირე-შემგროვებელი და მეთევზე ჩერდებოდა დროებით. ბარში არსებული პროდუქტით ივსებდა თავის კვების რაციონს და შემდეგ ისევ ბრუნდებოდა უკან.

კონკრეტულ შემთხვევაში ასეთად მიგვაჩნია თევზი ორაგული. რომლის მოპოვებისათვის ყველა ეკოლოგიური პირობა არსებობს პალურის მიდამოებში. როგორც ცნობილია, სოფ. პალურს ზემოთ ათიოდე კილომეტრზე მდ. ენგური გამოდის კლდოვანი ვიწროებიდან, ფართო კალაპოტში მრავალ დიდ-პატარა ნაკადად ნაწილდება და რამდენადმე მცირდება მისი დინების სიჩქარე, რის გამოც ატივტივებული მასალის ერთი ნაწილი სწორედ ამ მიდამოებში ილექება ქვიშის სახით. ცივი სუფთა წყალი თავთხელი ტოტებითა და ქვიშნარი ფსკერით სწორედ ის გარემოა. რომელსაც გვიან შემოდგომაზე ზღვიდან მდინარეში ქვირითის დასაყრელად შემოსული ორაგული ეტანება. ამ დროისათვის ორაგული რამდენადმე ინერტულია, მძიმედ მოძრაობს, მუცლით ქვიშაზე ხახუნის მიზნით თხელ წყალში გადადის და იმდენად მოდუნებული აქვს ყურადღება, რომ ხშირად მისი ზურგი წყლის ზედაპირს სცილდება და იოლი შესამჩნევი ხდება ადამიანისათვის.

ამ დროს ორაგულზე ნადირობა შეიძლება ყოველგვარი საშუალებით, რაც კი ხელში მოხვდება ადამიანს: ჯოხი, ქვა, ცული, თოხა, თოფი, ბადე, ბარჯი თუ სხვა რამ.

ყოველივე ეს დღესაც კარგად არის ცნობილი ადგილობრივი სოფლების ტყაიას, პალურის, ლიას მოსახლეობისათვის, რომლებსაც ორაგულის ქერა მეურნეობის ერთ-ერთ დამხმარე დარგად აქვთ გადაქცეული.

როგორც ადგილზე გვაცნობეს, ჯერ კიდევ ამ ცოტახნის წინათ, გვიან შემოდგომაზე, როცა ზღვიდან ენგურში ორაგული იწყებდა შემოსვლას, პალურისა და ნეზობელი სოფლების მთელი მოსახ-

ლებოა გადიოდა თევზის საჭერად, რომლის ზორცს ზამთრისათვისაც კი ინახავდნენ დამარილებული თუ გამხმარ-შებოლილი სახით.

სათქმურებელია, რომ ამ მიდამოებში თევზჭერის ხელსაყრელი პირობები ოდითგანვე არსებობდა, რის გამოც უნდა შერქმეოდა სოფელს სახელი პალური, რაც დიდი ლექსიკოგრაფის, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სათევზე ადგილს ნიშნავს³⁶.

ექვეყარეშეა, რომ ნადირობა-შემგროვებლობაში გაწაფულ ნეოლითელ ადამიანს მხედღველობიდან არ უნდა გამოჩენოდა ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი მონაცემები და ადვილი დასაშვებია, სწორედ ეს გამხმარიყო მიზეზი წელიწადის გარკვეულ დროს, ალბათ შემოდგომაზე, მთიდან ჩამოსული ადამიანის პალურში დასახლებისა.

ყოველ შემთხვევაში, პალურში აღმოჩენილი რიყის ქვის ოთხი საწაფი აქ მოსახლე ნეოლითელის სამეურნეო ცხოვრებაში თევზჭერის გარკვეულ მნიშვნელობაზე მეტყველი ფაქტია.

შემთხვევითი არ არის, რომ ნეოლითურ სადგომებს შორის პალურის გარდა, საწაფებს ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე კისტრიკის ნამოსახლარიც იცნობს, სადაც ასეთივე ხელსაყრელი პირობები არსებობს თევზჭერისათვის.

ზღვის სანაპიროზე და მდინარის პირას მოსახლე ადამიანის ყოფაში, რომ მეთევზეობა მეურნეობის ერთ-ერთი დარგი უნდა ყოფილიყო, ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ რით უნდა აიხსნას მსგავსი სამეურნეო საფუძვლის მქონე კულტურებს შორის ისეთი მკვეთრი სხვაობა, როგორც პალურისა და კისტრიკის მასალებში შეიმჩნევა (კისტრიკი ტიპური დასავლეთ ამიერკავკასიის ბარის კულტურაა).

მართალია, პალური კისტრიკთან შედარებით რამდენადმე უფრო ადრეული ძეგლია და სხვაობა შესაძლოა ნაწილობრივ ამითაც იყოს გამოწვეული, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის უნდა იყოს, რომ პალური მთის კულტურაა და მისი მეურნეობა ძირითადში, ალბათ, მონადირეობას, შემგროვებლობას და, შესაძლოა, ჩანასახის მდგომარეობაში მყოფ მიწათმოქმედებასა და შესაქონლეობას ემყარებოდა რაც შეეხება მეთევზეობას, იგი მისთვის სეზონური დამხმარე მეურნეობის ერთ-ერთი დარგი უნდა ყოფილიყო.

³⁶ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტომი IV-1, თბ., 1965, გვ. 616.

როგორც ზემოთ დავინახეთ, პალური თავისი გავრცელებით მთის კულტურაა, რომელიც გენეტიკურად მთისავე მეზოლითს უნდა უკავშირდებოდეს. ამ უკანასკნელის მთაში ჩამოყალიბება კი, თავის მხრივ, დაკავშირებული ჩანს გამყინვარების დასასრულს, კლიმატური ცვლილებებითა თუ სხვა მიზეზებით გამოწვეულ სამეურნეო სისტემის კრიზისთან, რამაც ადამიანი აიძულა ეზრუნა საკვების ახალი წყაროების (ნიჟარები, თევზი)³⁷ ძიების მიზნით საარსებო სივრცის გაფართოებაზე.

კავკასიის მაგალითზე ამ დროისათვის თავისუფალ გეოგრაფიულ ზონად მთა გვევლინება, სადაც ქვედა პალეოლითის შემდეგ მხოლოდ მეზოლითში იკიდებს ფეხს (წონა, ქვედა, ყუღარო, ჩორნი გროტი) ადამიანი³⁸. შეიძლება ითქვას, რომ ქვის ხანის პერიოდებს შორის მეზოლითი ერთ-ერთი ძირითადი საფეხურია კავკასიის მთიანეთში ადამიანის ფართოდ განსახლების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, მყინვარეული პერიოდის მძიმე ცხოვრებას გამოვლილი ადამიანი იოლად ეგუებოდა მთის მკაცრ გარემოს, სადაც ბართან შედარებით ხანგრძლივად კონსერვირებული უკეთესი პირობები არსებობდა მეურნეობის ტრადიციული დარგების შემგროვებლობის, ნადირობისა და მათ ბაზაზე მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვა-განვითარებისათვის.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ახალი გარემო, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნებს უყენებდა ადამიანს და თანდათანობით, შეუმჩნევლად ცვლიდა მის ყოფასა და კულტურას. სწორედ ასეთი ევოლუციური ცვლილებების შედეგად უნდა გაჩენილიყო პიჩიჩინის ტიპის ძეგლებსა და სოსრუკოს M-3 ფენაში სერიებად წარმოდგენილი ე. წ. ანკესისებურ მვერილიანი მრუდე იარაღი³⁹, რომელიც პალე-

³⁷ ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964; Л. Н. Соловьев, Об итогах археологических раскопок в гроте Хупыинпшахва в 1960 г. Труды АИЯЛИ, XXXII, Сухуми, 1961, с. 191—195; С. Н. Бибиков, Об использовании улиток Helix в позднепалеолитическое время, МИА, № 2, 1941, с. 140—141; С. Н. Замятнин и П. Г. Акрита, Раскопки грота Сосруко в 1955 г., УЗКБНИИ, т. XIII, 1957, с. 438.

³⁸ ალ. კალანდაძე, ლ. წერეთელი, დას.ხ. ნაშრ., გვ. 62—78, ალ. კალანდაძე, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის პალეოლითური ექსპედიციის 1958 წლის მუშაობის შედეგები, საქართველოში 1958 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 1969 წ., გვ. 6—10; В. П. Любин, Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия), МИА, № 126, М., 1966, с. 155—163.

³⁹ В. П. Любин, указ. соч., с. 163; С. Н. Замятнин и П. Г. Акрита, указ. соч., с. 445.

რი-ნაგუთნის კულტურის წრეში შემავალი ყველა ძეგლის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა.

აქვე მოკლედ გვინდა შევეხოთ ამ იარაღების ფუნქციონალურ მნიშვნელობას, რას წარმოადგენდა იგი, ანუ რა მოვალეობას ასრულებდა სამეურნეო საქმიანობაში.

სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ხსენებული იარაღები მრგვალგანივკვეთიანი ძელისა და ხის ნივთების დასამუშავებლად იხმარებოდა⁴⁰. ე. ი. იგივე ფუნქცია მიეწერება, როგორსაც ჩვეულებრივ რიგითი გვერდამოღარული საფხეკები ასრულებდნენ, რაც ნაკლებ დამაჯერებელია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ გაუგებარია, რაღა საჭიროა ასეთი მარტივი საფხეკი იარაღის შესაქმნელად საგანგებოდ ლამელებისა და მოგრძო ლამელისებური ანატკეცების შერჩევა და მათი ერთი ან ორივე სიგრძივი გვერდის შუა ნაწილში, უმეტესად კი ბოლოში მახვილი შევრილისა თუ ანკესისებური კავის გამოყვანა.

ყველა სხვა ძეგლისა და, მათ შორის, პალურის მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გვერდამოღარული საფხეკების დასამზადებლად უმეტეს წილად ანატკეცები იხმარებოდა, რომელთა პრაქტიკული დანიშნულება სწორედ მრგვალგანივკვეთიანი საგნების დამუშავება უნდა ყოფილიყო.

პალურ-ნაგუთნის კულტურის ძეგლებში ანკესისებურშვერილიანი იარაღებისა და ანატკეცებზე გაფორმებული გვერდამოღარული საფხეკების თანაარსებობა უკვე საეჭვოდ ხდის ამ იარაღების ანალოგიური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობას.

